

# დღისთვის და საქარველოსთვის



საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

14 მარტი, 2014 წ.

№10 (3696)

ბამონჯის 78-ე წელი

ფასი 1 ლარი

თამაზ ნივნივაძე

## „ერთნაირ ზედათ ვარდით, რა თქვი რა ვარდით...“

### ვუძღვნი ვარდების რევოლუციის მონაწილეებსა და მხარდამჭერებს

თუ მკითხველს ახსოვს, ამ თემაზე აქამდე ორი წერილი მაქვს გამოქვეყნებული! არადა, პირველი მართლაც გამომწვევად მქონდა დასათაურებული! „ვარდების რევოლუციის უჭერდით მხარს? – მეყოლეთ ახლა ვარდით!“ თუმცა დიდი მოკრძალებით არც მეორე გამოიჩინეოდა!

„წინათ ჩვენი ვარდი იყავ, ახლა დარდი ხარ!“

გამორიცხული არაა, ვარდების რევოლუციის თემას რამდენიმე წერილი კვლავაც მიუძღვნა, აქედან ერთის სავარაუდო სათაური წინდანიც კი მაქვს შერჩეული:

„ვარდი ხარ, ვარდი, ქალაუ, ლერწმად აჭრილი წელშია!“

იმის მიუხედავად, რომ არც ვიცი, ეს სათაური, რევოლუციის სამი გმირიდან რომელს მიუძღვნა და რომლის სახელს დავუკავშირო!

სხვაზე მეტად, რა თქმა უნდა, სააკაშვილი გახლავთ „ლერწმად აჭრილი წელში“, მაგრამ რაც გინდა თქვი, და ეს ახალგაზრდა კაცი „ქალაუ“ ნამდვილად არაა. პირიქით, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, ქალის კაბის კუდს პირდაპირ არის გამობმული... ერთი სიტყვით, წინდანი შერჩეული ეს სათაური „ვარდი ხარ, ვარდი, ქალაუ, ლერწმად აჭრილი წელში“, ვფიქრობ, ალბათ აღარ გამოიყენებოდა და აუცილებლად უნდა შეიცვალოს!

მართალია, რაკი შეჩვეული ვიყავი, ცოტა კი დამწყდება გული, მაგრამ თუ ჩემი საყვარელი ხელისუფლების გამოცვლას გავუძელი, არა მგონია, ახლა წერილის სათაურის გამოცვლის დარდმა გადამიყოლოს!

მით უმეტეს, რა სახელწოდებაც წინამდებარე წერილს აქვს, მთლად ცუდი არც ეს უნდა იყოს:

ან ამას რა უჭირს, მაგალითად, ვარდების რევოლუციის ყოფილ მხარდამჭერთ ასე რომ მივმართო:

„აღარა ჰყვავით ვარდით, რა ფერი დაგდებიათ...“

მერედა, იმასაც თუ წარმოვიდგინო, რომ ეს ჩემი კი არა, დიდი აკაკის სტრიქონებია და, თანაც, იმ დიდებული ლექსიდანაა ამონერილი „ურიული მოთქმით ტირილი...“ რომ ჰქვია!

გახსოვთ, ალბათ, ღვთაებრივი პოეტი ამ ლექსით ქართველი ურიების უბედურებას დასტიროდა საქართველოში, მე კიდევ ამ ჩემი წერილით, იმ ჩემს ქართველ ძმებსა და დებს თანაუფრთხობ, ვინც კი მხარს ვარდების რევოლუციას მხურვალედ უჭერდა!..

როგორც ვიცი, ამ სურნელოვანი ყვავილის სახელობის რევოლუციას, პოლიტიკური ავანტიურისტების გარდა, დასავლეთ საქართველოში, სხვაზე მეტად, ნალენჯიხა-ინგირო-ზუგდიდი-ხოზის გაყოლებაზე მცხოვრები მოსახლეობა უჭერდა მხარს!

აღმოსავლეთში კიდევ, სკრა-აგარა-ქარელი-გორის სარკინიგზო მონაკვეთის ირგვლივ განლაგებული სოფლების მაცხოვრებლები!

ცხადია, მომხრეთა რაღაც ნაწილი თბილისშიც ჰყავდათ, კერძოდ კი შოუბიზნესის წარმომადგენელთა წრეებში და სატელევიზიო მაუწყებლობა „რუსთავი-2“-თან გაერთიანებული შემოქმედ ინტელიგენტთა კავშირი!..

ვაი, საყვარელო, რა ერთიანობაც და ერთსულოვნებაც მაშინ საქართველოში ტრიალებდა!..

მართალია, არავინ მუშაობდა, მაგრამ ქვეყანა ძველი დარდით, გრძელი ნარდით, ახლად გაფურჩქნილი ვარდით და ვარდების რევოლუციის სურნელით ტკბებოდა!..

ჰოდა, ნეტა, რა მოხდა ამ წელიწადნახევარში ისეთი, ქვეყანა რომ ქვეყანას არა ჰგავს და ხალხი – ხალხს!

არადა, ახლა რევოლუციის ყოფილ მხარდამჭერთა რიგებში სრული ქაოსია – დასავლეთის მიმართულების გაერთიანებას სავსე კარგები ზუგდიდის ბაზრობის გარშემო აქვს დაცემული!

აღმოსავლეთში, ელიავას ამბობებულ მეგაზრეებს, შიგა და შიგ, თბილისის მერიის შენობა აქვთ ალყადარტყმული!..

შედარებით ცივილიზებული ფორმით, ახალ ხელისუფლებას ახალ პარლამენტში ახლა „ახლები“ უპირისპირდებიან და კიდევ, ახლებთან ახლო მდგომი საპარლამენტო ოპოზიცია!..

უფრო ზუსტად, ესენი ქვეყნის პრეზიდენტს დავით გამყრელიძის პირით უჩმახებენ და ძიძი-გურ-დავითაშვილის ხელით უძალიანდებიან!..

შემოქმედებითი კავშირები (მწერლების, მხატვრების, თეატრალების, მუსიკოსებისა და სხვათა) ამ ხელისუფლების მიერ ახალი აფეთქებულია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავის ფაკულტეტებიანად და ქალაქი ზესტაფონი თავის დუქნებიანად, ახალი გადამწვარი!..

მათთვის, ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის, დუქანსაც და უნივერსიტეტსაც ერთნაირი ფასი ადევთ. სხვათაშორის, ორთავეს ერთნაირად დაბალი!..

ვარდების რევოლუციის მთავარი დამრტყმელი ძალა, „წვიმის მუსიკოსები“ და ერთ-ერთ სატელევიზიო არხთან გაერთიანებული „პოეტი-ყოჩი-ვარდები“, ამწუთას, აბანოთუბანში გამართულ სცენებზე არიან გასულნი და მათი მხარდაჭერით

მოყვანილ ხელისუფლებას საპროტესტო განცხადებებს მუსიკალურ ენაზე უმღერენ!..

ამჟამინდელი ხელისუფლებას კიდევ, ქართული კულტურა მხოლოდ აბანოთუბანში ახსენდება და ისიც მაშინ, თუკი იქ ამერიკის პრეზიდენტიც იმყოფება!..

სხვა მხრივ და სხვა დროს კი, წელიწადნახევარში, დაფინანსება შეუწყვიტა და ერთმანეთის მიყოლებით მიახურა ტრადიციული ჟურნალ-გაზეთები!

ამათ ჯიბრზე და ამათ ნაცვლად ამ ხელისუფლებამ ჯერ დაფინანსება განუმტკიცა:

1. „სოვეტკან ვრასტანს“!
2. „სვობოდანია გრუზიას“!
3. „გურჯისტანს“!..

შემდეგ კი, ქართული ჟურნალების დახურვის შედეგად გამოთავისუფლებული სახსრებით, საქართველოში, სამხედრო რეზერვისტთა ბაზები და პრეზიდენტის ბანაკები გახსნა და ან უკვე, სამხედრო რეზერვისტთა დაცვის ქვეშ, ბანაკებთან ახლო მდებარე ტყე-ბუჩქნარში, 16-20 წლამდე გოგო-ბიჭები, პრეზიდენტის ნაქეზებით, სახუმარო ფორმატით – „ცოლქმობანას“ თამაშობენ!..

ღმერთმა მუდამ სახუმაროდ მისცეს საქმე საქართველოს ახალგაზრდობას, მაგრამ თავად ამ ქვეყნის პრეზიდენტმა, ცოტ-ცოტა, გაფრენებს უნდა უკლოს!..

არადა, სტატისტიკოსების მონაცემებით, ლეგენდარული ჩკალოვის შემდეგ, დედამიწაზე არც ერთ ადამიანს ჯერ ამდენი არ უფრენია!..

კი, ბატონო, ხმელეთზე მიმდინარე მოვლენები: შიმშილი, სიღატაკე, მეწყერი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ზემოდან უფრო ჩანს, მაგრამ, პრეზიდენტმა, მიწაზეც თუ არ გაიარე, ეს მდგომარეობა არასოდეს გამოსწორდება!..

გულწრფელად გითანაგრძნობთ ვარდების რევოლუციის ყოფილ მხარდამჭერებო!

ამ ჩემს საქვეყნო სამძიმარს კი, დარწმუნებული ვარ, მთელი საქართველოს მოსახლეობაც, მეტ-ნაკლებად, გაიზიარებს!..

და, ბოლოს, ერთი სათხოვარი თქვენთანაც მექნება, ძვირფასო მკითხველო!

როცა აკაკი წერეთლის ლექსის მიხედვით, ჩვენი ებრაელი ძმების, „ურიული მოთქმით“ დატირებას მოილევთ, მერე მეც მიტირეთ რუსულად!..

მართალია ქართულად მერჩია, მაგრამ რაკი ასეთ შემთხვევაში უპირატესობას ყოველთვის რუსულ ვარიანტს ანიჭებენ, არა უშავს, „რუსულად მიტირეთ!..“

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას

სოფელ ასკანის საზოგადოება მოგმართავთ თქვენ, ჩვენი ხალხის ჭირისა და ღირსის გამოხარებებს, ჩვენი საყვარელი გაზეთის მეშვეობით თხოვნით, ხმა მიანდინოთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი შვილები მისი მომავალი, უპირველესად ოზურგეთის რაიონის დეპუტატს – ბატონ ზვიად კვაჭანტირაძეს, განათლების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს – ბატონ ივანე კილურაძეს, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს – ქალბატონ ეკა ბესელიას და, ბოლოს, განათლების მინისტრს – რომელიც ვაღიარებელია, დაინტერესდეს პრობლემებით.

სოფელ ასკანაში არსებობდა ულამაზესი სკოლა, სადაც მიმდებარე სოფლების ახალგაზრდები სწავლობდნენ; როცა სკოლა მოქველდა, ამორტიზებული გახდა, სასწავლებელი გადაიტანეს საბჭოს შენობაში, რომელიც ყველა ასპექტით მოუხერხებელი და შეუსაბამოა სასწავლო პროცესის განსახორციელებლად. ამით ისარგებლეს ჩინოვნიკებმა და ძველი სკოლის გაბანაკებული, თაობათა მიერ გაშენებული ეზო ახალგაზრდობას „ნაგლიჯეს“ და ხალხის დაუკითხავად გაასხვისეს. ერთი სიტყვით, სოფელი სკოლის გარეშე დატოვეს. ეს არც რაიონისა თუ სოფლის ხელმძღვანელობას ანაღვლებს და არც „მტერ-მოყვარე ბიზნესმენებს“.

სოფელ ასკანის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის: პედაგოგების, მშობლების, მოსწავლეების მოთხოვნაა, პარლამენტისა და მთავრობის შესაბამისი ორგანოები დაინტერესდნენ აღნიშნული საკითხით და სამართლიანად გააძინებინონ საკითხი, რათა სოფელი პქონდეს ისეთი სკოლის შენობა, სადაც მომავალ თაობას შეეძლება მიიღოს განათლება და ნაადგეს საკუთარ ერს!

- ილიკო თალაკვაძე, აბასლომ სადღოჯალაშვილი, ვანო სადღოჯალაშვილი, ანიკო თალაკვაძე, მარია სადღოჯალაშვილი, გიორგი სადღოჯალაშვილი, ქეთევან სიმონიშვილი, ლაშო თოგონიძე, მაია კვანციანიძე, თალიკო კახაძე, ნონა ტიკარაძე, ცარო დოლიძე, მაია დოლიძე, ცისანა მდინარაძე, ამირან დოლიძე, ამირან ღუბაძე.

სულ 130 ხელმოწერა

**მათ, ვისაც ხელწერილება ამ პრობლემის გადაჭრა**

უბრალოდ, მიუღებლად მიგვაჩნია XXI საუკუნის დასაწყისში იმაზე ლაპარაკი, გვეჭირდება თუ არა ქართული სოფელი! ხოლო თუ სოფლის შენარჩუნება გვსურს, ამ სოფელში მომავალი თაობის აღზრდა უპირველესად საქრო! აღზრდა კი, მოგვსენებთ, სკოლის გარეშე არ არსებობს!

ამიტომაც ჩვენ, ქართველი მწერლები ვუერთდებით საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სოფლის — ასკანის მცხოვრებთა თხოვნას და ვიმედოვნებთ, მოკლე დროში დადებითად გადაწყდება აღნიშნული საკითხი.

ასე რომ, ხელისუფალნი, ახლა ჯერ თქვენზეა!

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრები

- ელიზბარ ჯაველიძე, ვახტანგ ხარჩილაძე, კობა არაბული, ალაო გაბაია, ავთო ჩხიკაძე, გური მთვარე, ზაურ კალანდია, რეზა კვიციანიძე, თამარ შაველაძე, რაფო დანიელი, ჯამალ დავლიანი, ლევან ფანჩიძე.

# იას, რას „ნაგლიჯის“ ჩელიჯური უსიყვარულის, რამო „უკრავინ“ მართლმადიდებელ ეკლესიას?!

„გამოიჩინე გულისხმიერება, დაეხმარე უშვილო წყვილს, გახდი სურათი დედა და მიიღე კომპენსაცია 13200 დოლარი“ – გასული წლის შემოდგომაზე ეს მაცდური სარეკლამო მესიჯი საქართველოს მიზიდავი ოპერატორების მილიონობით მომხმარებელმა მიიღო. „მსურველებს გთავაზობთ: კვერცხუჯრედის დონორობას. ყველა დონორიაზე დონორი ქალი მიიღებს კომპენსაციას 1500 დოლარს. ემბრიონის გადანიერება-გამოზრდა. რეციპიენტი ქალი მიიღებს 13500 დოლარს, უფასო გამოკვლევებს და 200 დოლარს ნინასწარ“, – დღესაც „გვაუწყებ“ თბილისის მეტროპოლიტენში განთავსებული სარეკლამო აბრები. ვინ იცის, ბოლო წლებში რამდენი ქართველი ქალის ნინაზე დადგა ეს მაცდური, „ფინანსური დიდებულები“ – ათასობით დოლარის სანაცვლოდ გამხდარიყვნენ თუ არა სუროგატი დედები, თუმცა ეს პრობლემური და საკამათო საკითხი (მათ შორის დასაგვითის ქვეყნებში) ქართული მედიისა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში მხოლოდ ახლახან, კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლეში გახდა ატეხილი აფიოტაჟის გამო მოექცა.

სამწუხაროდ, ანტიეკლესიურად განწყობილმა ჯგუფებმა შესანიშნავად გამოიყენა ინ-ვიტრო განაყოფიერებისა და სუროგაციის საკითხებში მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის გაუცნობიერებლობა და კათოლიკოს-პატრიარქი „სისასტიკესა“ და „სიძულვილის ქადაგებას“ დაადანაშაულეს. არადა, ხელოვნური განაყოფიერებისა და სუროგაციის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ არა მარტო მართლმადიდებელი, არამედ კათოლიკური და სხვა რელიგიური კონფესიებიც, თუმცა დაინტერესებული ძალები ცდილობენ, საქმე ისე წარმოაჩინონ, თითქოს მართლმადიდებელ ეკლესიას სხვა რელიგიებისგან რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვს და თურმე იგი არა სიყვარულს, არამედ სიძულვილს ქადაგებს.

საინტერესოა, რომ კათოლიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლეშიც ორი კვირით ადრე, 25 დეკემბერს, კავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორის, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს „სამწყისო წერილთან“ ერთად საქართველოს კათოლიკურ ეკლესიაში გავრცელდა მიმართვა - „ბავშვი ღვთის საჩუქარია“, რომელშიც „სასიკვდილო ცოდვად“ არის მოხსენიებული ხელოვნური განაყოფიერება, კონტრაცეპცია, სტერილიზაცია და ა. შ. თუმცა კათოლიკური ეკლესიის მიერ გავრცელებული მიმართვა ქართველი „უფლებადამცველებისა“ თუ „ცნობადი სახეების“ ყურადღების მიღმა დარჩა – მას „რატომღაც“ გამოხმაურება არ მოჰყოლია... როგორც ჩანს, ის, რაც „მეიტევებათ“ რელიგიურ უმცირესობებს, „დაუშვებელია“ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის(!).

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ გარკვეული წრეების მხრიდან ისეთი ფსიქოლოგიური ფონია შექმნილი ჩვენში, რომ თითქოს პრობლემები მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაშია და დემოკრატიისთვის „მებრძოლ“ რელიგიურ უმცირესობებში ადამიანის უფლებები არ ირღვევა. ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ, რბილად რომ ვთქვათ, ეს რომ ასე არ არის, ამის საილუსტრაციოდ ე. წ. იელოვას მოწმეების მაგალითიც კმარა. ამ სექტორში სისხლის გადასხმის აკრძალვის გამო ხშირად ირღვევა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება, რის გამოც

ბოლო წლებში მრავალი საქართველოს მოქალაქე დაიღუპა (სხვათა შორის, საკუთარი იელოვას მოწმე მშობლების მიერ სასიკვდილოდ განწირული პატარა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებითა და პოლიციის ძალით დააბრუნეს დამწვრობის ცენტრში და სიცოცხლე შეუნარჩუნეს), თუმცა ამ ფაქტების გამო „ალმფოთებელი“ ქართველი უფლებადამცველების პროტესტს ვერაფერს გაიხსენებს(!).

ზემოხსენებულ კათოლიკური ეკლესიის მრევლისადმი მიმართვაში კინათქვაშია:

„უარი სპირალს! უარი ტაბლეტებს! უარი ხელოვნურ განაყოფიერებას! უარი სტერილიზაციას! უარი პრეპარატივს! უარი ცოდვას!

სპირალი კლავს ბავშვებს! მისი გამოყენებისას ჩასახვა ხდება, მაგრამ უფრო ხშირად ბავშვი კვდება, რადგან სპირალი არ აძლევს საშვილოსნოში მიმაგრების საშუალებას... სპირალი ჯანმრთელ ქალს აავადმყოფებს (საშვილოსნოს, საკვერცხეების, მუცლის ღრუს ანთება და წყლული, სისხლდენა, ტკივილი, სისხლნაკლებობა...)“

ყველა სახის (ეგრეთ ნოდებული „ჩასახვის საწინააღმდეგო“) აბების მიღების დროს ხშირად მაინც ხდება ოვულაცია და ჩასახვა. ასეთ დროს ყველაზე ხშირად ბავშვი იღუპება შიმშილით, რადგან აბები ამოიხსნის რკინას და ამცირებს საკვების რაოდენობას ღორწოვან საშვილოსნოში...

ჩასახვა ხდება აგრეთვე უამრავი სხვა ეგრეთ ნოდებული „კონტრაცეპტული“ საშუალებების მიღების დროს, მაგრამ ეს ნივთიერებები ავტომატურად კლავს ბავშვს პირველივე დღეებში. იესომ თქვა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც გაუკეთებთ ერთს ამ ჩემს უმცირეს ძმათაგან, მე გამიკეთებ“ (მათ. 25,40). პატარა, სულ ახალი ჩასახული ბავშვი კი არის ის ჩვენი უმცირესი ძმა ან და. მისი მოკვლა არ შეიძლება არავითარ გარემოებებში...

ამგვარად, სასიკვდილო ცოდვას წარმოადგენს არა მხოლოდ არდაბადებული ბავშვის მოკვლა, არამედ კონტრაცეპცია, სტერილიზაცია და ხელოვნური განაყოფიერებაც. ასე, მაგალითად, განაყოფიერება სინჯარაში და ინსემინაცია. სტატისტიკამ აჩვენა, რომ სინჯარაში ჩასახულ ბავშვთა მხოლოდ 5% იბადება.

უმრავლესობა მათგანი, რომელთაც ხელოვნურად ათავსებენ საშვილოსნოში, არაბუნებრივი პირობების გამო იღუპება, ხოლო ბევრ ბავშვს კლავენ

ისე, რომ არ ხდება მათი იმპლანტაცია, ან ინახვენ ცოცხლად გაყინული სახით მაცივარში.

არ შეიძლება ამგვარი დიაგნოსტიკური პროცედურების ჩატარება, მაგალითად: ადრეული ამნიოცენტეზი, რომლის მიზანია ჯერ არდაბადებულ, ავადმყოფ ბავშვთა მოკვლა! არავინ გამხდარა ბედნიერი ადამიანის მოკვლით, მაგრამ შესაძლოა გახდეს ბედნიერი ავადმყოფის სიცოცხლის მსახურებით. ცოდვის ჩადენა არ შეიძლება არავითარ გარემოებებში. წმინდა პაპმა პიუს XI-მ ენციკლიკაში „ცასტი კონუბი“ კონტრაცეფციისა და სტერილიზაციის წინააღმდეგ თქვა: „ყოველი ქორწინება, რომლის დროსაც ცოლქმრული აქტი ადამიანის სურვილით სიცოცხლის ჩასახვის ბუნებრივ შესაძლებლობას მოკლებულია, არღვევს ღვთისა და ბუნების კანონს. ხოლო ვინც ასე იქცევა, უმძიმეს ცოდვაში დგება“ (ციტატის დასასრული).

კათოლიკური ეკლესიის მიმართვაში მკაცრად არის დასმული პრეპარატივების მწარმოებლებისა და გამავრცელებლების პასუხისმგებლობის საკითხიც: „ისინი, ვინც აწარმოებენ, ავრცელებენ და რეკლამირებას უწევენ პრეპარატივებს, პასუხისმგებელი არიან არა მხოლოდ ცოდვის ჩადენის თანამონაწილობის გამო, რომელთა შორის ყველაზე ხშირად არის სიძვა, მრუშობა და კონტრაცეფცია, არამედ ისინი ასევე პასუხისმგებელი არიან ინფიცირებისგან დაცვის ცრუ გარანტიის მიცემის გამო...“ პაპის კონსილიუმში ოჯახის შესახებ დოკუმენტში „ჭეშმარიტება და ადამიანის სექსუალობის მნიშვნელობა“ ამბობს: „მშობლები ასევე ვალდებული არიან უარი თქვან ეგრეთ ნოდებული „საფა sexa“ (უსაფრთხო სექსის) ან „საფერ sexa“ (უფრო უსაფრთხო სექსის) პროპაგანდაზე, საშიშ და ამორალურ პოლიტიკაზე, რომელიც დაფუძნებულია ცრუ თეორიაზე, რომ პრეპარატივს შეუძლია უზრუნველყოს სანდო დაცვა შიდა ნინააღმდეგ“ (ციტატის დასასრული).

როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, „დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს“...

P.S. აღსანიშნავია, რომ ანაზღაურებადი სუროგაცია მსოფლიოს მხოლოდ ხუთ ქვეყანაშია დაშვებული (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი, სამხრეთ აფრიკა, საქართველო და ასევე აშშ-ის რამდენიმე შტატი).

### სერგო კირიჯიძე



2 ოქტომბერი

გამოიკვეთა ქართული ოცნების სრული უპირატესობა თბილისში, მაჟორიტარულ საარჩევნო ყველა ოლქში და მთლიანად საქართველოში, პროპორციული არჩევნების ეგზიტპოლებში!

არჩევნების შედეგებმა ძალიან გამახარა... გაცილებით უკეთ, თავისუფლად ვსუნთქავ და მსუბუქად დავიბრუნებ. ამასვე ამბობს თითქმის ნებისმიერი ადამიანი, ვისაც ვიცნობ და ვინც შეხვედრისთანავე მილოცავს გამარჯვებას და ვერ მალავს უსაზღვრო თავისუფლებით და საერთო ბედნიერებით მონიჭებულ აღფრთოვანებას. მიხეილ სააკაშვილმა რესპუბლიკის მასშტაბით მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩევნებში თავი დამარცხებულად ცნო. სახე-ნაშლილი ლაპარაკობდა. ჩემს და მრავალთა გასაკვირად, თავი ოპოზიციონერად გამოაცხადა. კი, ასე თქვა: ოპოზიციონერები ვინ ვართ! ადრე, როცა უმრავლესობაში იყო, თვითონ მხოლოდ უმრავლესობის პრეზიდენტად მიაჩნდა თავი, ახლა, როცა შეიცვალა ვითარება, იგი მხოლოდ ოპოზიციონერი, ანუ ნაცმოს პრეზიდენტი.

წინასაარჩევნო პერიოდში ამ ნიშნით მიმდინარეობდა, მოყოლებული კარალებიდან – კახეთით დასრულებული. ნაცმო ქვის ხანის მეთოდებს იყენებდა და მათი აქტივისტები ქვევს დამიზნებით ესროდნენ მონიშნულ მკვლელებს. ჩაქოლვის მცდელობა გათამაშდა კარალეთში და იგივე განმეორდა სიღნაღსა და კახეთის ზოგიერთ რაიონში. ნაცმო ალისტრახობის ინსტიტუტს დაეყრდნო და ხალხზე ზეგავლენის, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ძალადობის ახალი გზა მოიძია. სააკაშვილი თავისი უწყვეტი და სახიფათო რიტორიკით შეეცადა, შეგნებულად ორად გაეხლიჩა ქვეყნის მოსახლეობა, არჩევნებამდე გაცილებით ადრე და თავის სიმპათიებს არ მალავდა, როცა მორჩილ, პირობით უმრავლესობას ხვდებოდა ქუჩაში თუ შენობაში, სტადიონსა თუ სპორტის სასახლეში, რთველში, როცა სიმბოლურად მიიწვილებდა სოფლის მეურნეობის სავარგულებს, რაც მისთვის იმდენად უცხო გახლდათ, რომ ერთი სული ჰქონდა, იქაურობას გასცილოდა, სადმე გადაკარგულიყო. ახალი ადამიანის იდეით შეპყრობილი ნაცმო ცდილობდა, მენტალური რეგულაცია უჩქარესი ტემპით მოეხდინა და, ნაცვლად ნებაყოფლობით პროცესისა, თავს მოხვეუდი, ძალადობრივი მეთოდებით ჭრიდა და კერავდა ყველაფერს, დაწყებული პირველი კლასიდან მეთორმეტეს ჩათვლით. ახალი ადამიანის ჩამოყალიბების ფორსირება ხელოვნური და მტანჯველი პროცესი გახლდათ.

ხოლო უმალღეს სასწავლებლებში ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფენა შექმნეს, ყველა პრივილეგიით რომ სარგებლობდა, განსხვავებით მათგან, ვინც თვითმართველობიდან თავს შორს იჭერდა. ამით ანაკრებით დაატარებდნენ გასართობად და დასასვენებლად, ხოლო მეორენი, განზე გამდგარნი, სხვაგვარად მოაზროვნენი, გარიყული ჰყავდათ და რა იცოდნენ, რომ მთელი სალი აზრი სწორედ იქ მნიშვნელოვანი და რომ საპრობლეში გამოაშკარავებულ სადისტურ ნამებებსა და ხელკეტებით გაუპატიურების ამაზრუნენ კადრებს სწორედ ეს სატუდენტები (ლაბორატორია 1918) გააპროტესტებდნენ და მათი მეშვეობით ჩაეყრებოდა საფუძველი ახალ, პოლიტპარტიებისგან შორს მდგომ სტუდენტურ მოძრაობას. ყველაზე მეტად მათი გამოჩენა გამიხარდა, თუ

არ ვცდები, „ლაბორატორიად“ იწოდებოდნენ, მათთან ერთად იყვნენ თანამოაზრეები და, მეტიც, ნაცმოს დაქვემდებარებული თვითმმართველობის წარმომადგენლები ცდილობდნენ მათთან შერევის, ერთად გამოსვლას, მაგრამ ახლოს არ გაიკარეს.

რამდენი წელი გავიდა, რაც სტუდენტური მოძრაობა აღარ გამოჩენილა ქალაქში?! სხვა ქარი, სხვა ძალა, სხვა იმედი მოიტანეს და ეს განცდა იმდენად გადამდები აღმოჩნდა, რომ მუნჯმა ენა ამოიდგა, შეშინებული გათამამდა და პროტესტით აღივსო და შიშის დაძლევის თანდათანობით პროცესი, ივანიშვილმა რომ დაიწყო, მთელმა საქართველომ აიტაცა.

სწორედ ცალკე დარჩა, სწორედ ესტიკაში ჩაძირული, ეგოისტური ზრახვების მომსახურედ, ყველაფერზე მო-

კის ცრუ რიტორიკით აღფრთოვანება ასაზრდოებთ.

საშინელი ამბავი მოხდა გუმინ ზუგდიდში. მოედანზე, სადაც საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა, გაჩერდა ტაქსი, ცოტა ხანში დაიძრა და წავიდა. აღმოჩნდა, რომ უყურადღებოდ დარჩენილი სამი წლის ბავშვი, ვიდრე დედა მოიძიებდა, მანქანის ქვეშ შემცვრალა. ვერც მძღოლი ხედავდა, ვერც დედა, ვერც სხვა ვინმე ლეთისნიერი და ასე უზედურად დაიღუპა ბავშვი.

ქვევრში ნაპოვნი ცხრა თვის ჩვილი გამახსენდა, გურჯაანის რაიონში. ეს ორი ტრაგედია ერთმანეთს ემატება და სიმწრით მავსებს. ჩნდება ცდუნება, სიმბოლური დატვირთვა ვექებო ორი უმანკო ბავშვის ბრმა სიკვდილი, მაგრამ სპეკულაციისგან თავს ვიკავებ, რადგან ზუსტად ვერავინ იტყ-

# ღანაპაულით აკვლანი

ქირქილედ, ყველაზე მალა მდგომად, რადგან განათლებული ათეიზმი საკუთარ ხელობას აღმერთებს და ნარცისობა მისი ბუნებრივი მდგომარეობაა.

ნეობოლშევიკურ პარტიას გაუჩნდა ნეოკომკავშირული ორგანიზაცია და, რაც ყველაზე საოცარია, შემთხვევითი კონტაქტისას ყველა დიდგულა, მედიდური, საკუთარ ძალაუფლებაში დარწმუნებული ახვარი ბრძანდებოდა.

გაორებული საზოგადოება, გაორებული სტუდენტობა, გაორებული მწერლობა, გაორებული სპორტსმენები, გაორებული ნებისმიერი პროფესიის ადამიანები, გაორებული პოლიტიკური ნიშნით, ცუდებად და კარგებად, ჩარეცხილებად და საწინაშეობად. ასეთი ახალგაზრდების სანიშნო ტიპი გახლდათ ამხანაგი ვარძალაშვილი – ამით გამოზარდეს და ამით ერთგულებდა. არჩევნებისას თავის ამფსონებთან ერთად დარბოდა სამტრედიის რაიონში დავალების შესასრულებლად. კახი კალაძის, მაჟორიტარობის კანდიდატის დამარცხების კამპანიას ხელმძღვანელობდა. თან ყოფილი მოკრივეებიც ახლდნენ, კახი კალაძის მომხრეები რომ უფრო ადვილად ეცემათ და წესრიგი დაემყარებინათ. იგი უფრო ზონდერი იყო, ვიდრე მინისტრი. ვერ ყურმოჭრილ მონად მუშაობდა პარტიის ბოსებთან, სიგარეტზე ან სხვა წერილმანზე გზავნიდნენ და ასე თამაშ-თამაშით მინისტრად მოგვევლინა, „ზონდერკამანდრობას“ რომ ითავსებს და დასასჯელს სჯის, ასრულებს პარტიულ დავალებას. ეს ფსევდოინტელექტულები თბილ ოთახებში სხედან და ბუზბუზებენ, კონფორმისტულ ნეხზე ამოსული გოგრაბივით უჩინთ ამოწრილი თავები და საკუთარ კეთილდღეობაზე მზრუნველებს აღარავინ და არაფერი ახსენდებთ განცენებულ თემებზე ზუტყურისა და არსებული პარტიის დესპოტური ქმედებების გამართლების გარდა. ესენი ყვერებით უნდა დაკიდოს შთამომავლობამ, ეს ნეხვის ტიები, რა თქმა უნდა, ყვერები თუ გააჩნიათ... დანიელმა რაც გაიფიქრა, ფიქრშივე წაშალა, შეკრთა, შურისძიება ხომ არ მალაპარაკებო, მაგრამ წამოწყებული წარმოსახვა მექანიკურად გაგრძელდა: ადვილი შესაძლებელია, რომ დაკიდების პროცედურას „უიმისობის“ მარტივი მიზეზის გამო გადაურჩნენ განსაკუთრებულად ნაზი ინტელექტულები. ინტელექტუალეთი – კიდევ ერთხელ გავიხსენებ ამ სიტყვას, აბა, სხვაგვარად რა ვუნდო საკუთარ ამქართან მოკეკლუცი ტიპებს, რომელთაც სათავისო პუბლი-

ვის – რა მოხდა, რატომ გაიჩინა ორი პატარა არსება?! ერთი დაუდევრობას ემსხვერპლა, მეორე კი, ცხრა თვის ბავშვი, გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩნდა წყლით სავსე ქვევრში. შეუძლებელია, ამ ცოდვამ არ შეანუხოს, არ დატანჯოს ის, ვინც ეს ჩაიდინა. დამნაშავეს ძებნას არ ვაპირებ, რადგან ზოგადად იგი ცნობილია და მისი სახელია საყოველთაო ფსიქოზი, რომელსაც თავისი მივტორი ჰყავს.

არ მივდა დავიჯერო, რომ ჩვილი ქვევრში ვილაცამ ჩაახრჩო, და რომ ეს შემზარავი ეპიზოდი ირიბად მაინც უკავშირდება საარჩევნო ბატალიებს. გამოძიების შედეგი უცნობია ყველასთვის და პოლიციურ ვერსიებსა და კულისებში ჩაიკარგა. ვერასოდეს გავიგებთ, რა მოხდა გურჯაანში, თუმცა რჩება კი რაიმე დაფარული მზისქვეშეთი?!

არის რალაც ბედისწერული ამ ორ შემზარავ ამბავში. უნდა დავფიქრდეთ და ყველამ საკუთარი ცოდვა იდარდოს და მოინანოს. თითქოსდა მშვიდობიანად ჩატარებულ არჩევნებს წინ უძღოდა მაშინდელი ოპოზიციის სადისტური მეთოდებით შევიწროება, ცემა-ტყეპა, ქვების დაშენა, ანგარიშების დაყვანება, სატელევიზიო თეფშების „დაპატონება“ და გაუგონარი ჯარიმები, დანარჩენი ცივილიზებული სამყარო რომ გააოცა და უცხოელთა რეაქციით შემკრთალებმა შეამცირეს, კი არ შეწყვიტეს ძალადობა, უბრალოდ, შეცვალეს ძალადობის ფორმები და მეთოდები.

ალისტრახო და მისი და-ძმანი ნაცმოს შვილები არიან. ყველა ერთად ალისტრახოები ჰქვიათ, რადგან მათი სახელტების აქ ჩამოჭიკჭიკებას არავითარი აზრი არა აქვს და ისტორიული მეხსიერებისთვის კოლექტიური ალისტრახოს სახელით უნდა დარჩეს.

ნაციონალური პარტიის ბოლო შეხვედრა, ალბათ, მათი პარტიის და პარტიული ლიდერების ბედს ეხებოდა. ვინ გაიგებს, რაზე ლაპარაკობდნენ. არსებული კონსტიტუცია არჩენს რევანშით ცდუნების საშუალებას, მეტადრე მაშინ, როცა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იგი ოპოზიციონერ მიდის. როცა ქვეყანას ოპოზიციონერი პრეზიდენტი ჰყავს და იგი საქართველოს ერთი ნაწილის, უმცირესობის პრეზიდენტია და მეორე ნაწილს, უმრავლესობას, როგორც ადრე, ახლაც მტრად მიიჩნევს; ხომ წარმოვიდგენათ, რა ტიპის მმართველობა იქნება ჩვენში... ზოგი გასაქცევად ემზადება, ნაწილი ჩადენილი დანაშაულის შიშით ქვეყნიდან გადახვენას აპირებს, რად-

### ტიპი ალხაზივილი

გან მიეცა საშუალება, გაერიდოს საკუთარ დანაშაულს. იგრძნო, რომ ახალი ხელისუფლება ჯერ ფორმალურად არსებობს და დასამალად უკეთესი დღეები შეიძლება აღარც გაუთენდეს?!. ხოლო მეორე ნაწილი, მოჩვენებითად უდნაშაულო კონფორმისტები, ცხადია, დარჩება საქართველოში და პარლამენტის წევრობანას ითამაშებს, თან იოცნებებს ყოფილი პრეზიდენტის რეანიმაციაზე.

ეს ტიპი შურისმაძიებელი და გულნამცეცაა. ვიდრე ოპოზიციიაში უდგას ამომრჩეველთა უმრავლესობას ანუ ხალხს, ყოველთვის შეეცდება, მის ხელში არსებული საშუალებებით იხიმანდროს და სარევენზოდ იჩაღიჩოს. ვიდრე „ქართული ოცნება“ ხბოს ალტაცებით, ხმამაღლა ფიქრობდა პოლკოვნიკი ჯანჯღავა დაენიშნა თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის უფროსად, ამასობაში სააკაშვილმა ამ პოსტზე ბრიგადის გენერალი კალანდაძე გაამწესა და ამით უთხრა: „მე ვარ და ჩემი ნაბადი, რასაც მინდა, იმას ვაკეთებ.“ ყველაფერი მოსალოდნელია მისგან, მეტადრე იმ კონსტიტუციით აპელირება, მისთვის რომ შეკერეს პალიკოებმა და სხვა მჩხიბავებმა. არ ვიცი, რა მოხდება პრეზიდენტისა და პარლამენტის მოსალოდნელი დაპირისპირების შემდეგ, ერთი რამ კი ნათელია – გამუდმებული ხელის შეშლა გაგრძელდება მანამ, ვიდრე სააკაშვილი ხალხის ოპოზიციონერად დარჩება. სხვათა ნაცვლად მე ვერ ვიფიქრებ გამოსავალზე, იმიტომ კი არა, რომ ჩემთვის სულ ერთია, არამედ იმიტომ, რომ საშინლად მომბეზრდა პათოლოგიის კარნახით განხორციელებული შიზოიდური ეპიზოდებით შეკონინებული ცხოვრება, რომელიც დაუსრულებელ ავადმყოფურ პროცესს ემსგავსება.

მას შემდეგ, რაც ქართულმა ოცნებამ გაიმარჯვა, ყოველდღიურად ვიგებთ ემიგრაციაში მინისტრების გაქცევის ამბავს. თითქმის ყველა ძალოვანი მინისტრი გაიქცა. კუდის და სოდის მალაჩინოსნებზე აღარაფერს ვამბობ, არც რკინიგზის დეპარტამენტის ეზუზბაიაზე ვლაპარაკობ. წარმოიდგინეთ პრეზიდენტი, რომელსაც თითქმის ყველა მინისტრი გაექცა საზღვარგარეთ, თვითონ კი პრეზიდენტად ზის და მამა აბრამის ბატკანით თვალებს ახამხამებს, თითქოს არაფერი ხდება. ყველაზე ადრე იუსტიციის მინისტრი ადვიშვილი დაითქსა.

პრეზიდენტმა ახალი ბრძანება გამოცა და ყველა ქართველ მალაჩინოსანს, დარჩენილ მინისტრებს და გაქცეულებსაც, გენპროკურორსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და სხვებს, მათ ბრწყინვალეებს ერთნლიანი დიპლომატიური პასპორტები ჩამოურიგა. ერთი წელი ხომ დასჭირდებოდა სახლ-კარის შესაძენად და მოსაწყობად, ბიზნესგარემოს გასათავისებლად ან სულაც უკან დასაბრუნებლად, თუ რევანში შედგა. კი, რევანში ფიქრი არ ასვენებთ, მაგრამ პარტია ყინულივით შემოადნათ და ფეისბუქზე გამწარებული უხმობენ პარტიაში შესვლის მსურველებს. მეტი არაა ჩემი მტერი, იქ ვინმე შევიდეს. თუ შევა და ალალ იყოს!

დღეს, 21 ოქტომბერს, ქუთაისში ახალ, ნაწილობრივ დასრულებულ შენობაში ჩატარდება ახალი პარლა-

▶▶ გე-3 გვერდიდან

მენტის პირველი სხდომა. დაესწრება ძველი და ახალი მთავრობა, პატრიარქი, დიპლომატიური კორპუსი და ა.შ. სხდომას გახსნის ოპოზიციონერი პრეზიდენტი სააკაშვილი და იგი წარადგენს ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს, რომლის დათხოვნის გეგმებს აქედანვე აწყობს და საქრო ვითარებას ელოდება. ბიძინა ივანიშვილს წარადგენს ის პრეზიდენტი, რომელმაც მომავალ პრემიერ-მინისტრს მთელი წელი მოქალაქეობა არ აღიარა და დაუყადალა საქართველოში არსებული თითქმის მთელი ქონება, ვისი ბრძანებითაც „ზონდერები“ იბრძოდნენ ქვეყნის და „დუბინკებით“ და მთელმა საქართველომ ნახა თავგატეხილი და დასისხლიანებული ბიძინას მხარდამჭერები ქართლსა თუ კახეთში, იმერეთსა და სამეგრელოში, სრულიად საქართველოში. პრეზიდენტი დაბეჯითებით აცხადებს, რომ მისი პოზიციები რადიკალურად განსხვავდება „ქართული ოცნების“ შეხედულებებისგან; სადაც კი სიტყვის თქმის საშუალებას იპოვის, აუცილებლად აღნიშნავს შეუთავსებლობას ახლად გამარჯვებულ კოალიციასთან. თითქოს მომხრეებს უტოვებს რევანშის იმედს და ისინიც მიმალულები, მიყუჩებულები ელიან სანატრელ ჟამს.



მელიც არ ჩამცხრალა ოპოზიციონერი პრეზიდენტის მხერასა და გულში, მეტადრე მექანიკურად წამოსროლილ წინადადებებში, რომელთაც ვერასდროს ვერ აკონტროლებს. არა, იმის დავინყება შეუძლებელია, პირველის გარდასახვას რომ ცდილობდა სახელმწიფო სააკა. შუბლის ნაცვლად მხარზე ისახავდა ჯვარს და ამას უკვე პირველი კი არა, მხარჯვარი უფრო ერქვა. რელიგიას და ყოველგვარ მეტაფიზიკურს, ყოველგვარ ზნეობრივ კატეგორიას გარიდებული პრეზიდენტი თავს კომფორტულად გრძობდა ნაცსექტაში, სადაც თვითონ იყო ბელადი და ნებისმიერი სურვილის იოლად ამსრულდებელი. აშენა ახალგაზრდული ბანაკები. ზაფხულობით მიერეკებოდა სტუდენტებს ეროვნულ-პატრიოტული თემატიკის გაძლიერებული თანხლებით, თან ბურჭებისკენ მოუწოდებდა და თან ანტიქართულ საქმეს ხლართავდა სინამდვილეში. ბურების, ინდოელების, ჩინელების და სხვათა ჩამოსახლება დაიწყო ქართლსა და კახეთში. თემქაზე ჩინური ქალაქის მშენებლობა დაიგეგმა, იქვე საგარეუბნო სოფლებიანად და ეს ბედნიერი სააკა არც მოგვიზრებს სააკაში. ის ხომ გავარკვიეთ, პატიმრებივით კარგად ბევრი ოჯახი რომ არ იკვებება საქართველოში, ახლა იმასაც უნდა შევეგუოთ, რომ მთელ საქართველოში წარმატებით განხორციელდეს დანარჩენი მსოფლიოს მრავალი ეთნოსის ჩასახლება და გული მშენებარე ლაზიკით დავიიმიედოთ. ლაზიკის იდეაც ვილაცისთვის აუცანცლავს სააკას და არ იმჩნევს ქურდობას, უბრალოდ, ხელს გააყოლა ის, რისი განხორციელებაც თვითონ მოინდომა ბავშვური ალტიკინებით.

**პანკისის სასაკლო ასე არ ჩაივლის!!**

„რამდენიმე დღეა, რაც ვანო მერაბიშვილი „სამი დღით“ დაგვემშვიდობა და საზღვარგარეთ გაეშურა „მივლინებით“, კვალიფიკაციის ასამაღლებლად. აღარ ჩამოდის. გაშპა, უფრო სწორად – გაიცურცლა სხვებზე. შაშკინმა რეკორდი მოხსნა, უკანმოუხედავად, თავქუდმოგლეჯილი გავარდა, ისე, რომ არავფერი დაუბარებია მშობელი ხალხისთვის, მოცოცხა და შეძვრა ინტერპოლის სიაში.. თუმცა, კი არ შეძვრა, შეიპარა და ავი ბედის მომლოდინედ ჩამოყალიბდა ეს წარმატებული მინისტრი, მიშას ხომ მზე და მთვარე მაგაზე ამოსდობდა?! ვითომ

არაფერი ხდება, დამნაშავე მინისტრები გარბიან, მათი პრეზიდენტი კი თავის ადგილას ზის და, თვითონაც რომ არ სჯერა, ისე „განაგებს“ ქვეყანას კი არა, საკუთარ უმცირესობას ანუ უმეცრებსა და სააკოს, ასე დავარქვათ მის სამეფოს! ესეც მიჰყვება გაქცეულებს.. არა მგონია, ცოლეულებთან შეაფაროს თავი და მშვიდ სიბერეს დაელოდოს, ეს დაუდებარი, ესაა!!! კრწანისში ხომ არ დაუუმეზობლოთ ბატონ ედუარდს, მაინც მისი გამომზდილია?!“

ვანო აღარ ბრუნდება. მე კი მეგონა, ეს პატიოსანი კაცი მაინც დარჩებოდა შინ და თავჩაქინდრული რამდენიმე სიტყვას ჩაილულლულედბა. არა, ესეც თვალს მიეფარა. გაუჩინარდა. საზღვარგარეთ მივდივარო და რომელ ქვეყანაში გაიცურცლა – არ დაიბარა, თითქოს საზღვარგარეთი ვანოს სამეზობლოს არ აღემატებოდეს და თვითონ უნდა მივხვდეთ, ისე თქვა: ორი-სამი დღით მივდივარ აქვე, საზღვარგარეთ და მალე დავბრუნდებიო. ბევრი ვეძახე, მაგრამ არ ბრუნდება, საყოფაცხოვრებო საკითხს იგვარებს და სად სცალია ჩვენთვის. მოკლედ, მთელი ფეისბუკი მკითხაობს: ჩამოვა, არ ჩამოვა; ჩამოვა, არ ჩამოვა; და ვინ რას იგლეჯს, არავინ იცის, აბა, ამ შემოდგომაზე გვირილას ვინ იპოვის სამკითხაოდ?!“

იქნებ, აბასთუმნის ტყეში დაბინავდა და სულაც არ იმალედა, უბრალოდ, სიმარტოვე მოეწატრა და დაეყო და ბერივით სულის განსანმენდად.

მართლა რომ დაბრუნდეს, რას ვიხალისებ...

სააკაშვილი ხომ დაურიგა თავის ხელქვეითებს დიპპასპორტები, დააფრთიანა და უცხოეთში გასაფრენად შეამზადა...

წინარე პოლიტიკური ემიგრაციები 1921 წელს და 1991-92 წლებში ბევრად უფრო არაკომფორტულად გამოიყურება, ვიდრე 2012 წლის ძალგანი მინისტრების კოლექტიური თუ ინდივიდუალური დათესვები. უორდანას და გამსახურდიას მთავრობებისგან განსხვავებით, ესენი არ არიან პოლიტიკური დევნილები, ჩვეულებრივი კრიმინალები ბრძანდებიან.

ვანო დაბრუნდა! ან რაღა გვიჭირს. რეჟიმის დემონტაჟი გრძელდება.

P.S. – ვშიშობდი, მმართველ ძალას არ წარემართა საკუთარი ქმედებები ისე, როგორც პინოჩეტიმ არგენტინაში, როცა დაამხეს ლეგიტიმური

ხელისუფლება, მოკლეს ალიენდე, ათასობით ტყვე დაყარეს უზარმაზარ სტადიონებზე, ბევრი დახვრიტეს და, მანამდე მართავდა სამხედრო დიქტატურა ჩილეს, ვიდრე მეტ-ნაკლებად არ დამშვიდდა ვითარება ქვეყანაში და ვიდრე არ ჩატარდა არჩევნები, რის მერეც სამოქალაქო ხელისუფლებას დაუბრუნეს ნართმეული ძალაუფლება.

მიმავინყდა ჩილეს მაგალითი, რადგან ვფიქრობდი, რომ ვერ გაბედავდნენ და არც რესურსი ეყოფოდათ, მაგრამ გია ნოდის წერილი – „რა შეშალა ნაციონალურ მოძრაობას“ რომ ნავიკითხე ელექტრონულ ჟურნალში „ტაბულა“, მაშინ აღვიდგინე ჩემი ვარაუდები, რაც ნოდის წერილშიც გაისმა – „პინოჩეტიშვილის“ გზა, როგორც დაწუნებული, თუმცა, ამ გზას ჰყავდა თავისი მხარდამჭერები. ამ თემაზე ჩვენში არსებობს ალიარებული ვერსია, რომ პინოჩეტის გზა ამართლებს და შეიძლება ავითვისოთ, როგორც სანიშნო მაგალითი და ვაქციოთ სტადიონები საკონცერტაციო ბანაკებად, როგორც ეს ჩილეში მოხდა თავის დროზე. ამ გზის მომხრეებს მი-აჩნდათ, რომ ღირს ათასების სისხლის დაღვრა უკეთესი მომავლისთვის.

ეს გეგმა გულდასმით შეენახათ ნაციონალური პარტიის ლიდერებს, მაგრამ ვერ გაბედეს მისი განხორციელება ან, უბრალოდ, საამისო რესურსი ნამდვილად არ გააჩნდათ, თორემ უკან არ დაიხევდნენ. სამაგიეროდ, მოახერხეს კარგად დამარცხება ანუ არჩევნების იმ დონეზე წაგება, რომ ხმათა 40% მაინც მიიღეს, თუმცა, სავარაუდოდ, 20% მაინც აცანცლეს კოალიციას, როგორც ირწმუნებიან.

**დანართი**

საყრდენი წერტილი, რითაც შეიძლება და სააკაშვილის ამოტრიალება, თვითონ სააკაშვილიმ შექმნა ცხრანლიანი „დაულალავი შრომის“ შედეგად. როგორც ჩანს, მისი „გარჯა“ ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ხალხისთვის უაღრესად ნეგატიური, გამანადგურებელი და დამლუპველი გამოდგა. ფაქტი ჯიუტია! სამწუხაროდ, მას და მის მომხრეებს უჭირთ ამის აღიარება, თუმცა ყველაფერი ძალიან კარგად იციან.

განა მხოლოდ ცოდნა კმარა ან წაყრუება?! რომ არა მათი ჯგუფური მხარდაჭერა და თავის კანტური, დღემდე რომ გრძელდება, ნაქეზება და სიგიჟეებზე დაყაბულება – უი, რა კარგია! დიდებულება! ... და მსგავსი გამამხნეველები შეძახილები, განა ამდენს გაბედავდა ან შეძლებდა იგი?! სააკაშვილის ახლო გარემოცვა მასზე არანაკლებ დამნაშავეა ქვეყნისა და ხალხის წინაშე!!

ამ შეუმდგარი შოუმენის ექსპერიმენტი, რომელიც, სავარაუდოდ, ადამიანთა წამების და, ალბათ, საბადრაგო საქმის ექსპერტიც გახლდათ შეთავსებით, თითქმის ცხრა წელი გაგრძელდა და ვირტუალურად, რეიტინგულად თითქოსდა აღმანასული და წარმატებული ქვეყანა რეალობაში სიკვდილის პირას მიიყვანა!

თითქმის ცხრა წელი იგი საკუთარ სამარეს ითხრიდა, რაც ბოლოყამს აღმოაჩინა და შეფუთდა, როცა მფარველი აღარავინ ჰყავს და თავმისადრეკსაც ვედარსად პოულობს. აი, შეხედეთ, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ასე გამოიყურება დანაშაულით მკვდარი. ■

▶▶ გამრძელება. დასაწყისი „ლს“ 5-9

# სივრცის ანბანი ანუ ჩვენი სასაუბრო სამყაროსთან

ნოდარ მამისაშვილი

ნუ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ჩვენ არ ვცხოვრობთ დედამიწაზე. დედამიწა მხოლოდ სახლია, თავშესაფარი და, ვინ იცის, იქნებ, დროებითიც. განა წარმოგიდგენიათ, რომ ჩვენი პლანეტის ყველა ადამიანი მხოლოდ სახლი იყო? არ გამოდიოდეს გარეთ... ჩანჩქერებთან, ნაკადულებთან, მინდვრებზე, მთებში, ტროპიკულ ტყეებში... ჰოდა, სინამდვილეში ჩვენც გავდივართ დედამიწიდან ღია სამყაროში.

გავდივართ ფიქრებით, ოცნებით, მხატვრული შემოქმედებით, მითებით, ფანტასტიკით, მისტიკური წარმოდგენებით, ექოთერული გათვლებით, ინჟინერიით, მეცნიერული აღმოჩენებით.

გავდივართ: მთვარეზე, მზის სისტემის პლანეტებზე, მზეზე, ახლო და შორეულ გალაქტიკებში. უბრალოდ, ჩვენ ვცხოვრობთ ღია უსასრულო სამყაროში, როგორც მისი ერთი, საოცრად პანანინა ნაწილი.

ძნელი წარმოსადგენიც კია თუ რამდენი წილია თვით ჩვენში დედამიწისეული, როგორ და რით გავვამდიდრეს მეზობელმა პლანეტებმა, ახლო და შორეული გალაქტიკებიდან მოსულმა ინფორმაციებმა, მეტეორებმა, კომეტებმა და ა.შ. შეუძლებელია, ბოლომდე ჩავულრმავდეთ თუ როგორ ვესაუბრებოდით უშორეს წარსულში ან თუნდაც დღეს როგორ ვესაუბრებით მუდმივად ცვალებად სამყაროს. ასე, რომ სასიტყველთა ანბანი მარტო ადამიანთა ურთიერთობის ენათა ლექსიკას კი არა, სამყაროს სიცოცხლის ანბანურ კანონზომიერებათა საიდუმლოსაც ფლობს: აქ იბადება ფსიქოლინგვისტიკის განუმეორებლობაც.

ამ მეცნიერების ერთ-ერთი მიმართება ადამიანის აღქმით და სამეტყველო თავისებურებების კავშირი დედამიწის ფერა ზონურ კოორდინატებთან. ამ ტიპის კვლევების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, თუ მათ გაავალმავებთ ორი მიმართულებით: 1) „ზღვრული ფორმები“; 2) „დაფარული რეზერვები“.

### 1. მორფოგენეტიკული ველების და შესაბამისობის „ზღვრული“ ფორმები.

დედამიწის გეოგრაფიული და კლიმატური ზონები ლანდშაფტებით და დამახასიათებელი ბიოსფეროთი სილამაზის კონტრასტთა ჰარმონიას ქმნის. ისინი დიაგონალთა რიგისა, განედებისა და გრძედების ბადეშია მოქცეული. თითოეულში იბადება საგანთა ფორმების და ფერების აღქმის განუმეორებლობა, ტონური ლექსიკა, სიმბოლოები, მეტაფორები, შეუცნობადი გარდასახული ილუზია. ისინი აღქმის ალოტროპული მოტივებით გამოირჩევა. თითქოს საზრისიც კი „ინატრა“ ტონში არის შეფერილი.

ერთი შეხედვით, თითოეული ზონა მეტ-ნაკლებად შეზღუდული არეა, მაგრამ სინამდვილეში იქ გვხვდება აღქმის ორი ფორმა:

1. „სიმრავლე მცირედში“ – იგი ყველაზე სრულყოფილად ვლინდება პოლარულ ზონებში.
2. „შერჩევითი მცირედი სიმრავლეში“ – ეს ფორმა ყველაზე სრულყოფილად ვლინდება ტროპიკებში. პოლარული და ტროპიკული ზონები უკიდურესად დაპირისპირებული არიან, მაგრამ სხვა ზონებსაც თავისებურად გამოკვეთილი მახასიათებლები აქვთ ისე, რომ, თუ დედამიწის მცხოვრებთა სამეტყველო ვიზრაციებს ლექსიკურ ჰანგთა „სიმფონიებად“ წარმოვიდგინოთ, გვექნება პლანეტარული ორკესტრების ულამაზესი განსხვავებულობა და ისინი იჭლერებენ „თითოეული თავისი გვარის-და მიხედვით“. ასეც უნდა იყოს, რადგან თითოეული ზონის წარმომადგენელს თავისი მახასიათებელი ბიორეზონანსული ველი აქვს, მისთვის დამახასიათებელი სამეტყველო და სმენითი აპარატი, ასოტონარმოთქმის და მეტყველების „აკუსტიკა“, რომელთაც ჰარმონიულად ერწყმის მუსიკალურ ბგერათა ტონები და ობერტონები. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ბერძნული მუსიკალური ესთეტიკა „ზეციურ ჰეპტაკორდს“ განიხილავდა, როგორც შვიდ-ბგერიანი თანმიმდევრობის მსგავსად განლაგებულ პლანეტებს. კიფარის შვიდი სიმის წყობა, ინტერვალებთა ბუნების თავისებურებით, საფუძვლად ედო პლანეტათა დაშორებებს, ხოლო შვიდი პლანეტა ქმნიდა სფეროთა ჰარმონიას.

გენიალური ფილოსოფოსის პლატონის „ზეციური ჰეპტაკორდის“ გრაფიკული გამოსახულება იქცა თავისებურ „მუსიკალურ ტრაქტატად“, სადაც მოხდა გეოცენტრული სისტემის ფიქსაცია – სფეროთა ჰარმონიის გაგებით, ეს გახლდათ სამყაროს ჰარმონიის იმდროინდელი წარმოდგენა.

... და კიდევ ერთი საოცრება: კიფარის მეშვიდე სიმი, მეშვიდე პლანეტის სფერო-ჰარმონია, როგორც ჰარმონიის მწვერული და მეშვიდე ასო ანბანში თავისი სპექტრით და სიტყვის „ვარიანტიული შერჩევით“. სამყაროს ჰარმონიის იდუმალებას შერწყმული განსხვავებული ანბანური დამწერლობა, განსხვავებული მეტყველება: ტონური, მახვილცვლადი, „რუნები“-სეული, ასო-ხმოვნებში ვარიანტულად ცვლადი, ანბანურ ხმოვნებასთან თითქმის კონსონანსურად გამთლიანებული... და, ამ განსხვავებულობათა მიუხედავად, მეშვიდე ასო ოქროს კვეთის ტოლფასად გადაიქცა.

ასეთია მეშვიდე სფეროს ჰარმონიასთან მეშვიდე ასო-ნიშნის „გადაძახილი“.

1. თანამედროვე ქართულ ანბანში ზ – ზეცა;
2. რუსულ ანბანში – З - зенит;
3. ლათინურ ანბანში – G – ოქრო, მზე (Gold)
4. ბერძნულ ანბანში – „ეტა“ – სიცოცხლე (ცხოვრება) და ა.შ.

ჰარმონიათა ზღვრული ფორმები არა მარტო უნიკალურია თავისი სილამაზით და ბუნებითა, არამედ ყველაზე აქტიური, ცოცხალი დინამიკითაც გამოირჩევა. ისინი უაღრესად მდიდარნი არიან კომპოზიციურ-ფუნქციური გარდასახვებით და მათი გამოსახულების ვექტორი განცდითი შეგრძნებისკენ იხრება. ამავე დროს სამყაროსთან სასაუბრო ენა კიდევ უფრო გაფართოებულ და სიღრმით მოდულებს მოიცავს და იგი სამყაროს მეხსიერებით ფონდში რეგულირდება. სწორედ ამ მიზეზით ფსიქოლინგვისტიკას კიდევ აქვს უაღრესად მნიშვნელოვანი, სამპუნქტიანი მეორე ფორმაც:

- ა) მორფოგენეტიკული ველების ზღვრულ ჩარჩოებში არსებული (დაფარული) რეზერვის ჩართვა;
- ბ) ქვეცნობიერის აქტივიზაციით მეხსიერებით „აუ-დიობილიოთეკაში“ საჭირო, დამატებითი ინფორმაციების მოძიება;
- გ) კოსმიური ინფორმაციული ნაკადებიდან შესაბამისი ვერსიების შერჩევა.

ქვეცნობიერის „არსენალი“ თავისებური ადამიანური ბანკია, იგი მოიცავს წინაპართა ცოდნას, შთაბეჭდილებებს, განცდას და მუდმივად მდიდრდება კოსმოსურ ინფორმაციულ ველში მომხდარი ახალი გარდასახვებით, ახალი მოტივებით, ახალი „ალბათობით“.

სწორედ ამგვარი „რეზერვი“ იძლევა საშუალებას, ადამიანმა იმოგზაუროს „ფსიქოდროში“. გარდა ამისა, შეუსაბამობის პირობებში იპოვოს შესაძლებლობათა გაფართოების გზები წინააღმდეგობათა გადასალახად. ამ პროცესშივე ჩართული სხვა უცხო ენათა ლექსიკური ერთეულები შემოჭრა, მათი გათავისება, გარდაქმნა, მეტამორფოზა, შინაარსობრივი გაგების შეცვლა და მათი შერჩევის ბუნებრივ პროცესში „მიუღებელთა“ განდევნა.

ენა, მართლაც რომ ცოცხალი ორგანიზმია, ყოფიერების ყველა სირთულეებით.

„ჟამი ფერს იცვლიდა“, იცვლებოდა ცივილიზაციები, ინვოლუციებს ცვლიდა ევოლუციები... და თანდათან ლექსიკურ ერთეულთა მოჭარბებული სიმრავლე იცვლებოდა სიტყვის ფუნქციურ მნიშვნელობათა მრავალსახობით. ამგვარად, ერთნაირი ფიქსაციისა და მსგავსი ფერადობის სიტყვებს განსხვავებული ფუნქციური დატვირთვის პირობებში შეეძლოთ მიეღოთ განსხვავებული მნიშვნელობა, იქნებოდა ეს ომონიმი თუ პოლისემია და ესეც სამყაროს სიცოცხლის კანონზომიერებათა ნაწილი იყო.

გენი სამყაროს მეხსიერების ყველაზე სრულყოფილი ნაწილია. გენი „მღერის“, როგორც მღერის სიტყვა, მღერის ასო; გენი გვესაუბრება იმ ენაზე, რომელსაც სიცოცხლე ჰქვია.


„ДНК“-ს „ლექსიკურ“ მნიშვნელობათა გაგებაც ამ ენის კანონებს ემორჩილება. ამის ბრწყინვალე მაგალითია თანამედროვეობის შესანიშნავი მეცნიერის ბა-

ტონ პეტრე პეტრეს ძე გარნიაევის ლაბორატორიული კვლევები. ამ კვლევებში დაფიქსირებულ გენში მიმდინარე ერთ-ერთი პროცესულური ფორმა გასაოცრად წააგავს ლექსიკურ ომონიმს.

არანაკლებ საინტერესოა, რომ ენის ანბანური ჰარმონიები, ასოთა სპექტრული მიზიდულობები, ომონიმი, პოლისემიები, დიალექტები და სხვა მახასიათებლები ხმოვან „ადეკვატს“ პოლობენ მუსიკალურ ენაშიც. მუსიკალურ ბგერათა სამყაროში, ინტონაციურ მოდულებში, ინტრამოტივებში; განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

ავთანდილ სიხარულიძე ბარი 1 დაბლობი, ვაკიანი ადგილი. ბარი 2 ბრტყელი წვერმახვილი რკინა.

ნოდარ მამისაშვილი




ბგერებს ერთნაირი ფერადობა აქვთ, მანძილი დო-სოლ და სოლ-დოც იგივეა, მაგრამ დო-სოლ ალმავალი კვინტაა, მას აქვს აჩქარების იმპულსი და სივრცის აღქმა ანუ ბარი, როგორც ვაკის სივრცე. სოლ-დო დაღმავალი კვინტაა და მას თავისებური დასრულების, „დამინების“ განცდა აქვს ანუ ბარი, როგორც სამუშაო იარაღი, რომლითაც მინას ბარავენ.

### პოლისემია: ავთანდილ სიხარულიძე

სანდალი – მომცრო ნავი. სანდალი – მსუბუქი საზაფხულო ფეხსაცმელი; სანდალი მსუბუქი ხის ჯიშია, რომლისგანაც ამზადებენ ნავსაც და საზაფხულო მსუბუქ ფეხსაცმელსაც.

ნოდარ მამისაშვილი



1. დო – ძირითადი ტონი არის ფუძე ინტერვალის, კვინტა ცენტრშია მოქცეული და მისი ინერციული დინამიკა შეფერხებულია. 700 ცენტის მწვერვალის ოქტავისთვის საერთო ცენტრია.

2. ზედა და – კვარტის ინტერვალის მწვერვალაა, ანუ ძირითადი ტონი მწვერვალზეა. საერთო წარმომავლობის ცენტრალური ბგერა კი არის სოლ. ამგვარად, ორივე დო ერთი სახელწოდებისაა, მაგრამ განსხვავებულ დროსა და სივრცეში მდებარეობენ, ამავე დროს, მათ საერთო მაკავშირებელი სოლ აქვთ – ეს უკვე პოლისემიის ინტონირებული ფორმაა.

ენის გრამატიკული ფუნქციების, ფონემის, ლექსიკის ომონიმების პოლისემიების და სხვა ელემენტთა ნებისმიერი ფორმა შეიძლება გამოისახოს მუსიკალური ინტონირების სახეობებით.

უძველესი დროიდან ხმოვნების ხანგრძლივობის ეტალონად და ფუძეტონად იყო მიღებული სპეცია-



Небесный гептахор. По диагонали Платона «Тимей» (38 c-d, 35 c-36 b).

►► **მეხუთე კვირდიან**

ლურად დამზადებულ ხის საკრავზე ჩაბერილი უხანგრძლივესი ბგერა. ნახტომურად მოძრავი ბგერები, რომელთა ხაზით გაერთიანება მოგვაგონებდა ელვას, იყო ღვთის რისხვის ამსახველი მოტივი. ორი ტონის მონაცვლეობა – ღმერთისადმი შეთხოვნა. ერთ ბგერაზე გამღერება, ან გამღერებით სიტყვების წარმოთქმა – ღმერთისადმი მიმართვა და ა.შ. სულ ოცი მთავარი ინტონაციური მოტივი იყო სამყაროს მბრძანებელთან სასაუბრო.

ენის თუ ანბანის განუმეორებელი სილამაზე დღესაც თანამედროვე კომპოზიტორების შთაგონების წყაროდ იქცა. პირადად მე დანერგული მაქვს მცირე ფორმის თხზულება, რომელიც მხოლოდ ქართულ ანბანურ ასოთა გაჟღერებული მინიკომპოზიციებისგან შედგება და სადაც ქართული მრავალხმიანობის მოდელები და სტრუქტურები გამოყენებული. საორკესტრო კოლორისტიკის, რეზონანსების, ფენოვანი დაშრეების და სხვა გამომსახველობითი „ემოციური“ ფონიკური „შუქ-ჩრდილის“ მეშვეობით ცალკე ამოღებული ერთი და იგივე მოტივი განსხვავებულ განცდით ემოციას იწვევს და ზოგჯერ განსხვავებულ მხატვრულ სახესაც ქმნის. ომონიმებისა და პოლისემიების რაობასა და ვარიანტულობას შესანიშნავად განსაზღვრავს ბატონი ავთანდილ სიხარულიძე. მათი სრულყოფილი განმარტება დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან თანამედროვე ბგერათა გარდაქმნის ინჟინერიამ კიდევ უფრო გააფართოვა სამეტყველო, ფონიკური და ინსტრუმენტული ომონიმებისა და პოლისემიების ნაირსახეობათა გამომსახველობა და ურთიერთშენაცვლება.

„პოლიფონიური ლექსები“, – ასე ჰქვია მუსიკალურ თხზულებას, სადაც ლექსმა კონტრაპუნქტის ფორმაქმნადი თვისება შეიძინა. თავისთავად ეს სახელწოდებ-

ბაც მრავლის მოქმედია. მისი ავტორია სამუსიკო ხელოვნების დოქტორი, ჩემი საკომპოზიტორო სკოლის წარმომადგენელი, ცნობილი ქართველი კომპოზიტორი ეკა ჭაბაშვილი. მის კომპოზიციებში ნაკითხული პნკარედიც მუსიკაა და ამგვარ პნკარედებში სიტყვის მარცვალთა რიტმიკით ზედნაშენი ლექსწყობა ახლებურად წარმოაჩენს ომონიმთა ვარიაციებს და განცდად ქცეულ სტრიქონებს ემოციურ ხატოვნებას ანიჭებს.

ასევე შესანიშნავად აქვს აღქმული სიტყვის მაღლი სამუსიკო ხელოვნების დოქტორს, უაღრესად საინტერესო კომპოზიტორს მაკა ვირსალაძეს (წოდარ მამისაშვილის სკოლა) მუსიკალურ თხზულებაში „აფორიზმები“.

მსოფლიო ხელოვნებისა და უმაღლესი ესთეტიკური გამოვლების შედეგში, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ აფორიზმები უძვირფასესი მარგალიტებივით გაბნეულა, ისინი ყველა საუკუნისთვის თანამედროვეა. მაკა ვირსალაძის მუსიკაშიც აფორიზმები ინსტრუმენტარის ახლებური ინტერპრეტაციით ქართული აზროვნების თვითმყოფადობით დაბადებული პოეტური გაელვებებია. თითქოს ინსტრუმენტები ერთმანეთს ესაუბრებიან, თითქოს მთელი ორკესტრი ამეტყველებულა.

საინტერესო გამომსახველობითი მხატვრული ფორმა შეარჩია ჩემმა დოქტორანტმა ლევან ბაგრატიონ-დავითაშვილმა თხზულებაში „კონფლიქტები“ ქალთა გუნდისა და ელექტრონული ხმებისთვის. ხმოვან ასოთა განლაგების რიტმული ნყოფის კომპოზიციებზე კომპოზიტორი ქმნის ნაფენას ლექსიკურ მოდუსთა სტრუქტურულ ჰარმონიებში. ელექტრონულ ხმოვანებათა მოდიფიკაციებს თავისებური ინტონირების განმტოებითი ვარიანტულობა შემოაქვს, რომელთა მოტივურ ჟღერადობათა მსგავსება პოლისემიურ ეფექტებს ეფუძნება.

პრინციპულად განსხვავებული „ლექსიკური“ ინტერპრეტაციებით არის შექმნილი იუმორისტული ჟანრის ორი მინიატურა:

1. „შემოდგომის ნისლი საკუთარი მდუმარებით, უერთდება ყვანჩალა“.
2. კონტრასტები: – სერიოზული, ცანცარა გოგონა და მათი ბრძენი ახლად გაღვიძებული მთვარის ზღაპრების თანხლებით“.
3. ამ ორიგინალური მინიატურების ავტორია ჩემი დოქტორანტი ლევან გომელაური. მის საორკესტრო აზროვნებაში იბადებიან „მოსაუბრე“ და „მთხრობელი“ ინსტრუმენტები.

ასო-მარცვალთა ვარიაციულ გარდასახვებს, სატიაციებს, ომონიმების ინტონირებით კომპოზიციებს და გარდასახვებს საინტერესო გამოგონებლობით იყენებს ახალგაზრდა კომპოზიტორი ლალი საბანიძე. ორიგინალური ელექტრონული და ნატურალური ხმების ნაფენებით „გაინსტრუმენტების“ საინტერესო მიგნებებსაც აღწევს.

ასე რომ, როგორც მუსიკალურმა ევოლუციამ გვიჩვენა, ომონიმებსა და პოლისემიებსაც გამოუჩნდნენ კომპოზიტორები. წინ კიდევ ბევრი რამ ახალი გველოდება და ის, რაც გველის, იმედიანი სურვილით მიწა დიდი ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის სიტყვებით აჟღერდეს:

„ენა აზროვნებს, ენა აზროვნებს უფრო ღრმად, ვიდრე რომელიმე ადამიანი, თუნდაც ის გენიალური იყოს“.

ენა ერის სიცოცხლეა, მისი უკვდავება; ენა მღერის მაშინაც, როცა ერთმანეთს ვესალმებით; ენა მღერის, როცა ვმეტყველებთ; მღერის პროზაში, ლექსში, მუსიკაში, ფრესკებში, ლოცვებში, ვაზის ჯვარზე, სვეტიცხოველში... ყველგან, ყველგან, სადაც დილის მზის პირველ სხივს ტაძრის სარკმელში შეუხედავს. ■

# აპაკი ჭარბიძის პირი დაუსის პანდლავა

1886 წელს აკაკის დაუნერია მწვავე პამფლეტური ლექსი, სათაურით „რჩევა (გადასული ამბავი)“, რომლითაც დიდმა მგოსანმა ალეგორიული ფორმით ამხილა ცა-



რიზმის მიერ საქართველოში გატარებული დიდმპყრობელურ-შოვინისტური, აშკარა რუსიფიკატორული პოლიტიკა და უშიშრად დაგმო ამ რეაქციული პოლიტიკური კურსის გამტარებელი უმაღლესი რანგის რუსი სახელმწიფო მოხელეები. კერძოდ, ლექსის პერსონაჟების – მოლას, ყადის და ახუნდის სახეებში პოეტს, შესაბამისად, ნაგულისხმევი ჰყავდა – კავკასიის ეგზარქოსი პავლე, კავკასიის მთავარმართებელი სამოქალაქო ნაწილში ალექსანდრე დუნდუკოვ-კორსაკოვი და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილე იანოვსკი. ცენზურისათვის თვალის ახვევის მიზნით, აკაკიმ ხსენებულ ლექსს დაურთო შენიშვნები, რომ „ეს ლექსი შაკ-აბაზის დროის ამბებს შეხება“, რომ „იმ დროს გადასახლებული ქართველები დღესაც ბევრნი არიან სპარსეთში“ და, საკმაოდ მოგვიანებით, 1894 წელს, სცადა მისი დაბეჭდვა ფურნალ „მოამბეში“, მაგრამ ამაოდ. ცარიზმის ცენზურამ კარგად გაშიფრა ლექსის შინაარსი და სტამბურად უკვე აწყობილის გამოქვეყნება აკრძალა, თუმცა, „მოამბის“ 1894 წლის მე-3-ე ნომრის ერთ-ერთ ეგზემპლარში მაინც „გაიპარა“ აღნიშნული ნაწარმოების საკორექტორო ფურცელი...

როგორც ირკვევა, აკაკიმ, კარგა ხნის შემდეგ, „გადაამუშავა“ თავისი ეს პოეტური ქმნილება და, გარკვეული ცვლილებებით, იგი 1904 წლის 29 აგვისტოს, სათაურით „პირობა“, გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“ (იხ.: №200, გვ. 2). აქვე დავძენთ, რომ ამ გამომზადებული ლექსიდან ამოღებული ხუთი სტროფი, ერთგვარი „ინტერპრეტაციით“, 1915 წლის 9 ივნისს დაიბეჭდა გაზეთ „სამშობლოში“ (იხ.: №99, გვ. 4), ხოლო 1917 წლის 3 აპრილს – გაზეთ „თავისუფლებაში“ (იხ.: №3, გვ. 1).

წინამდებარე პუბლიკაციით მკითხველს გვსურს გავაცნოთ აკაკი წერეთლის „თავგადასავლებით“ აღსავსე შემოსხენებული ლექსის „საფუძველთ-საფუძველი“ – ფურნალ „მოამბის“ 1894 წლის მე-3-ე ნომრის ერთ-ერთ ეგზემპლარში „გაპარული“ მისი ტექსტი, რომელიც ჩვენი საზოგადოებისათვის, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თითქმის უცნობია, რამეთუ ამ ლექსის მხოლოდ ვარიანტია (სათაურით „ახლანდელი პოლიტიკა“) შეტანილი დიდი მგოსნის თსკ (თხუთმეტ ტომად) II ტომში (იხ.: გვ. 172-173).

გიორგი გაბუნია

## რჩევა

(გადასული ამბავი)

მოლამ, ყადმა და ახუნდმა შეჰკრეს კავშირი ძლიერი, რომ გადიყვანონ ყირაზე საქრისტიანო მათ ერი.

წვერებზე მოისვა ხელი მოლამ, სთქვა: „ბის მირ ალლაო!.. ამ ხალხის გასათათრებლად უნდა ვიხმარო ძალაო!..“

„ავკრძალავ წირვა-ლოცვის დროს მათ ენას მამა-პაპურსო და მივსცემ სამაგიეროდ ჩვენს მეტყველებას დათვურსო!..“

ყადმა მიუგო ღიმილით: „ჰა, ქეშუმ, ბარაქალაო! სამართალს ჯანი გავარდეს!.. ხალხიც მას ენაცვალაო!..“

თითონ მე გავასამართლებ ჩვენგანვე გარყვნილ ერსაო... გინდა სტყუოდეს, გინდ არა, გავსწირავ, როგორც მტერსაო!..

წელ-წელა გადავასახლებ, იმათ დაუდგესთ თვალიო!.. და მაშინ სულ ჩვენ დაგვრჩება მათი მიწა და წყალიო!

ახუნდმა ბრძანა: „იახშია“, მეც ვეთანხმები მაგათო; მედრასებს გადავაკეთებ ხალხისთვის ვირის ბაგადო.

რომ სხვისი ვერა ისწავლონ თავისიც დაავინყდესთო და მათი ტკბილი იმედი უდროვოდ დაუმინდესთო!

დასძახეს: „ლია-ილ-ალლაო!“ ჩაყლაპვას ემუქრებოდნენ და ბევრი თურმე ჩვენშიაც იმათ ბანს ეუბნებოდნენ.

# ჩვენარად, ჩარსულ, ჩვენარად!

## ავინიონისკან

რუსთაველის თეატრი ავინიონის ფესტივალზე მიემგზავრებოდა. გზად პარიზში ჩაფერინდით.

აეროპორტში ოთარ იოსელიანი დამხვდა.

ავინიონის მატარებელი პარიზიდან სალამოს გადიოდა. მის გასვლამდე დიდი დრო იყო.

აბა, წავედითო, – მიტხრა ოთარმა. მე, როგორც ისინი ჩემდამი, ცოტა უნდობლად ვიყავი „კაგებესთან“, ჰოდა, იქიდან ახალგაზრდა კაცი გვახლდა და ვთხოვე მეგობარს:

მობი, ეს კაცი თან წავიყვანოთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ან ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ, ამას რომ არ შეეხედებოდეს, ან ამან რა უნდა დალიოს ამდენი-მეთქი.

წამოიყვანე, მამუკაო, – მიპასუხა და სამივე ცენტრისკენ გავეშურეთ.

პირველი, რასაც იოსელიანივან ველოდი, დასალევ „ზავედენიაში“ სტუმრობა იყო, მაგრამ, რესპექტაბელური შენობის კარი რომ შევადე, სულ სხვაგან აღმოვჩნდი.

უზარმაზარ წრეზე, რომელიც ნელ-ნელა ტრიალებდა, მთლად შიშველი ქალები ისკვანჩებოდნენ. წრეს მიდგომული ჰქონდა ტელეფონის ჯიხურის მსგავსი პატარა კაბინები სკამებითა და ქალაქის ერთჯერადი პარკებით. ქალები წრეზე ტრიალებენ და შენს ცხვირს ხან სასქესო და ხან სხვა ლამაზ ორგანოებს აბზრიალებენ. გინდა – უყურე, გინდა – ქალაქის პარკში... გინდა – ნუ უყურებ. კაბინაში შესვლა ფასიანია, რა თქმა უნდა. შეტონები შესასვლელში იყიდება.

მე პირველივე წრის შემდეგ გამოვედი. არ მიყვარს მარტოოდენ ყურება! ბავშვობიდან ასე ვიყავი. პირველი პორნოფილმი, მახსოვს, 1972 წელს ვნახე, მიუწინის ოლიმპიადებზე, იურა როსტან ერთად, მას მერე იქით აღარ გამიხედავს.

გამოვედი თუ არა, ოთარიც გამოვარდა. გავი ფიქრე, ჩემი არ იყოს, ყურება არც ამას ჰყვარებია-მეთქი!

წავიდეო, მამუკა, აქედანო.

ამ კაცს რა ვუყოთ, ყურება რომ ნაყვარება-მეთქი?

ახლავეო. წავიდა. ცოტა ხანში ორი მუჭი შეტონებით მობრუნდა. მუხლით შეულო კარი მადლიერ მაყურებელს, ჯიბეებში ჩაუჩხრიტა მთელი დღის სამყოფი შეტონები და წავედით.

პარიზი ნანახი გექნებათ, მე ნუ აღმანერინებთ. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ცოტა შევუბერეთ და მოსალამოებულზე „ნაღდ მაყურებელს“ გაუზარეთ. სულზე მივუსწართ: ბოლო შეტონი ჰქონდა დარჩენილი. გადავლილი, ფერმკრთალი ჩანდა და მარჯვენა ხელს მიითრევდა ოდნავ. სამივე რკინიგზის სადგურისკენ გავემართეთ.

... ავინიონში სპექტაკლები მშვენივრად წავიდა...

მაგრამ მონატრება სცოდნია პარიზს და მეგობარს.

ორი თავისუფალი დღე აღმომიანდა, შევასტი მატარებელს და... პარიზში ისევ ოთარი დამხვდა.

მე სიმართლე მიყვარს!

ორი დღე ვიყავი საფრანგეთის დედაქალაქში, ლუერის, დ'ორსეის, პომპიდუს ცენტრისა და მსგავსი ისტორიულ-ინტელექტუალური ადგილების არამცთუ ნახვის მცდელობა, სხენებაც კი არ ყოფილა. არა! მანქანით რომ ჩავუვლიდით, თვალს კი არ ვხუჭავდი, უბრალოდ – დრო, დრო, დროში ვინებოდით!

ცხოვრება კი ნამდვილად ჩქეფდა. ჩვენებურად, თბილისურად, პარიზული გაგებით.

როგორ?

რთულია ამის ახსნა...

მოკლედ, ორი დამე არ გვიჩნებია.

მესამე დილას ოთარი ისევ პარიზიდან ავინიონში მაცივლეს.

მდგომარეობა დაძაბულია, დაღლილობა, უძილობა, ალკოჰოლი... და ოთხი დიდი ჩანთა. ოთარმა მთხოვა, მე შეიძლება დიდხანს ვერ ჩამოვიდე თბილისში, ჩვენებს გადაეცეო, მაგრამ, მე მგონი, სამაგიერო გადამიხდა...

1972 წელს იურა გავიცანი მიუნხენში, როსტი. თბილისში რომ დავბრუნდი, რამდენიმე დღის შემდეგ ოთარი მიფრინავდა მოსკოვში. ვიფიქრე, იურას ვასიამოვნებ, რამეს გავუზღავნი-მეთქი და ოცი ბოთლი კარგი ქართული ღვინო მოვათავსეთ მე და მიმიკო ჭავჭავაძემ მუყაოს ყუთში. ძღვენი კარგად გავკარით თოკით და ოთარს გაცივება შევთავაზეთ. ძალიან ესიამოვნა, მახსოვს. გავუარეთ მანქანით. აეროპორტის გზაზე შევაპარე, ერთი კარგი რუსი ჟურნალისტი გავიცანი მიუნხენში... ჯერ ამაზე ბევრი იცინა, კარგი რუსი სად გაგონილაო, მერე ვუთხარი, ამანათი მომაქვს და, თუ ძმა ხარ, გადაეცი-მეთქი.

კი, ბატონოო...

უფიქრია, პატარა ფუთა იქნება, ჩურჩხელები ან ნაზუქებიო...

რეგისტრაციის მაგიდასთან დავემშვიდობეთ, გადავკოცნეთ. ამანათს დახედა. არ ესიამოვნა ამხელა ყუთის დანახვა, მაგრამ რაღას იზამდა... ანია... ანია და დამიანჭა. ისტიბარი მაინც არ გაიტეხა. ვაჟკაცურად მოტრიალდა და წავიდა.

ძალიან გამხდარი იყო მაშინ და სიმძიმისგან სხეული ყუთის მხარეს კითხვის ნიშანივით გადაიხრა... არ მახსოვს, შემეცოდა თუ შემრცხვია.

მიდიოდა, მილასლასებდა. გადავტარა რამდენიმე ნაბიჯი...

შეჩერდა...

ყუთი მიწაზე დადგა, მოტრიალდა და თქვა:

„Даб ничего вы безкорыстно в жизни не сделаете“. მიტრიალდა ღვინის ყუთიანა და შეუყვია თავის გოლგოთას. მერე, მართალია, ეს ღვინო მოს-

კოვში იურას თვითონვე დაუღია, მაგრამ ეს სხვა ისტორიაა.

ოთარის ჩანთებით დახუძილული შევედი რკინიგზის სადგურზე.

იმ საღამოს, რვა საათზე ავინიონში „რიჩარდია“. ფორმაში უნდა ვიყო. სხვა ვარიანტი არ არის. ასეც იქნება. მატარებელი ავინიონში ოთხ საათზე ჩავა, ორ-სამ საათს დავიძინებ, საკმარისია...

ოთარმა ბილეთი იყიდა და პარიზ-ავინიონის მატარებლის ბოლო ვაგონში, რომელიც სადგურის შესასვლელიდან პირველი – ე.ი. უახლოესი იყო, შემაცილა. დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ზურგ-და ხელჩანთები, რომლებიც, უნდა ვაღიარო, ღვინის ყუთზე ნაკლები სიმძიმისა არ იყო, საგულდაგულოდ დავაბინავე და მშვიდად ჩამოვჯექი. ავინიონამდე რვა საათის სავალია.

წინა ღამეს ერთ რუს გრაფინიასთან გახლდით სადილად. დიდად ნასიამოვნები ნამოვდილი იქიდან. გამოშვიდობებისას ოლგა ანდრეევანამ სამახსოვროდ ცვეტაევას პროზა მაჩუქა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ცვეტაევას პროზა ჩვენში აკრძალული იყო. ვიცი, რატომ? – მკითხავთ და გიპასუხებთ: საბჭოთა კავშირში მსოფლიოს მერვე საოცრება გახლდათ და იმიტომ.

ჰოდა, გადავშალე აკრძალული ლიტერატურა და დავეწაფე.

მატარებელი ბეჯითად მიუყვება ლიანდაგებს. მახსოვს, ერთ ადგილას დიდხანს შეჩერდა. ფანჯრიდან დავაფიქსირე სადგური ლიონი და მერე ისევ აქოთქოთდნენ ბორბლები.


დიდი ჯაღოა კარგი წიგნი. სულ დაგვიწყებდა ყველაფერს. იქა ვარ, იქ, წასული...

ამ განცხრომაში ვარ და მესმის მოკრძალებული ინტონაცია, სხვას ვერ დარქმევ, ფრანგულ ენაზე. ამოვიხედე და დავინახე მუქ ფორმაში გამონყობილი ყმანვილი კაცი, რომელიც უკიდურესი ტაქტიკითა და მორიდებით ბილეთის ჩვენებას მთხოვდა. ეს ზრდილობიანი ახალგაზრდა, გარეგნობით, სხვაფრივ არ ვიცი, კულტურის მინისტრადაც რომ გამოდგებოდა საქართველოში, ჩვეულებრივი კონტროლიორი იყო.

ამაყად გავუნოდე ოთარის ნაყიდი ბილეთი.

სანამ მოყოლას განვაგრძობდე, მიწადა გითხრათ, ხომ არის ქართული ნათქვამი: „გაქცეულ რუსს მოაბრუნებსო“ (ისე გაქცეული რუსი მარტო სიზმარში მინახავს, ცხადში ვერა და ვერ მოვესწარი), კი, ბატონო, გაქცეულ ინგლისელს მოგაბრუნებ, გერმანელსაც... ეს სიტყვები ლავ, ფაკ, შვან, ლიბე, ვიცი, მაგრამ ფრანგთან – მოსიერნესთანაც ვერაფერს გავანყო...

მოკლედ, ეს საქართველოს კულტურის მინისტრი თუ ფრანგი კონტროლიორი ჯერ განითლდა, მერე გაყვითლდა, მერე კეფა მოიფხანა თუ მოიგლიჯა უხერხულობისგან, მერე დარცხვენილა



გოგი ხარაბადი

ნაღვლიანი თვლებით წაილულულა რაღაც, ვითომ გარკვევით რომ ეთქვა, გავიგებდი რამეს?! ის რომ წვალობდა, მე ვიბრდივობდი, არ ვხუმრობ, ვხვდებოდი ინტუიციით, რომ რაღაც დიდი და არეული გზა მელოდა წინ. ემოციურად რატომღაც ის მომავლია, მკითხავი რომ გეტყვის – „დაღანია დაროგაო“ და შენ რომ გიყვები, სად მიშვებს ეს შობელძალდოო...

მოკლედ, საქართველოს კულტურის მინისტრმა, ანუ ფრანგმა კონტროლიორმა ბრძანა: ეს ვაგონი, რომელშიც ახლა თქვენ ზიხართ, შენევას უახლოვდება. თქვენ რომ პარიზში ბოლო ვაგონში ჩაბრძანდით, ის ვაგონი ლიონში შენევის შემადგენლობას მიბაძესო. ამას ყველაფერს მხოლოდ გაჭირვებული კაცის ინტუიციით მიხვდები, თორემ ჩემი ფრანგული?

ვაი, შენს „რიჩარდს“!

საათს დავხედე, პირველი სრულდებოდა!

ჩემს დროს სპექტაკლზე დაგვიანება ცოდა იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მიჭირს გავიხსენო მსგავსი მაგალითები. გაცდენაზე ხომ ლაპარაკიც შეუძლებია.

ერთი კი ვიგრძენი – თავით ფეხამდე ოფლმა დამასხა.

ახლა მთავარია, გული არ წამივიდეს. საქართველოს კულტურის მინისტრმა, ანუ ფრანგმა კონტროლიორმა წყალიც კი მომანოდა და ამ დროს მატარებელიც გაჩერდა.

ზურგ-და ხელჩანთებით ჩამოვვარდი მატარებლიდან, მერე კი, როგორც აჩქარებულ კინოშია, ისე ხდებოდა ყველაფერი. მარჯვნიდან, საითაც ჩემი ანგარიშით შენევა უნდა იყოს და არა ავინიონი, მოქრის მატარებელი, მე მეოთხე თუ მეხუთე ლიანდაგზე ვდგავარ და ჩემი ბარგი-ბარხანაანად, პირდაპირ ანა კარენინასავით, აბა, მიდი ლიანდაგებზე!! ბაქანი მგზავრებითაა სავეს, ლიანდაგებზე მოსიარულე ადამიანი ამათ არასდროს უნახავთ, თანაც ადამიანს არც ვგავარ, რაღაც მოძრავი ჩანთებია. ატყდა კივილი-წივილი, მატარებელი ახლოვდება, ჩანთები ანუ მე ბაქანზე ვერ ავდივარ. იქ კედელია, რელსებიდან ბაქანზე რომ მოხვდე, ორი-სამი მეტრია ასაძრომი, ამ ბარიერს ვერა და ვერ ვიღებ. უშველათ ღმერთმა, არ ვიცი, ფრანგები იყვნენ თუ შვეიცარიელები, ჩანთებიანა ამათრიეს და ჩამოინივლა კიდევ მატარებელმა.

ორი საათის სავალზე დავცივდივობდი მარინა ცვეტაევას კითხვაში ლიონს. ლიონში ერთი საათის ლოდინის შემდეგ გადავჯექი ავინიონის მატარებელში. ავინიონის სადგურიდან ტაქსიში – ტაქსიდან – თეატრში.

სრული სიჩუმეა, მარტო რამაზის ხმა ისმის: „აგერ, შესცვალა იორკის მზემ მბრწყინავ ზაფხულად...“ გადავჩივი! ამ მონოლოგის ბოლოს ჩემი გამოსვლა... მივილოთ რეპლიკა. პასუხი იქნება. მე აქა ვარ!





# ლოკოზ მეცროჟელი

## ართბულება

ნეტავი, გავჩენილიყავ  
სიოდ, ნიაჲად, ზეფირად  
და ყვავილიდან ყვავილზე  
პეპელასავით მეფრინა.

მე კი ბულბული მქვია და  
მკერდით ვარდის ბუჩქს ვესლები,  
რა ვქნა, ვერაფრით ვერ დავთმე  
მისი პირბასრი ეკლები.

●  
სანამ ჩაქრება ბოლო სანთელი,  
გიაბობ, რაც ვერ გითხრეს ლექსებმა,  
მაგრამ მამბრმავებს შენი ნათელი  
და ორთავ თვალი ცრემლით მევისება.

ვის სჯერა ჩემი ფიცი და მტკიცე,  
როცა იდგმება ამდენი ფარსი...  
ღმერთო, ამქვეყნად მხოლოდ შენ იცი  
ცრემლში გახსნილი ტკივილის ფასი.

●  
შენ სიყვარულად მონათლე ბანგი –  
გამოფხიზლებას ამაოდ ვცდილობ...  
სულ დავიბენი და მიხდა, ჰანგი  
შევეუნყო შენი სიმღერის კილოს.

იქ კი არა ჩანს ავი და კარგი  
არც მომავლიდან, არც წარსულიდან  
და მეჩვენება უცხო ეს ჰანგი,  
რადგან არ მოდის ჩემი გულიდან.

●  
რა დაგეკარგა მაინც მინაზე? –  
გახედე ზეცის ცისფერ მინაქარს...  
მთელი სიცოცხლე რომ არ იტანჯო,  
წასვლისას გეტყვი: ისევ მიყვარხარ!

მაგრამ ესეც არ შეცვლის არაფერს  
და სულ სხვის გზაზე ივლი მარტვილი,  
შენ – შესაძლებლის შეუძლებლობით  
სამარადისოდ გულში დაჭრილი.

●  
ვიცი, როგორღაც უნდა ვიცხოვრო  
და მოლოდინებს ბოლო არ უჩანს...  
ყველას ჩვენ-ჩვენი სამყარო დაგვაქვს:  
ოთახი, სახლი, ეზო და ქუჩა.

ვიცი, ყველანი სცენაზე ვდგავართ  
და ნაირ-ნაირ როლებს ვასრულებთ,  
მერე კი ერთი ან ბევრი როლით  
გაგვიხსენებენ უკვე წასულებს.

მაგრამ ხანდახან გაკრთება ოქრო,  
საგულდაგულოდ გადაშლილი  
და ფართოვდება სამყარო უცებ:  
ფანჯარა,  
ზეცა,  
ვარსკვლავი...  
გული.

მაშინ კი მესმის წკრიალი სიმთა  
და ნედლი ლექსით მენჯება ყელი...  
აქ მაინც ვიყო, როგორც მინდა, –  
არ შემეშალოთ, რითმებო, ხელი!

●  
ფარი უფრო დამჭირდება, –  
ვერ გამოვდექ მოისარად,  
ნუთუ, რაც კი დარდი არის,  
ყველამ ჩემთვის მოიცალა?

რა გამაშრობს, თუ ამ გზაზე  
სულ იწვიმა და ითოვა...  
ნუთუ, რაც კი ცრემლი იყო,  
ღმერთმა ჩემთვის მოიტოვა?

ვინ გამწირა სიმწრის წილად  
და სიმშვიდე არ მეღირსა,  
მაგრამ იქნებ ჯერ წინაა  
ბოლო ბგერა სიმღერისა?!

●  
როგორ შეიძლება ასე მოხდეს,  
მაგრამ, რომ გშორდები,  
ჩემს წილ ჰაერს  
ჟანგბადი აკლდება.

## ღაბვინაძეზული წარწერა ნიბნზა

ნოდარ ადგიშვილს

წყალგაღმა – კოშკი ბროლისა,  
მინდვრად – პეპელა ჭრელი,  
დარდი ხელმწიფის ასულზე  
და სიყვარული მწველი.

ცაზე – ვარსკვლავთა ციალი,  
ქოხში – დადარი ცხელი,  
თვალეებში – სევდა ტიალი,  
გულში – ქვეყანა მთელი.

როგორც ლოცვა და ვედრება,  
ერთი სახელი: – ლელი!  
ასე მძიმე და მსუბუქი  
წიგნი – ცრემლისგან სველი.

●  
თოვლი მოვიდა.  
ხვაერიელი თოვლი მოვიდა  
და შავ-თეთრ ფოტოს დაემსგავსა  
უეცრად ქუჩა.

●  
ისე ყვადრენ ყაყაჩოები,  
თითქოს პირველად მოესწრენ ზაფხულს,  
ისევე ვისხედით განმარტოებით  
და მერამდენედ ვნანობდით წარსულს.

ფიქრმა ნაღველი ხმაში გარია  
და ორი ცრემლი შეერთდა წასკვად...  
ჭრელ კაბას ჭრელი ჩიამარია  
გულსაბნევივით მიწიდან აწყვა.

●  
მოთქრიალებდა სიტყვების თქეში,  
ემატებოდა მიწას სიმძიმე,  
გადავდიოდი ლექსიდან ლექსში  
განახლებული, თანაც იგივე.

ჩემიც რომ იყო, მუდამ მახსოვდა,  
ეს ველები და ეს მთა-გორები,  
წინ მივდიოდი და უნებურად  
წინაპრებს ჩემსას ვიმეორებდი.

## ცოლის პასუხი

(„შემომეყარა ყივჩაღის“ მიხედვით)

შემოგვეყარა ყივჩაღი,  
ჩემზედ მოგიხდათ ცილობა...  
ეს მერამდენედ დაგლუპა  
ქართულმა ზნეკეთილობამ.  
პური მოგთხოვა – აჭმიე,  
ღვინო მოგთხოვა – შეასვი,  
მანაც თავისად იგულა

შენი ყანა და ვენახი.  
ხელ წამატანა ურცხვად,  
მეც მიმიჩნია თავისად.  
ხმალი იმიშვლე – დაგასწრო,  
იქვე შენი მზეც ჩავიდა.  
მაინც მოასწარ, უწვდინე,  
სისხლი ჩანჩქერად დიოდა,  
მინა მოფხოჭნა ყივჩაღმა,  
ცხრაგან ჭრილობა სტკიოდა.  
ორივემ სული დალიეთ,  
ცრემლი მიღობდა წამწამებს...  
მე არავისთან წავსულვარ,  
ცილი ტყუილად დამწამე.  
სახე – მზიანი, სამზეო –  
შავი მანდილით ვიფარე,  
ათასი წელი გიგლოვე,  
მაინც ვერ გადაგიყვარე.  
ათასი წელი გეძახდი,  
ცაში ლეგენდად წასულო,  
ახლა კი ეჭვი შემეჩნდა,  
რალაც ცუდ სიზმრებს ვნახულობ:  
შემოგვეყარა ყივჩაღი,  
საცაა, გამინაპირებს...  
შენ კი სიკვდილის გეშინის,  
ხმლის მოქნევას არ აპირებ.

●  
შემოგჩვენებინა ნისლები,  
ჩემო ციხე და გოდოლო...  
ო, რა ლამაზად ნითღდები,  
ნეკერჩხლის მწვანე ფოთოლო!

სულ მალე უნდა აცივდეს,  
სულ მალე უნდა მოთოვოს...  
შენ საით წაფარფატდები,  
ხეს რომ მოწყდები, ფოთოლო?

ამდენ სტრიქონს რომ მიგზავნი,  
უსახლკაროვ და ობოლო,  
ცას შეერევი თუ მიწას,  
ნეკერჩხლის ხმელო ფოთოლო?

●  
სანთელი თითქოს იმიტომ ენთო,  
არ შეჩვეოდა სიბნელეს თვალი...  
შანდალი ჰგავდა გადამილი ტიტას,  
მტვრიანებს ჰგავდა ყვირთელი ალი.

ჰაერში თითქოს ეკიდა კითხვა:  
სად იყავ ახლა, სად და ვის გვერდით?  
შორიდან მაინც ვგრძნობდი შენს სუნთქვას  
და სანთლის შუქზე ა, ამ ლექსს ვწერდი, –

არა იმიტომ, თავი გამერთო,  
მომერეოდა სანამდე რული,  
არამედ მისთვის, რომ გამლღვალყო,  
არ შეჩვეოდა სიჩუმეს გული.


●  
სულ მიუწვდომელს რომ ეტანები,  
გულო, სანამ უნდა ითახებოდ?  
არც ისე შორს ჩანან ვარსკვლავები,  
გინდოდეს, გაფრენა ვერ გაბედო.

მერე რა, რომ ზოგჯერ ინისლები,  
ცაო მომწუსხველო, გულწამტანო...  
არც ისე შორსაა გაზაფხული,  
ზამთარი რომ ვერ გაიტანო.

იქნებ, შეეწყვილო მარტოსული  
ახლად აყვავებულ ტყემლის რტოებს...  
არც ისე ძნელია სიყვარული,  
ვერ შეძლო, თუკი მოინდომებ.



# ვაჟა ხორციელი



არცთუ პატარა ეთქმობა რიონის პირას გაშენებულ სოფელს! ოთხი ძველი და ერთი გორის პირზე ახლად მშენებარე უბანი შინაურ-გარეულობით, ერთ მუშტად იყო შეკრული, მთლად ასე დანამდვილებით ვერ იტყვოდა კაცი, მაგრამ რაღაც ამდაგვარს კი ჰგავდა შორიდან

სოფლის მესამე უბანი, უფრო მდინარის პირზე რომ იყო, „საკრებულო“ ადგილად მოიაზრებოდა. ისე, როგორც არ უნდა გაგვიკვირდეთ, აქედან იქით და იქიდან აქეთაც გაჭიმული გზის შუაგულში (გზა, რა თქმა უნდა, იმ ადგილზე იხლიჩებოდა), რატომღაც, ნაბლის ხე იდგა.

...საკმაოდ მაღალ და ლამაზვარჯიან ხეს ირგვლივ გაშალაშინებული ფიცრებისგან გაკეთებული სკამები (მისაყუდებლით!) ჰქონდა შემოვლებული, რომლებზეც დიდიდან გვიან ლამემდე (წვიმა ტრაგედია იყო „ქვემდგომთავის“) იხსდნენ სოფლის „ქვემსახური“ ბიჭები და ამ სოფლისა თუ იმ სოფლის, ამ მთისა თუ იმ ბარის ჭორ-მართალს ისეთი „ენერგით“ უყვებოდნენ ერთმანეთს, რომ თავის ნათქვამ-ნაამბობის თვითონაც კი სჯეროდათ ხანდახან.

...არა თქვამთ ახლა, ნაბლის ხის ქვეშ დასკუპება და დასვენება ვინ გაიგონაო, მონუელი, გაშლილ ვარჯზე „ზემჯდომი“, გაბრძინებულ „ნემსებანი“ ნაყოფი რომ ჩამოვარდეს, ხომ შეიძლება ქვემჯდომ ადამიანს, ყოველგვარი შემთხვევითობის გარეშე, შიშველ თავზე დაეცეს და რას შერება მერეო...

...თქვენც არ მომიკვდეთ, ამ პატივცემულ ნაბლის ხეს არასდროს არ მოუტანია „მოსავალი“. გასაკვირი კიდევ უფრო ის იყო, რომ ადრე არავინ არ კითხულობდა ნაბლის ხის „უშვილიძრობას“, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს სოფლს დაუბრუნდა (მასწავლებლის სტატუსით!) ადგილობრივი მკვიდრი, პროფესიით უკვე ბოტანიკოსი ველოდი მისსურაძე! სწორედ ველოდიმ შეძლო ამ საიდუმლოს ახსნა! აი, რა დანერა დასკვნაში (სოფლის საკრებულოს წარუდგინა საჯაროდ!): „დანამდვილებით ვიცი, რასაც ნათლად ადასტურებს ჩემს მიერ ჩატარებული ნაბლის ხის ბიოქიმიური ანალიზები, სოფლის სიმბოლო, ულამაზესი მცენარე დედალია!.. დიდსა თუ პატარას, ყველას კარგად მოგესხენებათ, რომ დედალს აუცილებლად სჭირდება მამალი! ჩვენდა საუბედუროდ, მის ახლომხებო მამალი ნაბლის ხე დღემდე არავის დაურგავს! აქედან გამომდინარე, ხე უნაყოფოდ დარჩას!.. და იქნება იქამდე, სანამდე ხელს არ შევამელებთ!..“

...ამის თქმა იყო და გონება და ხელი ერთად გაეხსნა სოფელს – მაგას რა უნდა შე კაცოო, გადასძახოდნენ ერთმანეთს, რატომ აქამდე ვერავინ მოვიფიქრეთ, ბოშოო, შესჩიოდა ქვედა უბანი ზედა უბანს... არადა, რა კარგი რამეა, კაცოო, თახჩა მაგას არ უნდა და სასუქი, ის კი არა, ხეზე ასვლაც კი არ არის საჭიროო, გვიან შემოდგომაზე თავისი სურვილით სულ ბარტყაბურტყით ცვივა ნაყოფო... მიდი, შე კაცოო, აკრიფე, ზოგი ჭამე, ზოგიც გაყიდეო... ერთი სიტყვით, ნაბლის ხის მოშენება ზარმაცი კაცის საქმეაო...

...სანამ ხალხი მიდგებ-მოდგებოდა, სოფლის სამწუხაროდ უნდა ითქვას, ნაბლის ხის სპეციალისტს, აქტივისტ ბოტანიკოს ველოდის, რომ არ ელოდა ისე, ბიძამ ქალაქში უკარ თავი, საყვავილე „პარნიკი“ შევიძინე, ბოტანიკოსიც შენი იყავი და მისი უფროსიცო!.. შენი სოფელი, იქაური მასწავლებლობა და ნაბლის ხეები ფეხებზე დაიკიდეო!..

...წავიდა ბოტანიკოსი და დედალ-მამალი ნაბლის ხეების დარგვისა და გაშენების იდეაც თან გაიყვალა!..

...ჰოოდა, იმას ვამბობდი და ვყვებოდი, კაცო, იმას... თუმცა რა დროს ჭორაობაა, დრო ამოიწურა, რაჟღერა ჩემის კარი მიხურა უკვე, გზაზე გამოვიდა და „საკრებულოსკენ“ აიღო გეზი.

– რაჟიკო მოდის, ბიჭო, რაჟიკო!.. ჩვენიკენ მოდის, ბიჭო!.. რაღაცა ხდება ან მის თავს, ან ჩვენ დაგვმართებს რაღაცას!.. მაგი ტყუილია ან ჩამოვიდოდა, რაღაცას გამოელის ვილაცისგან, თვარა რამი წირდება სოფელი, ისე აქვს თურმე

თბილისში სახლ-კარი მოწყობილი, მეფეს თვალი დაუდგებო, ამას წინებზე ბეჭეტურობდა შალიკოს ქვრივი!.. – თქვა მეღვეთ იოსებამ (ოცდაათის კი იქნებოდა იოსება), სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა.

– მაგას, ბიჭო, ბატონო რაჟდენ ან რაჟდენ ბატონოთი თუ არ მიმართე, ძალიან ეწყინება!.. რაღა დროს მაგის რაჟიკუნაა, ბიჭო, იმდენი მასუთი იშოვნა, რაჟიკო რომ დაუძახო, არ მოენონება!.. შეიძლება ხელიც კი გაიღოს!.. შენი მიამი-

## „ხემსახური“. „ქვემსახურები“ და... სასიჩვენო ლოდები...

ტობა რომ ვიცი, იმიტომ გეუბნები, არ ნამოგადეს, თვარა, ცუდად დაგებრუნდება შენივე ენა! – ერმილეს ბიჭმა, იოსებასთან ერთად, სხვა „ბირჟავიკებიც“ გზაზე „დააყენა“.

– ფული იშოვნაო! დიდი მასუთი აქვსო!.. რა ვიცი, ბიჭო, აქანა ხშირად კი არ ჩამოდის, მარა, როცა ჩამობრძანდება, ერთ ლარიანს ვერ გააგდებინებ ხელიდან!.. რა ჩემ ფეხებზე უნდა მასუთი, ბიჭებში თუ არ დახარჯა, გაიკეთოს უკან!.. ნუნურაქი რო არი, არ ეტყობა? ექვსი მეტრია გზიდან მის ქიშკრამდე და ასფალტი არ დააგო!.. ფული მე უნდა მქონდეს, მაგას კი არა!.. რა სუფრებს გავეშლიდი გზებზე, ოძელაშვილი მოგონილი იქნებოდა ჩემთან! – მოჭუჭუელი ტურქებით „წარმოთქვა“ სიტყვა „ქვემდგომი“, ყველაზე მაღალმა და ტანმოსულმა, ბიკენტის გერმა, მეორე ცოლს მოყოლილმა მამალომ (ბიჭს დაბადების მეტრიკაში არსენა უწერია)!..

– რავა სვენებ-სვენებით მოდი-მოტასაობს!.. ლობე-ყორეებსა და ახალაშენებულ სახლებს აკვირდება! აქ, ძებო, რაღაცაშია საქმე! – დაკვირვებული კაცის გამომეტყველებით თქვა სიტყვა იოსებამ, ფეხზე წამოდგა და მხერა, რაჟიკოს „ამოცნობის“ მიზნით, უფრო გაამახვილა.

– დანამდვილებით ვიცი, სახლის აშენებას იწყებს დღეიდან!.. გუშინ ჩემი თვალით ვნახე, რაიონის გამგებელი და ვილაცები იყვნენ, „კამაში“ მოიყვანეს, არმატურა და ცემენტი ჩამოცალეს, ფიცარიც უედ დააყოლეს, კიდევ რაღაცები მოიტანეს, სახლში შეიტანეს და წავიდნენ. – რო ბიზონამ (კრუზოს ეძახდა მთელი სოფელი!) მშვიდი ტონით დაადასტურა რაჟდენის ოფიციალური ვიზიტი სოფელში.

– მოიცა, მოიცა, რას მიაცვ-მოაცვამ, გამგებელი და რაჟიკუნა ერთ ჯამში და საინში რა შუაშია? – იკითხა ვილაცამ.

– გამგებელი შუაში კი არა, მშენებლობის თავშია ახლა! რავა, ბიჭო, თქვენ მართლა ჭურში ზიხართ?.. თუმცა რა, დღეის მეტს არაფერს აკეთებთ და!.. ტელევიზორი კიდევ ამ დანყვევლით სოფელში მარტო იმ არხს ერეცება, სადაც პრეზიდენტი უბერავს თავის წარმატებებზე... აქედან გამომდინარე, მოვალე ვარ, გაგარკვიოთ, ამიტომ კარგად დამიგდეთ ყური: ბატონი რაჟდენი კენჭს იყრის, ქვას კი არა!.. რამხელა რაღაცაა, მაჟორიტარი დეპუტატი გვეყოლება ჩვენი სოფლიდან ამ რაიონის ნაციონალური მოძრაობის განხრით, – წყალგაუჟვალი დასკვნა დადო ბირჟაზე კრუზომ.

– ტყუილი იქნება! რა ჯანდაბად უნდა დეპუტატობა! ფული სად წაიღოს, არ იცისო, ასე ამბობთ, თქვე ჩემბალალებო და... ისე, ჩემი მიხედვითაა მათა და მოკლე ჭკუით, დეპუტატობა მათში ფინდა კაცს და მათინ ისწრაფვი მისკენ, ფული რომ იშოვო, ფული რომ აკეთო!..

– არა, მე მაინც ვერ ვხვდები, ამ საქმეებთან რა შუაშია ჩვენი გამოქლიავებული გამგებელი! – არ იშლიდა ის ერთი.

– ბიჭო, გამგებელი „პეშკაა“ ახლა მაგასთან!.. ყველაფერი ზევიდან, ნაციონალების თავკაცებიდან მოდის!.. ნათქვამი აქეთ რაჟიკოსთვის, უფრო სწორად, ნაბრძანები, დახარჯე ეგ ოხრად ნაშოვნი

ფული, დაარივე დასარიგებელი, მოისყიდე სოფლებში ხალხი, რაიონის საჯარო სამსახურის რეზერვი ჩვენგან საჩუქრადო და თბილისში დეპუტატად გამოგვეცხადეო! თუ ასე არ იზამ, მართალია, ციმბირში ახლა ჩვენი საპრობილეები არ არის, მაგრამ გლდანის მე-მ კომფორტული „აგარაკი“ გარანტირებული გაქე-

სო!.. მე შენ გეტყვი, ამ განუკითხაობაში ბიზნესმენს იალოში ვერ მოუძებნი, აი!.. ამიტომ, ჩემო ძებო, გამგებელი ტრაკს მიცემს, რომ როგორმე რაჟიკო გაიქაროს – რაჟდენის ფული, ზემოდან მხარდაჭერა და რაიონის სამოხელეო სამსახურის რეზერვი – აი, მაჟორიტარი დეპუტატის მანდატი!.. გაიგეთ, რა ხდება?

– ბევრს რო ატრაკებ და აგვირისტებ, რო არ მივიდეთ და ხმა რო არ მიცვით, რა ჩემს ფეხებს იზამენ ან გამგებელი, ან რაჟიკუნა!..

– ჰო, ჰო, არ მისცემ, აი!.. ჯერ ერთი, ვინც არ მივა საარჩევნო ყუთამდე, კიდევ უკეთესი! ნამოუსვამს ხელს ბიულეტენებს კომისიის თავმჯდომარე და უთაქებს ყუთში რაჟიკოს სასარგებლოდ... ჰოდა... ისე, ამის წინა არჩევნებზე შენ არ იყავი, ერთი ტომარა ფქვილი, სამი ბოთლი ზეთი, აქედან ორი „მზიური“ და ერთი „ბარაქა“, კიდევ ისა, კინაღამ დამავიწყდა, ოცდახუთკილოიანი შაქრის „მეშოკი“ პირველმა რო შეაცუნცულე სახლში, გამოფხეკილ ბელელში დაღე მეც, გამოფხეკილ რო დადიოდი, ქუდზე კაცმა ამას უნდა მიცვით ხმაო?.. ისიც კი ვიცი, ფეხის ქირაში სხვაზე მეტი რო გაქვს ალებული... და, საერთოდ... ისა კიდევ... არ მათქმევინო რაღაცები, თვარა...

– შეწყვიტეთ ჩავილილ საქმეზე უაზრო ყყყინი! მოგვადგა, ბიჭო, ფეხებთან საპატოო სტუმარი და ესაა!.. ადექით ყველა, დამწკრივდით! მდიდარი კია, მარა, სხვა რო არაფერი, თანასოფლელია, ბიჭო, კარის მეზობელია, ბიჭო!.. – შალიკომაც „გახარჯა“ „პახმელიაზე“ გამოსაყვანი სიტყვებით.

– გამარჯობა, ბიჭებო! რას შერებით, ხომ ხართ კარგად, ძველებურად! – რაჟდენი მხამდალა მიესალმა სოფლის „ამქარს“ და ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი.

– როგორც ჩანს, ბატონო რაჟდენ, არა გვიმავს! ისე, დღეს შაბათია, უქმე დღეა და ვისვენებთ, ჭორაობით ვიქცევთ თავს! – იოსებამ წარმოთქვა „მონინავე“ სიტყვა.

– ოჰოო! – გაელიმა რაჟდენს, – არ მითხრათ ახლა, ორშაბათიდან პარასკევ საღამომდე ისე ვართ ბარ-თონის ტრიალში, შუბლიდან ოფლის მოსანმენდად არა გვეცაღიაო!.. რაც მე ჩვენი სოფელი მახსოვს, სულ ასე იყო, ცოტა მუშაობდა, ბერი კი ჭამდა!.. როგორც ვიცი, დღემდე არაფერი შეცვლილა და, ალბათ, არც შეიცვლება! ეს ცხოვრების კანონი ათადან და ბაბადან მოდის, ვერავინ შეუბრუნა გვერდი!.. ჰო, რა ამის პასუხია და, – საუბრის თემას გვერდი უცვალა რაჟდენმა, – დღეს ყველანი მჭირდებით!.. ამ დილიდანვე მჭირდებით!.. ხრემი უნდა მოვიტანოთ ორი კამაზი, მარა, ისეთი ხრემი, ქვა და ლოდი არ უნდა ერიოს შიგ!.. წმინდა უნდა იყოს, ხომორ-კაკალივით ამორჩეული, იმენო ლაფატკით დატვირთული!.. სახლის აშენებას ვინცებ დღეს! ძალიან ვჩქარობ, სანამ დეპუტატი გახვდება, მანამ უნდა დავდგა ლამაზი ხურვილი, მერე რომ არ დაიწვი, მაჟორიტარი გახდა თუ არა, მაშინვე სასახლე წამოჭიმო!.. ერთი სიტყვით, პროექტი მზად არის, „ბეღარუსი“ მოვა ახლა, საბალაგრეს ამოჭ-

რის და... თქვენ მარტო ხრემის მოტანა გევალებათ!.. ცემენტის მოზელასა და არმატურის დაწყობაზე არ შეგანუხებთ, სხვები მოვლენ და ისინი იზამენ მაგ საქმეს, ჩასხმითაც ისინი ჩაასხამენ, რასაკვირველია!.. ჰო, ისა, მთავარი, – თვალი ჩამოატარა ბიჭებს რაჟდენმა, – მეზობლები კი ვართ, მაგრამ მეზობლობა ახლა აქ არაფერ შუაშია!.. შრომა რაც გიღირთ, იმაზე მეტს გადაგიხდით, მხოლოდ, როცა ხრემს მოიტანთ და ჩავიბარებ, აი, მაშინ!.. ჩემი გამოგონილი არაა, შრომის კოდების მოითხოვს ასე!.. თანაც, რომ იცოდეთ, ცინცხალი ბარ-თონ-ნიჩბები თუ ლაფატკები გუშინ ჩამოვიტანე თბილისიდან!.. თუ თანახმანი ხართ, წავიდეთ ჩემთან, მანქანა მოვა და წავიყვანთ! – დაამთავრა სათქმელი რაჟდენმა, ხელები მოიფშინა და ბიჭებს ერთხელ კიდევ მოატარა მხერა.

– ბიძა რაჟდენ, რიონის ქალის ის მონაკვეთი, სადაც კაი ხრემია, გაყიდული რომ არის, რა ვქნათ?.. ჩინელებმა იყიდესო, ამბობენ, თვარა იქ მე ვერც ჩინელს ვნახავდი და ვერც თურქ-სელჯუკს, ახალი მეპატრონეც მოკვდენია იქაურობას, იმათ მერე საერთოდ არ ვეკარები რიყეს! – თქვა მამალომ და იმანაც გადახედა ბიჭებს.

– ეგ საქმე გამგებელმა მოავგარა!.. მაგაზე თქვენ არ ინერვიულოთ! – თქვა პასუხად რაჟდენმა და შუბლზე ნაოჭები დაულაგდა.

– საუნიის საქმეც მოგვარებული აქვსო! ჭორები დადის, მთავრობის ისეთი მაღალჩინოსნები ჩამოდიან ვერტმფრენებით და ისეთი ვილაცები ჩამოყავთ და ისეთი რამეები ხდება იქ, დედა შვილს არ აიყვანსო... ისე, იმ დოყლო გამგებელს, თუ თავი ჰქონდა, ჩვენი ბიბლიოთეკა არ უნდა დაეხურა!.. ინფორმაციის ვაკუუმი სოფელში!.. ნაგვეკითხა ჩვენც ოპოზიციური პრესა, რა მოხდება! ხმას ხომ მაინც იმაზე მიგვაცემინებდნენ, ვიზეც ნაციონალები მოისურვებდნენ!.. თუმცა ჩემი და ხო გახსოვთ, ელისო, უკვე ყოფილი ბიბლიოთეკარი, მაინც ახერხებს გაზეთების შოვნას და რაღაც-რაღაცებს ამ შარაზე, ამ ხის ქვეშ უკითხავს გამვლელ-გამომვლელებს! – ერთი დაჩივლება აფრასიონამაც დაიჩივლა მომავალი დეპუტატის წინაშე.

– ყოჩად, ელისო! რაღა შორს წავიდე, კოორდინატორად ავიყვან ჩემთან. კარგი რამე მითხარი. გადაეცი, დღესვე მნახოს! – რატომღაც სახე გაეხსნა რაჟდენს.

– თქვენთან მისი კოორდინატორობისა რა მოგახსენოთ, ცოტა უცნაურობა დაეტყო ამ ბოლო დროს, მარა, იმას კი გეტყვით, ხუთჯერ მაინც წამიკითხა თქვენი ინტერვიუ, ამწინებზე ჩვენი რაიონის კორესპონდენტისთვის რომ მიგიციათ... გნებავთ, გეტყვით, ზეპირად მახსოვს ის ადგილი...

– ბრძანეთ! კარგია, რომ კითხულობთ და რაღაცის აზრზე ხართ!.. ალბათ, მარ-

►► გაგრძელება გვ-11 გვ.

ცის მინდორი

ძლიერ მინდა, შვლის ცხელი სუნთქვის არ ეშინოდეს ბინულს... მინდა, ქარებმა ტყე რომ არ დაარბიონ!

აქა-იქ რომ შემორჩა თოვლის თეთრი ბუმბული, მზეო, ისიც დაპენტე, ყანებს წვიმად მოჰგვარე!

ხშირად აქ, ზამთარშიაც, როგორც მერცხალმდევარა (იამ, ყვავილების მზემ, სიხარულის მთა ვარო?), აფრენილა კორდიდან, არცთუ დაუდევარი, მწვანე ცეცხლი ზეცაში, სულო - სისხლო მთავარო!

ძლიერ მინდა, შვლის სუნთქვის ლურჯ ნისლს რომ ეშინოდეს, მინდა ძლიერ, ქარებმა ღრუბლები დაარბიონ!

მთვარის და ქარის მუსიკა

მთვარე წყნარი, ან ქარი რო გამოსცემს მუსიკას, ვერასოდეს ვერაფრით ჯადოსნური ფლეიტაც!

სურდა, ეთქვა, მინდორზე მობნეული მთიებით - მზექართული ანბანით - შენ ხომ უკვდავ ჰყავ ია!

ხვალეც, მერეც - ნიავი შეერევა რო დიკას, ჩიტი, ცხარედ წითელიც, იტყვის: - ტყით მზეს მე ველი!

მთვარე წყნარი, ან ქარი რო გამოსცემს მუსიკას, ვერასოდეს ვერაფრით ჯადოსნური ფლეიტაც!

ღელე - წყალი ბორბალა

კაცმა თოფით, სიჩუმის ცივი მზე რა მოკლა, გამოფრინდა ლურჯ ტყიდან, ყურგრძელი კურდღელივით,

თავი, ტანიანად, ჯერ ტყით გაიხარა, მერე ცას ეკვეთა... მტერი და მოკეთე, ველარ გაარჩია... როცა დაიხარა, ზღვამ თავი მოკვეთა!

ნადირგამოკიდებულ ყურგრძელი კურდღელივით გამოვარდა ლურჯ ტყიდან ღელე - მზერა მოკლევ?

სულის სიხარული

ყანამ, თავბრუალამ, დღე ვით ისიმიდა (ზღვა თუ ზღაპარია, არი სიო - მითი!),

მტკვარი მზეს ეწვიოს ცაში, მინდა, მდორე, თორემ ისეც ნიავს ფრენა სად არ უწევს!

ჩივს რაზნელოვ

ცვარნაბია დილას ახსოვს ანაკლიის კრავი, კრავის ლანდიც, ზედ რომ გულზე ება!

ყანამ, თავბრუალამ, დღე ვით ისიმიდა (ზღვა ტყით - მზის სულია, მზის ცით სიო - მითი!),

საამო მრავალწერტილი

ბროლის წყალში ხეების ბანაობენ ჩრდილები... ნიავს მოვის პერანგის შეუხსნია ღილები...

ირემი

/ორკარედი/ 1. ირემმა, კისრის წყალობით, ღრუბელი მარილივით

2. ირემმა, თაფლაკისერამ, მიირთვა რძით სავსე ყლორტი,

მეტია მზე რით

შრომანისფერ ღრუბელზე მეტიაო მზე რით, - მიდგა, ცეცხლს და ცოცხალ პურს მიეფერა მზერით

შრომანისფერ ღრუბელზე მეტიაო მზე რით...

მურუბუმუ ცა

იყო ქერის, ქარისაც, მოსავალი უხვი წელს. დაბლა დასცა ყვავივით თოფმა ყრანტალიც ყვავის!



მურუბუმუ ცას ცეცხლი, ნახეთ, თუ ვით მოედო, თოვლქარა ალვაც დღეს მზეზე ლამაზი არი!

იყო მზის და მთვარისაც მოსავალი უხვი წელს? დაბლა დასცემს ქორს ქარი, მაფშალია - მიმინოს!

ღეღამინა

ღეღამინა ქვევრია - უძიროც და უპიროც? ტანი - მზეზე, ჯირკვზე კი - ტკბილად უწევს თავი!

ამოა, გასაკვირად, ხშირად სავსე შხნაკვებით სოკო - ქოლგაკობლებაც - ხერთვისით თუ ცემით!

მერე ალვებს, ყაყაჩოს უქეთ ცეცხლი მქუხარე, იმ თეთრ ალვებს, მზის ცაში დღემუდამ რომ დადიან!

ღეღამინა ქარია - ბორბალა, არ უპირო! გული - მზეზე, ჯირკვზე კი - მძიმედ უწევს თავი!

თბილისის სადიღებელი

თბილის-ქალაქს - თბილ სიოს - ამოსულს ცის უბიდან, ვარდის სიზმარა ცეცხლი, ვარდის მზეც დაუპყრია!

მტკვარი მისი - ცრემლია, გაფრენილი ისარიც! ბევრი მახსოვს მე მისგან ამბავიც მოყოლილი!

ცვარნასვამი ჯეჯილის ცაც მას ბევრჯერ უნახავს, - შუქი მუდამ ზედ ათოვს ცხელი ვარდის და იის!

ხოხბისყელა მზის ქალაქს, ამოსულს ცის უბიდან, ვარდის სიზმარა ცეცხლიც ვარდით დაუპყრია!

▶▶ 80-9 გვერდიდან

თლა ძნელია ვაკუუმში ყოფნა! გაცხდები თუ არა დეპრესია, ბიბლიოთეკის მუშაობას მაშინვე ალვადგენ, თუმცა ახლაც შემოდის, მე დავაფინანსებ! – რაჯდენმა, დამაჯერებლობა რომ შემატებოდა მის ნათქვამს, მარჯვენა წარბი შუბლისკენ ააპარა.

– თქვენ პასუხობთ: „რატომ ვბრუნდები უკან? გეტყვით!.. მე იმიტომ ვიქცევი ფეხი ჩემი რაიონისკენ, რომ მის მიწას მინდა ვემთხვიო და „ვემათხოვრო!“ არ უნდა იყოს ეს საქმე დასაცინი ნორმალური ადამიანისთვის!.. ჩემამდე რამდენს უთქვამს, მინა კაცის მარჩენალია!.. რად უნდა ახლა ამას პლატონის ფილოსოფია და მარქსიზმის უტოპიური კომუნიზმის ცრუპენტელობა – რომ მოგვივდებოდა, მინაზე უნდა დაიწყო და უფალს შესთხოვო, ხარი, გუთანი და უღელი არ გამოგილიოს...“ – ჩამოარაკრა აფრასიონამ რაჯდენის „მონოლოგი“.

– ყოჩად შენ, კარგად დაგიმასხორცე-ბია!.. სკოლაში რა ნიშნები გქონდა? სა-მები?!.. კი, მარა, არა რცხვენოდა მასწავლებელს? ასეთი ნიჭის პატრონს, ნიშანს როგორ გაკლებდა, თავში ქვა და ხრეში მაგას! – დიდი წყრომა გამოხატა რაჯდენმა პედაგოგის მიმართ.

– ბატონო რაჯდენ, – საუბრის თემას სხვა გეზი მისცა აქამდე ენა ჩავარდნილ-მა ასლან-ბეგმა (ასე ეძახდნენ ბიჭები სოფელში), – ყველაფერი კარგია, მარა, ახლა ოცლორიანი რომ მოგვცეთ ნიშანს, უფრო კარგად იქნება საქმე!.. „პახმელი-აზე“ ვართ ყველა, თითო-ორ ჭიქას ჩაუფენთ მაგ თქვენ ნაშრომულ საქმეს და, გაბრუნებით, მერე ყველაფერი ხუთიანზე იქნება!.. ააა, ხომ ხედავთ, როგორი დამ-თხვევა გამოვიდა!.. ნაციონალისტის ნომერი ხომ ხუთიანია!.. სამუშაოს შესრულებაში ბიჭებიც ხუთიანებს დავინერთ, მორჩა და გათავდა, აენყო საქმე და ეს არის! – დაასრულა ასლან-ბეგმა სათქმელი და კარგის მოლოდინში ყური იბრუნა.

– კაცო, მე გარკვევით გითხარით, ფულს მაშინ მიიღებთ, როცა საქმეს მორჩები-თქვა!.. ძველებისგან გამიგონია, უფრო სწორად, ბაბუაშენ ანთიმოსგან, მაძლარი კაცის გაკეთებული საქმე არავის უნახავსო!.. ჰოდა... აი, აპა, აგერ, მან-ქანაც მოვიდა, ნიშნები აიღეთ და „დავაი“, საქმეს მიხედეთ!.. რომ არ დაგავიწყდეთ, კიდევ გიმეორებთ, ხრეში ხომორ-კაკალივით უნდა იყოს, „ლაფატკები“ დატვირთული! – ბრძანებანარევი ტონით წარმოთქვა ბოლო სიტყვები რაჯდენმა.

...ყურებჩამოყრილი ბიჭები რიყისკენ „ნაანინინა“ „კამაზმა“!

– ხო ვამბობდი, ე კაცი ჟმოტია-მეთქი! მაგარი ჟმოტი! არ დამიჯერეთ, თქვე ჩემისებო!.. მაგარი ვინმე-რამეაო!.. აი, მაგარი!.. არ გვენდო, ბიჭო!.. სოფელს არ გვენდო, ბიჭო!.. სად ჯანდაბაში გავიქცევოდი!.. მაგას, ბიჭო, ჩემდათავად, ამის მერე, რაც არ უნდა მოხდეს, ხმას მივცემ, ბიჭო?!.. არა, ქროთამს პირველი გამოკვრთმევი!.. მაგად მომცეს რამე და უარს ვიტყვი?!.. იქ რო შევალ, ჯიხურში, რა ჩემს ფეხებს გაიგებს, ხმა მე მივეცი თუ პეტრე-პავლემ!.. კარუსელს რო ამბობენ, ისიც კი არ უშველის!.. პირველს მაგას გადავვლანდი და სხვას, ვინც მე მინდა, ისე ლამაზად შემოგზავნა... თვალის რაყიკო ჟმოტს დადგომია!.. – გულზე მჯილი დაიკრა სიმონას ბიჭმა, ბოთეს რომ ეძახდნენ მეტსახელად. – ხმის მიცემამდე შორეა, ძმაო!.. ჩვენ ამ-ნუთობას, ახლა გვერხევა!.. პახმელიას თუ არ მივეშველეთ, თითო მაინც თუ არ ჩავარტყვით, რა დატვირთავს ამხელა მანქანას!.. მაგი, მართლად რაყიკუნა, ალაოდ ხო არაა, ბიჭო! – მოჯღანული სახით თქვა მეღვეთ იოსებამ ბოლო სიტყვები, მერე პურჭყიც მიაყოლა რაჯდენის ნუნურაქობას და დაუშთავრებელი სათქმელი გააგ-რძელა, – ერთი მაგის ხრეშის დედაც და მამაც... მოდი, ჯერ მალაზიში შევიაროთ, პოსლუზე ავიდოთ, ახლა, წყალი არ გოუვა, ნამდვილად გვენდობიან, აგერ, შო-ვერიც, უცხო კაცი დაგვიდგება მოსმედ, მეტი რა ჩემი ფეხები უნდა ბიჭორას გა-ბეყილ, ძუძუებგადმოყრილ რძალს, სოფ-

ლის ელიტა ვართ შეყრილი, საქმეს ვაკე-თებთ, ძმაო, ფული გვერგება!.. არაყსაც მოგვცემს და რაღაც მისაყოლებლსაც მოაყოლებს!.. „კილკა“ კონსერვის მეტი რა ყრია!.. წყალი არ გოუვა, მოგვცემს!.. ჩათვლის, რო ფული საღამოს კარმანში ექნება!..

– სწორია, სწორია! სწორი გამოსავალია!.. არ უნდა ახლა მაგას მეთრი, არშინი და ჩიჩინი! ძმაო, შაფიორ, მალაზიასთან გააჩერე!.. – თითქმის ერთდროულად დააბრაზუნეს კაბინის თავზე გაშლილი ხელები სოფლის „ქვემდგომმა“ წარმო-მადგენლებმა.

...ზედ მალაზიის კართან მიაყენა მძლოლმა მანქანა.

– მამალო და კრუზო, ჩადით! თქვენ უფრო დაგიჯერებთ ბიჭტორას „ტანგერ-ნეტა“ რძალი, პატივცემული ანასტასია ბელადისა! – განკარგულება გასცა ას-ლან-ბეგმა.

... ბიჭები „ჩამოქვეითდნენ“.

კართი გამომდგარმა ანასტასიამ გაკვირვებულმა ჰკითხა მთელ „ამქარს“, რა ხდება, ხო მშვიდობაა? ასე ერთიან რო აყრილხართ, სოფელს მტერი ხო არ შემოესია?

– მტერი არა, ისა!.. მსუქანი მოყვარე ჩამოვიდა, ჯიბესქელი კაცი დაუბრუნდა მამულს! მინას უნდა ემთხვიოს და ემთხოვროს!.. ერთი სიტყვით, რა-ყო ჩამოვიდა, ანუ, ბატონი რაჯდენი, აი, ის რაჯდენი, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში რო უნდა გავამარჯვებინოთ!.. საქმის კურსში ბოლომდე რომ გაერკვე და მერე ინფორმაციამ, აქედან აიღვას ფეხი, გეტყვი: სანამ რაჯდენი ოფიციალურად გადაუტატდება, ძველი სახლის გვერდით ახლის აშენებას იწყებს დღეიდან!.. ამ წუთში, ჩვენ, მთელი ეს ბიჭობა, იმისი დაქირავებული მუშები ვართ, კარგა გვარიან გვიხდის ფულს ხრეშის დატვირთვაში!.. ფარა საღამოს იქნება, ჩემი ხელით მოგიტან და ჩაგაბარებ!.. ახლა კი რაღაც-რაღაცები გაგვატანე, ვალი, თუ გინდა, რაჟიკოს დაანერე, გადამხდელია, წინ არჩევნები უდევს, გაიგე, გოგო, შენ?!.. კი? მაშინ, აპა, ჰე, შედი, შედი დახლში... – მამალომ წინ გაიძლოლა გამყიდველი, თან თაროები ჩამოათვალაიერა, რაიმე ისეთი ახალი ხომ არ შემოამატეს მალაზიასო. ...„კამაზი“ ქალაში, ზედ მდინარის პირას გააჩერა მძლოლმა.

...ძარა „ჩამოიცალა“

– ბიჭებო, მიიღბინ-მიიღბინეთ, შეათვალაიერეთ, წმინდანრეშიანი ადგილი მოძებნეთ! ხო არ დაგავიწყდათ, რა თქვა რაჯდენმა, ხომორ-კაკალა მინდაო; იმენ-ნო ლაფატკებით დატვირთეთო! – ასლან-ბეგმა დამკვეთის დარიგება-გარიგება და თხოვნა შეასრულა „ამქარს“.

– მაგას, ბიჭო, დაცურებული ხო არა აქვს შიფერი და წყალი პირდაპირ ხო არ ჩაუდის იმ გასიბულ კისერში!.. ოცდა-მეერთე საუკუნეში ვინდა შრომობს ხელით!.. ტექნიკამ შეხვრიბა და წალკა მუშახელი!.. გაიხედეთ იქეთ, „ბელარუსი“ მოჩანს, ძმაო? კი, ხომ? ჰოდა, ძალიან კარგი, მამალოს დიდი გამავლობა აქვს მაგ-ნაირებთან, მივიდეს და მთელი ბიჭობის ამბავში თხოვოს, ნაგვიკრას ხელი, ტრაქტორის „კომშით“ დატვირთოს მანქანა. მაგისთვის რა ჩემი ფეხებია, მე შენ გეტყვი, ოფლში არ გაიწუნოს, აი! – იოსებამ უტყუარნი წინადადება „დაუდო“ ბიჭებს.

– ამ ჩემანალამ ხანდახან ისეთი რამის თქმა იცის, კაცს ჭკუაში დაუჯდება! სოლომონ ბრძენისა რა მოგახსენოთ, მარა ბაბუამისს კი ჰგავს, – ტუჩები მოჭუჭკა და ხელები გაშალა კრუზომ, – სწორს ამბობს ეს გველი, ხელით ვინდა ტვირთავს მანქანებს და თანაც ხრეშით! ეს ლობიოს კაკალი კი არაა!..

– ბიჭო, „ბელარუსი“ ხომორ-კაკალა ხრეშს როგორ ამოარჩევს, დიდი ქვა-ლოდი არ გაერევა შიგ? რავა ფიქრობ შენ! – ასლან-ბეგმა ხრეშის „ხარისხს“ გაუსვა ხაზი.

– ისე, მე თუ მკითხავთ, ზღავერს ლოდები და ნათალი ქვა უფრო უხდება!.. ნაგებობამ საყრდენი ხო უნდა იგრძნოს! – ხმა ამოიღო აქამდე უთქმელმა ანთიმოს ბიჭმა, ზურიამაც. – დღემდე თუ არ დაკვირვებხართ, ახლა ადით და ნახეთ

დომენტის ქვითკირ-პალატი, გაცხებულ-ლი დარჩებით, საიდან, როგორ და რითი მოიტანეს და ბალავერში ჩადეს იმოდენა და იმისისო ქვები!..

– ახლა მაგის დრო არ არის! კაცს ხრეში ექარება, ჩვენ კიდევ დაღვევა! აპა, ჰე, ტემპი!.. ლოდები სკამების „პონტში“ მიაწყ-მოაწყვეთ, ხორაგი შუაში დაყარეთ, სუფრა გაშალეთ!.. ორი ჭიქის მერე, ბიჭო, მამალო, მომხედვე აქეთ და მომის-მინე, პურ-კალბასის ჭამა-ჭამით „ბელარუსის“ შოფერს მიადექი და ურცხვად უთხარი, გამგებლის ხალხი ვართ-თქვა. ზოგი შენი ტანიც გამოიყენე, ჩვენკენაც გამოახედე, ნახე, რამდენი არიან-თქვა, მანტრებაა ჭალაში-თქვა, შეაშინე ცოტა – რა უნდა მაგისთვის მანქანის დატვირ-თვის, ათ წუთში გაქეგავს კუზაოს, ჩვენ კიდევ ნახევარი დღე უნდა მოვუნდეთ!.. ბეცივით ნუ იყურები და ნუ გეშინია, უკან რო მოხვალთ და მობრძანდებით შენ და „ბელარუსის“ შოფერი, სუფრის წილი ხელუხლებელი დაგხვდებათ!.. შენ, ბიჭო, ეე, ბოთე, შენ გეუბნები, მიატანე პურის ნატეხი მაგ არაყს, თვარა, ამოგენვება კუჭი!.. აპა, ჰე, ტემპი! – აქეთ-იქით „ის-როდა“ ასლან-ბეგი.

– კი, მარა, აქეთ რატომ უნდა მოვიყვანოთ ტრაქტორი, ეგება, იქით უფრო კაი ხრეშია, ამაზე უკეთესი!.. რავა, ისინი რო ენიკებიან, გიჟები არიან, ცუდი ნაილონ?!.. შევჭამოთ პური და ერთად მივადებთ მაგ ჩემისას!.. გინდაც, სხვა იყოს, უცხო, არა აქვს მნიშვნელობა ჩემთვის, მარა, თუ ის ბიჭი შეიქნა, ცხვირა ნიკოლოზა, ჯივარი ვინმეა, პურიც მაქვს მაგასთან ნატამი, ორს კი არა, ათ „კამაზს“ დავატვირთვი-ნებ! – გულიანი მჯილი დაირტყა მამა-ლომ.

– გასაგებია, მარა მაინც მიდი! ამ ადგილს არა უშავს, მაგრამ, ეგება, ის ადგილი მართლა ჯობია ჩვენს არჩეულს, შენც ხო ასე ვარაუდობ, ამიტომ, რა ცის ჩამოქცევაა, შევადაროთ, შევეჯერდეთ! – ასლანი ლაპარაკს ახლა უკვე ხელმეხაც აშველდა.

– გამარა ყელი!.. რა დროს მიეთმოეთა, ჭიქები აიღეთ!.. მოდი, ასე ვთქვათ, რა, არც მეტი, არც ნაკლები, ნუნურაქ რაჟიკუნას გაუმარჯოს! დღეის ამას იქით ჯერ გონება გახსნოდეს, მერე – ხელი! ერთი სიტყვით, ჯიბის ამობრუნება ეს-ნავლოს! – წარმოთქვა სიტყვა შალიკომ და პლასტმასის ზოლებიან ჭიქას ფსკერი უჩვენა.

– ნავიდაა!.. მოვიდაა!.. ერიჰაა!.. მე სულ სხვას ვიტყვი, მოდი, ბატონ რაჯდენის ნაღი-მოდი-ურიჰას გაუმარჯოს!.. უგვირგვინო დეპრესიების კანდიდატს გაუმარჯოს, ბიჭებო!.. მეცოდება კია, მარა მე რა ვქნა, რას ვუშველი, თვითონაც ვერაფერს ვერ იზამს, მაგათი მატარებლის ბოლო ვაგონილა მოჩანს, ცუდი დრო წამოადგა თავს მის გამთავრობისკაცობას!.. საერთოდ, გესმით, რაშია საქმე?! იცით, რა ხდება ჩვენს პატარა დუნიაზე? – „ამქარისთვის“ ჯერ ამოუცნობი კითხვები დასვა ელისოს ძმამ შუა ჭალაში.

– მოიცა, თუ ძმა ხარ! არ გინდა ახლა ზღაპრები! – მეორედ ამოიღო ხმა ანთიმოს ვაჟმა, – ვიცი, რაც უნდა თქვა, რა ხანია ახალი ოპოზიცია უტევს ნაციონალისტსო, ასეო და ისეო!.. ამათ, ბიჭო, რა ოპო-ზიცია დაუდგებათ წინ, ყველა ოჯახში პო-ლიციელი და მოენე ყავთ ჩასახლებული.

– ზღაპრებსა და სიზმრებში მართლა ხართ, თქვე ჩემისებო, თქვე ბოლომდე უნიგნურებო!.. რამდენიმე თვეა, ბიჭო, ახალი ძალა, „ქართული ოცნება“, იმედის ცად იქცა დედაქალაქში!.. მინამაც კი გაიღვიძა, ბიჭო!.. ტყეც კი სხვანაირად აიშალა! ჩვენს გაღმა საღათამ თვალი გა-ახილა; აქანა, ბიჭო, ჩვენს სოფელში და სხვაგანაც, სხვა სოფლებში, ჭურში გვამ-ყოფებენ ეს დედანატვირები ნაციონალე-ბი! რა ჩემს ფეხებს გაიგებ. ტელეარხები გადაკეტეს, ანტენები უკან გაიჭყეს, პრესას არ აჭაჭანებენ და, რა ვიცი, კიდევ რას არ შერებინ, დაშინებებსა და მუქარებზე რო არაფერი თქვია!.. მე გგო-ნი, დაგინებული აქვთ, ბოლომდე უნდათ, გაიტანონ – ქვევრიშ ვიხსდეთ და საარ-ჩევნო ურნასთან ისე მივიდეთ, არანაირ არ ვიცოდეთ, ვინაა ჩვენი მტერი და ვინ

მოყვარე! გაიგეთ, რა ხდება? ყური მი-იბრუნეთ! ამიტომ ხმამალა ვიყვირებ და ვიღრიალებ: სოფელო, გამოფიზლ-დი! – მეოთხე ჭიქის დაღვევის შემდეგ ასე „გაიგდო“ ენა წინ ბიბლიოთეკარის ძმამ, აფრასიონამ.

– ჩვენს აგიტატორს მხურვალე სალა-მი და მხარდაჭერა, – ჭიქა შეატრიალ-შე-მოატრიალა მამალომ, – ჩემს გულითად თანადგომას ვუგზავნი „ქართული ოც-ნების“ თავკაცებს!.. თქვენთან მიგულეთ უთოფო არსენა ოძელაშვილი!.. ჩვენი სოფელიც თქვენთან იქნება! – ისეთი რი-ხით წარმოთქვა მამალომ სადღეგრძელო, ფოთისკენ მიმავალმა რიონის წყალმა ბი-ჭებისკენ ყურიც კი იბრუნა.

... მამალოს „გამოსვლა“ იყო და, ისე-თი კამათი ატყდა, რაჟიკო და მისი ხრეში ვილას ახსოვდა.

... მერე და მერე, ბოთლები რომ გა-მოიცალა, ასლან-ბეგი (უფრო ფიზულად გამოიყურებოდა) ფეხზე წამოდგა და ხე-ლები შემართა.

– ბოლომდე ნუ მოვიმჭამლებთ ანას-ტასიას წყალობას, შემოვიტოვოთ ცოტა; დავაი, ახლა, ავდგეთ და დავახვიოთ აქე-დან, თვარა, რაჟიკომ თუ ასეთ ყოფაში მოგვისწრო, ძალიან ცუდად იქნება ჩვენი საქმე!.. მეცა ვარ, რა! ხო ვიცოდი, ორ ჭი-ქაში არ დამთავრდებოდა ეს დილა! – სა-კუთარ თავს გაუხურა ასლან-ბეგი.

– ესე იგი, ნაღი ოპოზიცია დაეიტაკა ამ დედანატვირებ ნაციონალისტს? – კული მოიქნია შალიკომ, – ახია მაგათზე, მაგა-რი ახი!.. თუ მეოცნებებმა გაიმარჯვეს, მერე ნახე შენ, რამდენი ჩათლახი ნაცი გაკოჭონ და გააპარტიკონ უკანონობი-სა და თანამდებობის ბოროტად გამო-ყენებისთვის, ფულდების კეთებისთვის!.. ყველა ჩათლახი და გოთვერანი, ვერაგი და ჩასაფრებული უნდა გაბანრონ!.. ისე, ციხისთვის ყველა მენანება, მარა, მითხა-რით ერთი, რა დასაჭერი იყო ზედაუბნე-ლი, ცხვარივით ბიჭი, კაიზე კაი ბიჭი, ელ-ვარდის ზოდიკო!.. საიდან სადაო და პლა-ნი ამოუღეს ჯიბიდან!.. იცით, რაზე შეუ-თითხნეს? არა? გეტყვით, თქვე ბეყეებო, თქვენა!.. ასე უთქვამს ზოდიას ბაზარში – ყანთარზე სვამდნენ ბიჭები თურმე – რა ფეხს მომჭამს ყარაული, ტყეს რო ახლოს არ ავეული!.. იმ მომენტში იქანა რაიო-ნის გამომძიებელს გაუვლია – შეიძლება შემთხვევით, შეიძლება გაუგებაც კი – ჰოდა, ეს სიტყვები რო გაუგებია, ჩემზე ამბობდაო, ასე უთქვამს ვილაცების გა-საგონად. მაგას კაი ყარაულს დაუწყენე-ბო, გადმოუკარკლავს ეშმაკის თვალეში რო აზის შუბლზე!.. ჰოდა, მესამე დღეს, ზოდიკო, პლანის მოხმარებისთვის აიყ-ვანეს!.. არაფერმა არ გაჭრა და არ უშ-ველა! ის კი არა, იმ დედანაბობარს ასეც კი უთქვამს, რავა, სოფელს ორი-სამი ტუსალი მაინც არ უნდა ჰყავდესო?! და-ლა აღმართს ხნავს – ზოდიკო საქართვე-ლოს ცხელ ციხიში, თბილისში, გლდა-ნის ციხეში გაამწესეს!.. აი, ოღონდ ამათ ეტიროს დედა და ხმას მეოცნებებს კი არა, მაგალობლებსაც მივცემ! – არაყითა და ლაპარაკით „პახმელიაზე“ გამოსულ-მა შალიკომ ისე დაიკრა მჯილი მკერდზე, კინაღამ გული გაუჩერდა.

– საქმე, საქმე! არჩვენებამდე რაჯდენას ახალი სახლი ასაშენებელი!.. აბა, ძველ სახლში ხო არ მიიღებს და მიიპატი-ეებს უცხოეთისად ჩამოსულ წარმოჩინე-ბულ სტუმრებს!.. – ასლან-ბეგი წარჩენე-ბის ალაგებში მიეხმარა შალიკოს.

...სახზე წამოლაფლავებული, ენად გაკრეფილი ბიჭებით „დატვირთული“ „კა-მაზი“ ზედ ცხვირწინ მიადგა „ბელარუსს“.

– ნიკოლოზა, ბიჭო, შენა ხარ, მთელი ჭალა რო გამოგვაცალე ხელიდან? რას გვიმერებ, ალარ გვიტოვებ არაფერს?! ჩვენც გვინდა, რაღაც ავამუშოთ და ხრე-შიც გვეჭირდება!.. – მამალო მკვირცხ-ლად ჩამოხტა ძარიდან და „ბელარუსის“ მძლოლს ორივე ხელით „მიესალმა“.

– რათ გინდათ ტრაქტორი, ბიჭო, იმ-დენი ხართ, თითო-ორ-ორი „ლაფატკა“ რო გაიქნით, კუზაოს პირამდე გაავ-სებთ, ბიჭო!.. მე თქვენითვის გეუბნებით,



▶▶ 80-11 გვერდიდან

სხვანაირად აქედან სუფთა ხრემს ვერ ამოიღებო, თვარა, ჩემი რა წავა – წამში დაგიტვირთავთ, ბიჭო, მოგიკვდეთ ნიკოია ტოგონიძე! – მარცხენა ხელი მალლა ასწია ნიკოლოზამ.

– ძალიან ეცადე, დიდი ქვები არ დაგვიყარო, თვარა ჩვენმა სამომავლო საქმემ მოგვჭამა წერი! – ერთხელ კიდევ სთხოვა ასლან-ბეგმა ნიკოიას.

...ასე იყო თუ ისე, რჩევა-რჩევით (ცდა ნამდვილად არ დაუკლია!) ნიკოლოზამ ძარა პირთამდე გაძეგა, ზედ (ნიჩბებთან!) „ამქარი“ (ანუ „ქვემდგომი“) ჩამოჭრა და... „კამაზმა“, „ხენეშა-ხენეშით“, გეზი სოფლისკენ აიღო.

...ერთხანს, მარტო მანქანის ძრავის ხმა და ძარის ჭრატყარული ისმოდა, „ამქარმა“ ენა გადაყლაპა, იმასაც კი იფიქრებდა კაცი... გაუხმარ და გამოუყენებელ ლაფატკებს რომ გადააუღებდა თვალს ბატონი ასლან-ბეგი, ენას ბუტბუტს ამოაყოლებდა, ეს საქმე არ მომწონს, ასეთნაირი საქმე არ მომწონს... ამას კი ბოლო არ უჩანსო...

– ვის ელაპარაკებ, ბიჭო, გზას?... თუ ლოცულობ, მითხარი ერთი! – აფრასიონმა ირიბად გახედა ასლანს.

– ეე, შენცა ხარ, რა!.. შენა და შენმა დამ მარტო გაზეთებიდან იცით ცხოვრება!.. ღმერთმა ქნას, ამ დღემ და საქმემ კარგად ჩაიაროს!.. რაჟიკო არ დაგვხედვებოდეს სახლში და მეტი არაფერი მინდა!.. იმ ვილაც „გამომწვილ“ მუშებს ჩვენც მიეცხმარებით და ერთ ჩასხმა ბეტონს ეგრევე მოვიღებთ!.. რო არ გამოჩნდეს, რამდენიც იქნება, იმ დიდ ლოდებს ძირს ჩავანყომთ, ზევიდან კი წმინდა პირს გადავასხამთ და სულ ეგ იქნება, რა!.. ოღონ, რაჟიკო არ დაგვხედვს ქიმკარში!.. მარა, რო დაგვხედვს? რას ვმვრთავთ მერე!.. „პატიოსანი“ ხრეში რო არ მიგვაქვს, რათ უნდა ამას ახლა ასე თვალი!

... ასლან-ბეგი თავის თავთან ლაპარაკს მანქანის გაჩერებას მოწყვიტა.

– სადა ხართ, აქამდე!.. გამიცდა ერთი ჯარი მუშახელი და ეგ არის! – ვერცხლისფერი „მერსედესიდან“ „ჩამოქვეითებული“ რაჟდენმა „კამაზი“ შეათვალა.

ხრეშით გადაძეგვილ ძარაზე ყვავებივით ჩამომსხდარმა „ამქარმა“ თითქმის ერთად ამოიძახა:

– ბატონო რაჟდენ, დაგვანყდა მკლავები, ამხელა მანქანის ლაფატკით დატვირთვას ეხუმრებო? საყვედური ნამდვილად არ გვეთქმის!.. ბიჭებმა თავი გავიმეტეთ!..

ასლან-ბეგი ძარიდან ჩამოხტა და დამკვეთის წინ ისე „აღიმართა“, თითქოსდა „ამქარს“ აეფარაო...

– რას ჩამომეყუდებ, კაცო, ჩაინი იქით, დამანახე ეე ხალხი! – ლამის წყრომით თქვა რაჟდენმა და, ასლანმა რომ ადგილი მოიცვალა, გააგრძელა, – ერთი მითხარი, კაცო, მობილური ტელეფონი არც ერთს არა გაქვთ? ვის არ ვთხოვეთ თქვენთან დაკავშირება, მაგრამ, ნურას უკაცრავად... ზოგმა ისეთი ირონიით გაიღიმა, გული ჩამწყდა!.. რა ხდება თქვენს თავს, ასე ხართ დაკარგულნი ამ სოფელ-ქვეყანაში? – რაჟდენი გამომცდელი თვალით უყურებდა ხან ასლანს, ხან „ყვავეს“...

– ტელეფონები, ბატონო რაჟდენ, ნახევარს ვალში აქვს ჩადებული ახლომხლო ჯიხურებში, ზოგს მისი დასატვირთი ფარა არა აქვს, მე კიდევ სახლში დამრჩა, ბუხრის ფიტონზე შემოდებული! – ღიმილით „იმართლა“ თავი ასლან-ბეგმა.

– კაი, კაი, ნადით ახლა, მუშები ჩამოწყდნენ ლოდინით!.. ისე, ამას რო მიიტანო, დამელოდეთ, მალე მოვალ, რაიონში ერთი კაცი მყავს სანახავი, შევხედები და... სულ ეს არის... ხო, ერთ კარგ ამბავსაც გეტყვით, თუ გულიანად მოიქცევით, მობილურის საქმესაც მოგიგვარებთ, არჩევნებში გამოგადგებათ, გადაძახილები ხომ იქნება ერთმანეთში საჭირო, კაცო!.. ამა, მერე ამომრჩევის მოსყიდვაში კი ნუ ჩამითვლით, კარგ მეზობლობას მიაწერეთ!.. აპა, ჰე, დავიშალეთ, მე – აქეთ, თქვენ კიდევ იქეთ! – სათქმელი მოამთავრა რაჟდენმა და „მერსედესს“ დეზი ჰკრა...

– ახლა, ამ ნუთობას, ნამდვილად გადავრჩით!.. მერე, თუ არ გავგვინრა გამ-

ჩენმა, ისა თქვი შენ! – ასლან-ბეგმა ხელები მოიფუნებდა და ძარაზე ავიდა.

...„კამაზმა“ უკანალი აიშვირა და ხრეში ჩამოიცალა.

– რაია, სიმონ, ეს? ეს რა ხრეშია, ბიჭო?! – იმერულ კილოზე „ამოიძახა“ „მონვეული“ მუშებიდან ერთმა მწლიკვივით ბიჭმა.

– რაია, სიმონ და ხრეშია! – იმერულადვე უპასუხა მამალმ და თან ხელები დაიკარნახა, – „საარჩევნო“ და „საპარლამენტო“ ლოდები ძირს ჩავყაროთ, ამეებით მოვაბალავროთ ფუნდამენტი, ჩვენც მოგეხმარებით, სიმონ, ჰოდა, რაც დარჩება, კაი-კაი ხრეშები, მოვზილოთ და ზევიდან დავახსათ!.. სულ ეგაა, ძამია, რათ უნდა ამას ბეგრი იმერული წიკვინი!..

– ბატონმა რაჟდენმა თქვა, სალოტე ღერძილივით ხრეში იქნებაო, თვარა, შენ რო ამბობ, სიმონ, ეგრე კი ვიზამთ, ბაზარი არაა! – უკან დაიხია ანონილმა ბიჭმა.

...ძალა ერთობაშიაო და... საქმე „გაჩაღდა“. „ამქარს“ წევრები ნამეტანი ჩქარობდნენ, ლოდებს საძირკველში ანყოზდნენ, ერთი სული ჰქონდათ, მოზელილი ხრეში ბალავერში ჩახსება და „გატრუნული“ დიდრონი ჭალის ქვები ისტორიის საკუთრებად ექციათ...

...კაცმა რომ თქვას, – უხდებოდა კიდევ დიდი ქვები ბალავერს! ერთი შეხედვით, საგანგაშო აქ არაფერი იყო, ამას კარგად მოზელილი ხრეში და ცემენტი რომ დაფარავდა, მით უმეტეს მაშინ, მარა რაჟდენი არ ფიქრობდა ასე?! იმ კაცს სხვანაირად ჰქონდა გათვლილი!..

– აპა, წყალი!.. აპა, ჰე, ნიჩაბი!.. ტემპი, ტემპი! – ასლან-ბეგმა მთლიანად ითავა მუშახელის მართვა.

...მაგრამ ხომ გავგიგონიათ ქართული სიბრძნის, „ხარის კულდა და ნა გატყდომ“!.. ასე მოხდა იმ დღესაც – მშენებარე სახლის პატრონი უკან მალევე დაბრუნდა... ქიმკართან გააჩერა მანქანა ბატონმა რაჟდენმა, გადმოვიდა სალონიდან და პირდაპირ ბალავერს შემოგროვილი მუშებისკენ გაემართა...

... რაჟდენს სამი ჰალატუხიანი მამაკაციც მოჰყვა. ნამეტანი უცხოები იყვნენ, „ამქრელებმა“ ვერც ერთი ვერ ამოიცნეს!..

... ნუთით ყველა და ყველაფერი გაჩერდა.

რაჟდენმა გახევებულ მუშებს თვალი მოათარა, მერე ბალავერში ჩაიხედა, კარგა ხანს უყურა, ადვილი მისახვედრი იყო, მომავალი „ზემდგომი“ ლოდებს ითვლიდა; მერე ნახევრად მოზელილ ქვიმას დახედა უგემურად, ერთხანს ოთხიოდე დიდ-პატარა ქვას მიაშტერა თვალი, მამალო აათვალა-ჩაათვალა, მერე ღრმად ჩაისუნთქა და, რომ ამოიხენეშა, სათქმელი ერთიანად „ამოვარდა“ პირლია ხორხიდან:

– რა გითხარით, ბიჭო! რა შეგეხვეწეთ, ბიჭო! ლაფატკებით დატვირთეთ-მეთქი, არ ჩავივარდით ფეხებში?! ხრეში ხომორკაკალივით იყოს-მეთქი, არ გამოგინეთ ყელი და ისე არ გთხოვეთ?! რა არის, ბიჭო, ეს?! როგორ ფიქრობთ, „ბელარუსით“ ამნარი ნავაგს მე არ დამიტვირთავდნენ?! რად უნდოდა ამას ერთი სოფლის უქნარა ბიჭობა!.. რას ჰგავს ეს, რას მივანერო თქვენი ქმედება და საქციელი?! ესა გთხოვეთ, ბიჭო?! ესაა გაკეთებული საქმე?! ფუი თქვენ, თქვე ნამდვილო ვირთხებო!..

– ბატონო რაჟდენ, – ყველას მაგიერ სცადა თავის მართლება ასლან-ბეგმა, – რაც თქვენ სოფლიდან ნახვედით და თითქმის აღარც კი ჩამოდიხართ, მოწყვეტილი ხართ აქაურ რეალობას; ნაცების მოსვლამ, როგორც სხვაგან, აქანაც ბეგრი რამე შეცვალა და მისანორ-მოასნორა თავის სასარგებლოდ!.. სახელმწიფოს ვილა ჩივა, მდინარე როინიც კი გადაგვიდგა, კაი-კაი ხრეშები სულ ფოთისკენ წაიღო და წააწინინა, ჭალაში კიდევ, გადარჩეულივით, სულ სიპი ლოდები დაგვიტოვა, თუმცა ისიც კი არაა ჩვენი, ჩინელებს აქვს თუ სელჯუკებს ნაყიდი, კარგად არც კი ვიცო!.. არ დამიჯერებ, მარა მაინც გეტყვი! ხალხი იმასაც კი ფიქრობს, რომ ეს მდინარე, ჩვენი როინი, კაცო, ამ სოფელში შემოგზავნილი ჰყავს ვილაცასო!.. ჰოდა, თქვენც გადმოგვხედეთ სხვა თვალთ, შედით ჩვენს გაჭირვებაში, გავგივით, რა?!

– მოგზავნილია, ხომ? და კაი-კაი, ლამაზი ხრეშები სულ ფოთისკენ მიაქვს, ხომ? კარგი, თავი მოვიტყუე და დაგიჯერეთ, მაგრამ ეს როგორ დავიჯერო, ეს მანქანა ნამდვილად ლაფატკებით რომ არის დატვირთული?! ჯერ ერთი, არც ერთი ნიჩაბი არაა ქვიშით დასვრილი, საღებავიანი ცხვირებიც კი არ ნახებოდა!.. კიდევ ერთი ტყუილი არ მითხრა ახლა, გავრეცხეთ და მერე შავი საღებავი გადავუსვით! ხელები გამალა რაჟდენმა, მერე მამალოსკენ იქცია მზერა და სიტყვა გააგრძელა, – მოდი აქ შენ, ჯეელო, მოდი, ლაფატკა აიღე და, აი, იმ ლოდებიდან, ყველაზე პატარა, კუზაოზე, შეისროლე!.. ჰო, ჰო, ლაფატკით... ვნახო ერთი, რა მარჯვე ხარ... დაიხ, ნიჩბით და არა შენი ლამაზი ხელებით!.. კიდევ გიმეორებ, დიდებზე არა მიქვს ლაპარაკი, პატარაზე გეუბნები!.. ჰოდა, შენ თუ მაგას იზამ, დაგიჯერებთ და ჩემს სიტყვებს უკან ნავილებს! მარტო ეგ კი არა, მამალი ნაბლის ხეების ნერგებსაც კი მოგიტანო! გასაგებად ვთქვი?... მაშინ, აპა, ჰე, საქმე! – რაჟდენი ნუთით კი მორჩა სათქმელს, მაგრამ მარჯვენა ნარბი დარჩა შუბლზე „შემოდებული“.

... მამალომ ჯერ ლოდებს გახედა ირმიცლად, მერე ლამაზად მიყუდებულ ნიჩაბს, მერე ტუჩები მოჭუჭკა და ნირნამხდარმა ცხვირი, საულვამესთან ერთად, უშნოდ მისწი-მოსწია.

– მიდი, მიდი! შენ იმიტომ ამოვარჩე, თქვენს „ამქარში“ ყველამ ჯანიანად გამოიყურებო!.. აპა, აფრასიონას რა მოეთხოვება, კუილს ვეღარ იკავეს თურმე!.. მიდი, მიდი, ბატონო არსენ თუ მამალო, როგორ მოგმართო ახლა, უკვე ისიც აღარ ვიცი!.. მიდი, ჰა, მანახე, როგორ ტვირთავდი ამ სიპ ლოდებს ლაფატკით! – წენთოჯით დაელოდა მამალოს ქმედებას რაჟდენი.

...ისეთი დუმილი დაეცა იქაურობას, ბუხის გაფრენა ყურს მოჭრიდა კაცს!..

...ასლან-ბეგმა ოთხიოდ ნაბიჯი გადადგა, ნიჩაბი აიღო, მამალოსთან მივიდა, „იარაღი“ ხელში შეაჩერა, მერე ყურშიც ჩასწურწურა რალაც... არსენამ ნიჩაბი კი გამოართვა, მაგრამ „სასიკეთო“ არა შეტყობია რა, პიროქით, უფრო მოიდრიცა და მოიჯღანა... ამის საპასუხოდ ასლანმა პატივცემულ მამალოს თეძოს თავზე ისე ძალუმად უჩქმიტა, სხეულიდან ამოვარდნილმა გმინვამ დუმილი გახლიჩა.

– მიდი, ბიჭო, მიდი! ნახევარი მანქანა შენი დატვირთულია და ახლა ინე უკან?..



მიდი, მიდი! – მამალოს გამხნეება სცადეს „თავისიანებმა“.

...მამალო ხედ იქცა!

...ასლან-ბეგი ისევ მივიდა მამალოსთან, ისევ უთხრა ყურში რალაც და ისევ მწარედ უჩქმიტა, მხოლოდ ახლა მეორე თეძოს თავზე!

... სიჩუმემ კისერი მაშინ მოიტხეხა, როცა მამალომ ხელში მიჩეჩებული ნიჩაბი ლობის იქეთ მოისროლა და ზედ გინებაც დააყოლა, ჩემდა თავად, ჯერ დამკვეთის და მერე შემსრულებლის დედაცო...

...ამის თქმა იყო და გაგონება, რაჟდენმა უმალ მოიხსნა წენთოჯი, ხელი შემართა და დასჭყეხა:

– აპა, სოფლის უსაქმურო და უგვანო ვირთხებო!.. დაეწყვეთ სიმაღლისდა მიხედვით და ღობესთან დადექით!.. დავაი, ჩქარა!.. ცოცხლად!.. მე თქვენ განახებთ, როგორ უნდა დაიტვირთოს ნიჩბით ლოდები და „ბელარუსით“ კიდევ ხომორკაკალა ხრეში!.. დავაი, დავაი, ტემპში ახლა! – გაუგონარი ტონის ხმა „ამოჭუჭხდა“ მომავალ პარლამენტარს.

...ბრძანებას წინ ვერავინ დაუდგა – „ამქარი“ მავთულბადის პირზე ჩამწკრივდა!

– მარცხინისაა კენ! – ამოიყვირა ისევ რაჟდენმა.

...„ქვემდგომები“ შეტრიალდნენ! – ნაბლის ხისაკენ, იააარ! – ხმის „ტემპრი“ ახლაც არ შეუცვლია რაჟდენს.

...„ამქარი“ მიიმე ნაბიჯით დაიძრა!

...რაჟდენიც შეტრიალდა, გრძელი ნაბიჯით, „ამქარს“ ქიმკართან მისწრო, შეჩერდა, შემოტრიალდა და რატომღაც მარჯვენა ფეხზე შარვლის ტოტი ამოიკარნახა!..

– რას გვიპირებ ეს ჩემანლა, ჰა! რა ჩაიდეა გული! – ჩასწურწურა წინ მიმავალს ნამეტანად შენუხებულმა აფრასიონამ.

– რავი, მაგის ჭკუაც, რა!

...„ამქარი“ ქიმკარს გაუსწორდა!

– შეჩერდით, თქვე თახვებო! – ხელი შემართა მომავალმა მაჟორიტარმა, – კაი კაცობა მიშლის ხელს და ამ სტუმრებსაც დიდ პატივს ვცემ, თორემ თქვენ ახლა საითაოდ კაი-კაი, ზაპაზუბა ქიტლაყები გინდათ! დავაი ახლა, ჯერ ეგ ლოდები უკანვე ამოლაგეთ, მერე კი გაეთრეთ აქედან, თქვენი ფეხი არ ვნახო ამ ახალი სახლის ახლომხლო! – რაჟდენმა „ამქარის“ „მისამართით“ გულისამრევად გამოაფურთხა, მერე გამგებლის მოყვანილ მუშებს მიუბრუნდა და „გზაზე დააყენა“, – რომ არ ცაცდეთ, ჯერ არმატურა ჩაანწყვით, ხრეში გამოარჩიეთ, მოზილეთ და ჩაასხით, კარგი არაა, მაგრამ, მაგ ქვიმას უკან ხომ არ ნავილებ და ჭალაში ხომ არ დავყრო... ჰოდა, ისა, რაც შეეხება დანარჩენს, დარდი არ გექნეთ, არ გაგაცდენთ, მანქანას ახლავე ნავიყვან და მურაბა-ხრემს ისე მალე მოვიტან, ეს ბოლომდე გახარჯულიც კი არ გექნებათ! – ხელი შემართა ახლა უკვე სხვა „განხრით“ რაჟდენმა, მერე მიბრუნდა და „კამაზის“ შოფერს გასძახა, რიონის მარჯვენა სანაპიროსთან, ხიდის კუთხეში რომ „დრაბილა“ მუშაობს, იქ მიდი და მეც იქ მოვალ!.. თვითონ კი სტუმრებთან ერთად „მერსედესში“ ჩაჯდა და რაიონისკენ გაუყვა გზას.

...მერე ყველაფერი თავისი გზით წავიდა, აი, ისე, ნამდვილ ქართულ ზღაპრებში რომ ხდება: ჭირი – იქა, ლხინი – აქა, ქატო – იქა, ფქვილი – აქაო!.. ამ რაიონში ზღღვირი ადინეს მეოცნებებმა ნაციონალებს. ხალხმა გონიერება გამოიჩინა, უარი უთხრა ნაცების ბაქიბუქობითა და ტყუილი დაპირებებით თავმოსხნილ გულად „მოდღერებას“; აქედან გამომდინარე, ბატონი რაჟდენი, მიუხედავად მცდელობისა და განუული ხარჯისა, ოლოლიკზე დარჩა, ვერ გახდა „ზემდგომი“ ორგანოს წევრი... ჰოდა, სხვა რალა გზა იყო, აიბარგა და კულდამოძუებელი დაუბრუნდა დედაქალაქს.

...რა არის ცხოვრება! ბიქტორას დიდძულებიანი, ტანმრგვალი რძალი დღესაც ელოდება ბატონი რაჟდენის სახელზე „დაფიქსირებულ“ ნისიას, იმ დღეს რომ დაიდეს „მეხრეშებმა“.

...ხარჯი ხარჯია და იმასაც გეტყვით! ნალმად ჩატარებული არჩევნების მოსაგონებლად სოფელს დიდებული გემოვნებით აშენებული, ვეებურთულა ახალი სახლი ნამდვილად დარჩა... გზაბანეული ნაციონალების ღამის გასათევად... ■

# ბაროკო მუსიკის კონცერტი ბრემენის „ხარებში“

ლაპით გიბინიშვილი

ძმები გრიმების ზღაპრის გმირები „მუსიკოსები ბრემენიდან“ ბევრისთვის ცნობილია, მაგრამ ძალიან ცოტამ თუ იცის, როგორი მუსიკალური ცხოვრებით ცხოვრობს ბრემენი ამჟამად.

ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია საკონცერტო დარბაზს, რომელსაც „ზარი“ /Die Glocke/ ეწოდება. სიმბოლურია, რომ იგი ბრემენის ულამაზესი რატუშის მარჯვნივ მდებარეობს, ბრემენელი მუსიკოსებისადმი მიძღვნილი სახელგანთქმული სკულპტურა კი მარცხნივ, რითიც არქიტექტორებმა, როგორც ჩანს, ერთგვარად დაიცვეს „მუსიკალური ზღაპრის“ ქალაქის ცენტრში.

„ზარის“ შენობა რამდენიმეჯერ გადაკეთდა, თუმცა, როგორც მუსიკალური დარბაზი, იგი მხოლოდ მე-XX საუკუნის დასაწყისიდან გახდა ცნობილი. შუა საუკუნეებში ეს შენობა ჯერ კათედრალური ტაძრის ნაწილი იყო, სადაც შეკრებები იმართებოდა, მოგვიანებით მის ადგილას აშენდა ოქტაგონური შენობა და მხატვართა ასოციაციას გადაეცა. 1915 წლის ხანძარმა ძირფესვიანად შეცვალა შენობის დანიშნულება და მხოლოდ 1928 წლიდან მოქმედებს, როგორც მუსიკალური დარბაზი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მან დაიბრუნა ქალაქის მუსიკალური ცენტრის სტატუსი, მაგრამ დიდი საერთაშორისო რეპუტაცია 1997 წლის რენოვაციამ მოუტანა, რომლის შედეგად ხელუხლებლად დარბაზის აკუსტიკა, მაგრამ „არტ დეკო“-ს სტილში განახლდა შენობის ფასადი, კორიდორები და შიდა დარბაზები. მუსიკალური სამყაროს სხვადასხვა ავტორიტეტებმა დარბაზი ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო მუსიკალურ შენობად აღიარეს აკუსტიკური უღერადობისა და არქიტექტურის გამო. ამჟამად ფუნქციონირებს ორი დარბაზი: ძირითადი, დიდი დარბაზი, რომელიც 1400-მდე მსმენელს მასპინძლობს და მის გვერდით მყოფი პატარა დარბაზი, სადაც 400-მდე ადამიანი ეტევა. ამ დარბაზებში ყოველწლიურად იმართება 300-მდე საღამო, აქ, კლასიკური მუსიკის გარდა, ჟღერს კაბარე, ჯაზი, ხალხური მუსიკა, იდგმება მიუზიკლები.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საკონცერტო დარბაზს საოპერო სცენის თითქმის ყველა დიდი ვოკალისტი სტუმრობდა. ჩამოვთვლით მხოლოდ რამდენიმეს: ჩეჩილია ბარტოლი, სიმონე კერმესი, ფილიპ ჟარუსკი, როლანდო ვილიასონი და ჯოის დი დონატო. დარბაზს არც ცალკეული ინსტრუმენტალისტები აკლია (საბინა მელიერი, მარტა არგერისი, ანა-სოფი ფონ მუტერი და ა.შ.).

ამჟამად, ბაროკოს ეპოქის მუსიკისადმი მომეტებული ინტერესის გამო, ბრემენი მასპინძლობს სახელგანთქმულ ანსამბლებს და შემსრულებლებს. ასევე პოპულარულია იგი ფესტივალის პერიოდში (Musikfest Bremen), რომელიც ყოველწლიურად ტარდება აგვისტოსექტემბრის თვეში. ამ დროს ქალაქში ჩამოდიან დიდი კოლექტივები და დირიჟორები, რომლებიც ამა თუ იმ ოპერის სრულად დადგმასაც ახორციელებდნენ.

ამა წლის თებერვლის თვეში ბრემენის სახელგანთქმულ დარბაზში ბაროკო მუსიკის აღიარებული ავტორიტეტი, იტალიელი დირიჟორი ალესანდრო დე მარკი (Alessandro de Marchi) მართავდა ორ კონცერტს. საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ მას უნდა ეხელმძღვანელა ბრემენის ფილარმონიის ორკესტრისთვის და არა მისი ტრადიციული ანსამბლისთვის „Academia di Montis Regalis“. უცნაური იყო, აგრეთვე, ის ორდღიანი

პროგრამა, რომელიც „წმინდა ვენეციური ბაროკოს“ ეძღვნებოდა. პირველ დღეს იგვეგებოდა მხოლოდ კამერული კონცერტი, სადაც ბაროკოს მარგალიტები აჟღერდებოდა (ალბინონი, გალუპის, ვივალდი), მათ შორის კონცერტი მანდოლინასთვის RV93 და კონცერტი 4 ვიოლინოსათვის RV580, და მარჩელოს ჰობოის რე-მინორული კონცერტი.

მეორე დღეს ვოკალური ნაწარმოებები უნდა შეესრულებინა ამერიკელ სოპრანოს რობინ იოჰანსენს (დობინ Johannsen). ამ მომღერალს ჩანაწერებიდან ვიცნობდი, კერძოდ, ალესანდრო სკარლატის ორატორიიდან „Davidis pugna et victoria“ („დავითის ბრძოლა და გამარჯვება“ ფირმა Hyperion-ზე) (დირიჟორი ალესანდრო დე მარკი). ვოკალური კონცერტი საინტერესო მომჩვენდა და ბრემენის ფილარმონიის პრესოფისის წყალობით, ამ კონცერტს დავესწარი კიდეც.

როგორც უკანასკნელ დროს დამკვიდრდა, კონცერტში ვოკალურ ნაწილებში კამერულიც იყო ჩართული. კონცერტის დაწყებამდე, სცენაზე ორი კლავესინი ისე იყო მიდგმული, ერთის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელსაც ორი კლავიატურა ჰქონდა. დე მარკი საშუალო სიმაღლის ხმელი და არტისტული კაცი აღმოჩნდა, რომელიც მარცხნივ დაჯდა, მარჯვნივ – სხვა შემსრულებელი. ორკესტრი ოდნავ არატრადიციულად განლაგდა – მევიოლინეები მთელი რიგის გასწვრივ, სხვა შემსრულებლები (ვიოლა, ჩელო, კონტრაბასი და სასულე და მანდოლინა) – მარჯვნივ, სხვები მარცხნივ განლაგდნენ – როგორც მევიოლინეების წინ, ასევე უკან.

ვოკალური ნაწილი დაიწყო ვივალდის ოპერა „Orlando finto pazzo“-დან ნაწყვეტით. არია „La speranza verdeggiando“ ვენეციელი კომპოზიტორის სტილისტური სწრაფი არია აღმოჩნდა. სოპრანოს ლამაზი კამერული ხმა ჰქონდა, იგი ლაღად მღეროდა – არ ეშინოდა არც თავბრუსხვევითი ტრელებისა და არც სწრაფი ტემპის. თავისი მანერითა და ტემპრით რობერტა ინვერნიცის მოგაგონებდათ. მერვე რიგის შუა ადგილიდან სცენა კარგად ჩანდა და ორკესტრი და ხმა იდეალურად იყო დაბალანსებული. არც ერთი მუსიკალური ფრაზა არ იკარგებოდა და იოჰანსენის ხმა არცთუ ისე პატარა დარბაზს კარგად ავსებდა. ორკესტრი არც ერთ პასაჟში არ სჯაბინდა მომღერლის ხმას. ტექნიკა და სიმღერის მანერა წუნდაუდებელი იყო, ხმა – სუფთა, ტემბრალური შეფერილობის გარეშე. მომღერალი სცენაზე თავდაჭერილი და ნაკლებად ექსპრესიული იყო, მაგრამ გმირის განცდები მაინც კარგად აისახებოდა მის შესრულებაში.

პირველ არიას მოჰყვა ბენედეტო მარჩელოს პატარა ვოკალური შედევრი – არია „C'ome mai puoi vedermi piangere“ ოპერა „Arianna“-დან. მასში სევდიანი მელოდია, რომელსაც გამოსცემენ სიმებიანი ინსტრუმენტები, მსმენლის გულის სიღრმემდე აღწევს თავისი უცნაური და არატრადიციული მელოდიური ინტონაციით, ამას ერთვის ვოკალური ხაზი და ტექსტის გაცნობის გარეშეც მსმენელს ადვილად წარმოუდგება დამწუხრებელი არინა, რომელიც ტესემი დატოვდა, მიუხედავად იმ დიდი სიყვარულისა და დახმარებისა, რომელიც არინამ მას გაუწია მინოტავრის დამარცხებისთვის. ამ არიის მოსმენა შეიძლება მხოლოდ პატარისა პეტრონის მიერ ჩანერილ დისკზე კონცერტ „როსსო“-ს ბაროკო არიებს შორის.

ბრემენის ფილარმონიის ორკესტრი ბაროკო მუსიკაში ისეთი გამოცდილი არ არის, როგორც იტალიური, ძველებური

მუსიკის ორკესტრები, ამიტომაც საინტერესო იყო, ეს გამოწვევა როგორ მიიღო ბრემენის კოლექტივმა. ვივალდის სავიოლინო კონცერტი RV552 დე მარკიმ ერთობ ორიგინალურად გადაწყვიტა. პირველი ვიოლინოს მიერ (რეინჰოლდ ჰეისე) გადმოცემული მუსიკალური თემის ექოთი გამეორების შემსრულებლები – სამი მევიოლინე ქალბატონი – დე მარკიმ სცენის მარჯვენა ზედა კუთხეში განალაგა – იქ, საიდანაც შემსრულებლები ჩამოდიოდნენ სცენაზე. აკუსტიკურად ტრიომ არაფერი ნააგო, დამატებით კიდევ მსმენელმა ზუსტად იცოდა, როდის სრულდებოდა მელოდიური ხაზი პირველი ვიოლინოს მიერ და როდის მისი „ანარეკლის“ მიერ. ტემპი გაცილებით ნელი იყო, ვიდრე საკუთრივ იტალიელი ვირტუოზები სთავაზობენ ხოლმე მსმენელს, მაგრამ შემსრულებლები, პირველ რიგში სიმებიანი ინსტრუმენტებზე, ლეგატოს ბოლოში ოდნავი ნწყვეტითა და ოსცილაციით ასრულებდნენ, რაც უჩვეულო შთაბეჭდილებას ტოვებდა და მთელ შესრულებას აუთენტობის ნიშანს ანიჭებდა. მთელი საღამოს განმავლობაში ეს ხერხი არაერთხელ გამეორდა, რაც დე მარკის შესრულების მანერას ასახავდა. ასეთივე მანერა მან თავისი პირველ დიდ ჩანაწერშიც გამოავლინა (ვივალდის ორატორია „იუდიით ტრიუმფატორი“ ფირმა Naïve-ზე).

მერე შესრულდა ორი არია ვივალდის ოპერა „Bajazet“/„ბაიაზეტი“-დან. დრამატული არიის „სოლა son disprezzata“-ს პირველ ნაწილს აკლდა შესატყვისი დაძაბულობა და პერსონაჟის განცდებში წვდომა, მაგრამ იოჰანსენმა მეორე ნაწილში მოახერხა გმირის განცდებისა და მისი ტრაგიზმის სიღრმის გადმოცემა. მეორე არია შესრულდა არნახული სისწრაფით – ახალგაზრდა მომღერალი იმდენად შეუკავებელი იყო, რომ უსწრებდა ორკესტრის აკომპანიმენტს.

აღსანიშნავია ვივალდის „ნელინადის დრონის“ („ზაფხულის“) შესრულებისას ამ ნომრისთვის დირიჟორის მიერ გამოყოფილი პირველი ვიოლინოს (ოლეგ დულიბას) კურიოზები – ჯერ იყო და, მან დააგვიანა და თავის ადგილს მევიოლინეებს შორის ეძებდა, მერე იყო და, გაახსენდა, რომ წინ უნდა გამოვიდეს. ის, რომ იგი დარბაზისა (უშეგესად ასაკოვანი) ტრადიციული, გერმანული მსმენელის ყურადღების ქვეშ მოექცა, მას დიდ უხერხულობაში ადგებდა და ამას არც მალავდა.

შესრულებისას შეცდომები არ იყო და დე მარკი არ მოერიდა მძლავრ ფორტისიმოებს სიმებიანებით (ისინი დიდი სიზუსტით შესრულდა). პირველი ვიოლინოს საქციელი მაყურებლის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა – მსმენელი გაახალისა და იგი უფრო დიდი ოვაციებით შეხვდა დირიჟორის ამ მიღწევას ბრემენის ფილარმონიულ ორკესტრთან.

კონცერტის მინორულს შესრულდა ჯერ პორპორას „შემირამიდე riconosciuta“/„სემირამიდადან“ ჰაეროვანი არია, რომელსაც იოჰანსენი იოლად და ჩინებულად გაუმკლავდა. ბოლოს შესრულდა ურთულესი არია ვივალდის „L'Olimpiade“/„ოლიმპიადიდან“ – „სიამ ნავი all'onde algenti“. ეს არია, რომელიც პირველად დიდ აუდიტორიას ცნობადი ჩეჩილია ბარტოლიმ დაამახსოვრებინა და მერე უკვე სიმონე კერმესმა ჩანერა თავის სოლოდისკში, სავარაუდოდ, ვივალდის შედევრების სიაში შედის. უმძიმესი რულადები და ფიორიტურები, რომელიც მასში გამოყენებულია, მოითხოვს მომღერლისგან უზადო (ვიტყოფი – სუპერკლასის) ტექნიკასა და არტისტიზმს. და ეს ყველაფერი ერთი



ამოსუნთქვით, ქარიშხალივით სრულდება. არც აქ დაიბნა ახალგაზრდა მომღერალი, შესაშური ტემპი აიღო და აქაც ორკესტრი ეწეოდა მას. მაგრამ მაინც ძნელია, იგი ბრწყინვალე ჩეჩილია ბარტოლის შეადარო (ვივალდის სოლოდისკი DECCA-ზე და ასევე ვიდეოჩანაწერი), რომელსაც მეტი არტისტიზმი და ტექნიკა აქვს.

ცოცხალი შესრულებისთვის იმ საღამოს აუღერებელი ვარიანტი ნამდვილად გულგრილს არავის დატოვებდა წკრილა, მძლავრი და მოქნილი ხმის წყალობით. ოვაციები ხანგრძლივი იყო, ამიტომაც შემსრულებელმა ბისზე მომზადებული არია – ისევ ოპერა „ოლიმპიადიდან“ უკვე შედარებით მშვიდად დაასრულა თანდართული სიმებიანი აქცენტებით.

საღამო როგორც ჩემთვის, ასევე სხვა მსმენელთათვის მოულოდნელად სასიამოვნო აღმოჩნდა: ვოკალისტი თავის საუკეთესო ფორმაში, იშვიათი და ძნელად შესასრულებელი ბაროკო არიები, მანეტრო დე მარკი, ერთგვარად სახეცვლილი ბრემენის ფილარმონიის ორკესტრი, მშვენიერი აკუსტიკა და მადლიერი მსმენელი – განა ეს სრულებით საკმარისი არ არის კონცერტისთვის? ■

ტაიგაში აგებული ნ „ლაგერში“, რომელიც გერმანულ ტყვეებს საბჭოთა სამხედრო ტყვეებისთვის ააგებინეს, ხშირად ჩვეულებრივ პატიმრებს ასახლებდნენ.

გერმანული ნახაზებით აგებული და შემოღობილი შენობის ყოველ კუთხეში სათვალთვლო კომპლექსი იდგა და ზედ ავტომატიანი ჯარისკაცები მორიგეობდნენ. ამ დიდ შემოღობილში რამდენიმე ბარაკი იყო, ქვით შემოღობილი.

ერთსართულიანი გრძელ შენობაში რკინის კარებიანი საკნები ჩაემწკრივებინათ. ოცამდე პატიმრისთვის ქვედა და ზედა სართულის ნარები; ჰქონდა ორი ფანჯარა, ორივე ორჩარჩოვანი. საკანში მაგიდა გრძელი სკამებით. მაგიდაზე ონკანის წყლის ჭურჭელი. კუთხეში „პარაზა“. ორი საკნისთვის კედელში დატანებული ლუმენი, რომელიც დერეფნიდან იხილება. დერეფნის ბოლოში რკინის გისოსებიანი კარები. კარებს იქით ორივე მხარეზე კარცრები, მაგრამ ცალკე გამოყოფილი და რკინებით შემოღობილი. სულ ბოლოში კი ტუალეტები...

სალამოს ვახშამი დაინფო. რკინის კარი გააღეს. მეორე, გისოსებიანი ჯერ არ გაულიათ. ცხელ წყალს რომ მოიტანენ, მაშინ გააღებენ. ჩემს ნილ თუ კუთვნილ ბალანდაზე „მოსკვირას“ ვუთხარი, შენ აიღე-მეთქი. მეცოდებოდა, ახალგაზრდა იყო და საჭყელი არ ყოფნიდა. ძალიან სიტყვაჟუნობდა.

— ჯერ არ ვარ იმ ასაკში, ვინმეს ჭკუა ვასწავლო ან დავარიგო. პირიქით, მოსმენით ბევრს მოვიგებო.

როგორც იქნა, მოიტანეს ადუღებული წყალი. ჩავისხი „კრუმკაში“. ცოტა ჩაიც ჩავასხი, ფერი მივეცი. სამ ცალ კანფეტთან ერთად დავლიე ჩაი. ცოტა შავი პურიც დავაყოლე. ამ დროს ზემდეგმა ჩამოიარა, რომელსაც „იოლიკი პალკის“ ვეძახდით. ეს სიტყვა იყო მისი ალმუხთების გამომწვევი. ყველა საკანი გაიღო. მის გვერდით „შინი“, ანუ დამლაგებელი ტრიალებდა. პატიმრებს უთხრა: ვახშამს შემდეგ დერეფანში გამოდი, ბარაკის უფროსს თქვენთან სურს საუბარიო.

თითქმის ყველა გამოვედი, კედელს მივეყრდენი. კაპიტანიც მოვიდა, სახეზე ღიმილი უჩანდა. არ დამჯდარა. სკამს დაეყრდნო ორივე ხელით.

— ახლა მე უნდა გაგარკვიოთ. სამმართველოდან მოვიდა ბრძანება, რომ გაქვთ უფლება გამოინეროთ ჟურნალ-გაზეთები. ეს ყველაზე უფრო „ჩიფორისტებს“ გაახარებს. ქალაქებს რომ ეძებნენ ასადულებლად, — შეიხვეწა. აინტერესებდა პატიმართა რეაქცია, პასუხი.

დიდი სიხარული არ გამოუხატავთ, მაგრამ ძალიან მოენკნათ. ერთმა კიდევაც იხუმრა, ხედავთ როგორ ზრუნავს პატიმრებზე ჩვენი მთავრობაო. ერთმა, ჩვენ მაგ ბრძანებას ის გვიჩვენებდა, ჩაი იყიდებოდე ჩვენს „ლარიკოში“. ესეც მორფი და „პლაზინი“ ხომ არ არისო.

დიდი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ უცნაური აზრი გამიჩინდა. გადავწყვიტე, საკუთარ თავს ჩავუტარო გამოცდა. ამისთვის ასაკიც საკმარისი მაქვს, გამოცდილებაც და დროც ხელს მინყობს.

ეს კი გავიფიქრე, მაგრამ გული ვერ დავითანხმე. სინდისთან გამგზავნა. ეს იმიტომ გააკეთა, რომ აიცლია პასუხისმგებლობა და საკუთარი (გულის) ტკივილი — მე შენგან მეტი რა მახსოვსო.

ეს ბოლო სიტყვა ნამდვილად არ მომეწონა. რას ნიშნავს და რას გულისხმობს ამაში?! უფრო კარგად რომ გამეშიფრა, სინდისს ვუხმე. არ დამიძალავს გულის ნათქვამი და ვთხოვე, განეხილათ საქმე.

სინდისმა ამხედ-დამხედა. გამაოცა, იმდენ ხანს იფიქრა და ბოლოს მითხრა: ხომ იცი, სინდისი სამსჯავროა, რომლის წინაშე ადამიანი ერთსა და იმავე დროს თავისი თავისთვის ბრალმდებელიც არის, მოწმეც, მსაჯულიც და ჯალათიც. შენ ამას ყოველდღე აკეთებ ძილის წინ. ეს მე შენგან ვისწავლე. თუ ახლა გულმა რალაც გითხრა, ესე იგი, ეცოდები. აკი, ნისქვილის ქვა არ დაბრუნებულა შენს თავზე, თორემ... ასე რომ, გულს ნუ გაუზრახდებიო.

სინდისმა ამით დამამშვიდა. გულსაც შევურიგდი. გულწრფელად და ალაღად მემსახურება და არა მაქვს დასაძლერი. აქვე გამახსენდა დიდი ფრანგი მოაზროვნე დიდრო, მისი სიტყვები: „გულწრფელობა დედაა სიმართლისა და აბრა პატიოსანი კაცისა“.

გულს გულწრფელი მადლობა ვუთხარი

რადგან საყვედურები წამოვიდა, კაპიტანმა, ჩემი ვითხარითო, თქვა და ნასვლა დააპირა, მაგრამ ჩემს შეძახილზე შეჩერდა. — თუ შეიძლება ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოწერა, ეს მაინტერესებს-მეთქი.

— როგორ არა, ჩემი თვალით ნავიკითხე, ყველა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების გამოწერა შეიძლება, — გახარებულმა მიპასუხა.

უკნიდან ბეჭებზე დარტყმა ვიგრძენი. თანაგრძობა იყო და სიხარული.

ხმაური მიწყარებულიც არ იყო, — მეც მაქვს ერთი შეკითხვა, — ეს სომეხი ვართანა იყო. — მეც მინდა სომეხური გაზეთის გამოწერა და გამოსაწერ ჟურნალში თუ ჩამახედე, კარგი იქნებაო.

— შენ არ გახსოვს, რა სომეხური ჟურნალ-გაზეთები გამოდის? გამოწერა კი ნ თვიდან ერთ წლამდე არის, — შემობრუნდა და ნავიდა.

ბევრი ვიფიქრე, რა გამომეწერა. გაზეთები კარგია, მაგრამ მისი ტყუილებით თავის გაბრუნებაც არ ვარგა. შევძლებ პნკარებს შორის ნაკითხვას? კომუნისტები იმდენ ტყუილს ამბობენ, რომ მერე თვითონ სჯერათ. ვასაკვირი ის არის, რა მიზანს ემსახურება ჟურნალ-გაზეთების გამოწერა.

დილით ჩამოვწერე ქართული გაზეთები: „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „სოფლის ცხოვრება“. ერთი აზრი ამეკვიპა „სოფელსკაია გრუზიას“ გამოვიწერე და „ჩიფორისტებს“ მივცემ, თან ნაკითხავენ, წარმოდგენაც შეეძლება საქართველოზე-მეთქი.

ვართანა ჩემს საკანში არ იყო, მაგრამ დილით სამუშაოზე გასვლის წინ შემეკითხა, თუ გამოინერე და რამდენიო. მე რე მითხრა, უნდა წამოვიდე მე-12-ე საკნიდან, მორფინისტებმა და „ჩიფორისტებმა“ ერთად მოიყარეს თავი, 24 საათი ადუღებენ და ადუღებენ... კვამლი ვიხრჩობო.

მივხვდი, ამ ეშმაკმა სომეხმა პირდაპირ არ მითხრა, შენს საკანში მინდა გადმოსვლაო. მეოთხე დღეს ჩემს საკანში დამხვდა დაბლა, ნარზე წამოწოლილი. თამბაქოს არ ეწეოდა. პატიმრის პირობაზე კარგად ჩასუქებული და მოვლილი იყო. სომეხური აქცენტები და სომეხური სახე ერთ აზერბაიჯანულ ზედამხედველს არ მოსდიოდა თვალში. მე კი „ზემლიაკს“ მეძახდა და, თუ დაგჭირდა, ავერ ვარო — მეუბნებოდა.

თვეც არ იყო გასული, ქართული გაზეთები მივიღე და „სოფელსკაია გრუზია“ თითოეულმა ჯერ ნაკითხა და მერე დანვა. მე კი გაზეთში ნაკითხულით თავი მომაბზურეს. ვართანას მიდგენ, შენ რატომ არ გამოინერეო. ხუმრობ-ხუმრობით ბოლოში ახდევინეს.

# ყუყურნი ყუყურობდი

სულ რომ არ ველოდებით, კვირა დღეს მოვარდა ბარაკის უფროსი, წიგნი მოვიდა, ვავონია ჩამომდგარი, სია გააკეთეთ, ვის რა წიგნი გინდათ. წიგნები რუსულ ენაზეა დაბეჭდილი.

ბევრი ფიქრის შემდეგ ჩამოვწერე ჩეხოვის და დოსტოევსკის ტომები, თანხა მქონდა პირად ანგარიშზე და იქიდან წაიღებდნენ. მომართვეს წიგნები — მაგრამ ორი თაროს გაკეთება დამჭირდა ზედა ნარზე. გული მაინც დამწყდა, ფული მქონდა და კიდევ სხვა წიგნები რომ არ ვიყიდე. ეს უფრო იმის შიშით იყო, რომ ეტაპირების დროს ყველას წაღებას ფიზიკურად ვერ შევძლებდი.

გაზეთებს ჩვეულებრივად ვიღებ, მთელი კვირის ერთად შეკრულს. „სოფლის ცხოვრება“ გამაკვირვა, თავი შემეყვარა. „ბრძნულ აზრებს“ ბეჭდავს. ერთი ნომერი დამაკლდა. მივწერე რედაქციას, გამომიგზავნეს. გაზეთების შეკვრას ვაკეთებ. რუსული გაზეთი „ჩიფორისტებს“ აქვთ ჩაბარებული, მაგრამ ზოგჯერ თვალს მინაც გადავავლებ.

ვართანამ მე ნამბაძა — სომეხური გაზეთის შეკვრას აკეთებს. რატომაც შეწყდა „სოფელსკაია გრუზიას“ მიღება. ერთი წლით მქონდა გამოწერილი და ჯერ ხუთი თვეც არ იყო გასული. შევწუხდი... ჩემზე უფრო „ჩიფორისტები“.

ჩიფორის ვეღარ ადუღებენ. ჩვენ ორს გვექონდა გაზეთი გამოწერილი. მოგვეცი გაზეთიო. ვართანამ თურმე უარი სტკიცა.

დავინყე გაზეთებიდან ამოჭრა, რომელიც საჭირო იყო შესანახად. „სოფლის ცხოვრებას“ არ შევხებოვარ. ვგრძობდები შეკვრას. კვირა დღე იყო, აბანოდან გავავრთხილეს, 12 საათში მოვიდეს თქვენი ბარაკიო.

გაიღო ყველა საკნის კარი. ნელ-ნელა ყველა აბანოსკენ დაიძრა. იმ დღეს მორიგეობდა აზერბაიჯანული ზედამხედველი. ერთმანეთი მოვიკითხეთ. კიდევ შემახსენა, თუ დაგჭირდა, არ მოვერიდოს, ავერ ვარო. რას მირჩევ, რუსის ქალი ცოლად მოვიყვანო თუ არაო.

მე ვუთხარი, ძნელია ამაზე პასუხის გაცემა. მოიყვან და აქ, რუსეთში ჩაიკარგები. რუსეთი თავისი ცხოვრებით დიდი ჭაობია. უკან რომ მოიხედავ, უკვე გვიან იქნება. მე ვგრძობ შენს ოჯახურ მდგომარეობას, თორემ ჯარმობილი კაცი აქ არ დარჩებოდი. წაი შეგებულბაში. გადახედე იქაურობას. ბოლოს და ბოლოს, იქაური გავო წამოიყვანე. ის მშობლიურ ენაზე დაგელაპარაკება და კიდევაც შეგახსენებს, რომ აქ დროებით ხართ ჩამოსული. პენსიაზე გახვალ და ჰაიდა სამშობლოსკენ.

## სინდისის სამსჯავროსთან... (ჩანაწერებიდან)

განათლებული, გამართლებული გრძობისთვის. მისი იმედიც მაქვს, საკუთარ თავზე წიგნის დაწერას რომ ვაპირებ, მაგრამ ჯერ არა — რა დროს წიგნია, ქვეყანა თავზე გვეწვრება. არც ერთ პარტიას არ ვუთანაგრძობ, იმიტომ, რომ ამინდვიით იცვლებიან, მაგრამ ჩემს სათქმელს სახრობელაზეც კი ვიტყვი.

მოდი და ახლა სალად ვიმსჯელოთ. გადავხედოთ, რა ხდება ქვეყანაში. ჩვენთვის ძვირფასია მშობლები, ძვირფასია შვილები, ახლობლები, ნათესავები, მაგრამ ყველაფერი ეს თავს იყრის ერთ სინამდვილეში — „სამშობლო“. ეს ბოლო სიტყვა ყველაფრის წინ უნდა იდგეს. მზესავით განათებული. სად დავკარგეთ სიტყვა პატრიოტიზმი?!

ადამიანის სრული განდევნებისთვის აუცილებელია სახელოვანი სამშობლო. მაქვს კი ეს ასეთი სამშობლო?! არა, მრცხენია!.. მე კომუნისტების რეჟიმის დროს ვამაყობდი ჩემი ეროვნებით და ჩემი სამშობლოთი. რაც ბოლშევიკებმა გავკვიკეთეს, წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ეს „ნაციონალიზმი“ რომელი „ინკუბატორიდან“ გამოიჩქენენ, ვერ გამოვიცა.

დღეს გავიცხობი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქვეყანა ვართო. დამანახეთ ერთი, სად ჩანს?! ბედნიერი და აყვავებული ქვეყანა გვაქვსო, ვინც ასე ამკარად ნაცარს გვაყრის თვალებში, ნამდვილად დაცვიცინს. მე ახლა ერთ პატარა ამონა-

წერს შემოგთავაზებთ გაზეთ „ქრონიკიდან“ და დასკვნა თქვენ თვითონ გამოიტანეთ. დახმარება უმუშევრისთვის — 730 დოლარი. პრემია ახალდაქორწინებულებისთვის — 64 ათასი აშშ დოლარი. მოსახლეობას არ უწევდა არც ბინის და არც ელექტროენერჯის გადასახადების დაფარვა. ყოველ ახალშობილზე პრემია — 7 ათასი დოლარი. აქ ისეთი გრძელი ჩამონათვალა ხალხის კეთილდღეობაზე, რომ ერთი ფურცელი არ ეყოფა. მე იმას გეტყვით მხოლოდ, რომ ეს ყველაფერი ამერიკელების მიერ დიქტატორად გამოცხადებულ კადაფის ქვეყანაში, ლიბიაში ხდებაო. მომიყვანეთ ასეთი დიქტატორი საქართველოში და მე უყოყმანოდ მისთვის გავწირავ თავს.

ნაციონალების ხელში კი სახელმწიფოს საქმე უკან-უკან მიდის — შიმშილი, უმუშევრობა, პროფუტკებს ცეცხლის ფასი ადევს, ხვან-თესვაიც კარს მოგვადგა. არ ვიცი, რა გვეშეველება. ვინ დათესავს და რა საშუალებით.

ნიკოლოზ II-ის დროს და მენშევიკური მთავრობის დროსაც ხალხს, გლეხებს ნაღი-ები საყავნ ფართობებში ჰქონდათ ჩადგმული. ვაგსებულს სასიმინდედან ერთ ტაროს ვინ წაიღებდა. ჩვენი სიმინდი საზღვარგარეთ გაჰქონდათ გასაყიდად და დიდი მოთხოვნა იყო. ახლა ამერიკიდან შემოგვიტანეს სათესი სიმინდი და ღმერთმა უწყის, რაა.



დავბრუნდი აბანოდან, ვართანა ღრი-ალეხს, სად არის გაზეთებიო. თუ წაღება იყო, ნიკოლაევიჩის რატომ დატოვესო. მივარდა ზედამხედველთან, ვინ შევიდა ჩვენს საკანში და ვინ აიღო გაზეთებიო.

— წაი აქედან, მომცილდი, თორემ დავრეკავ და აქ კი არა, გარეთ, კარცრში გიკრავთ თავსო, — დაუღრიალა მან.

ვიდექი და ვუყურებდი, რალაც ეჭვი გამიჩნდა. უკნიდან ხელის მოჭერა ვიგრძენი მკლავზე. ჩემი საკნიდან იყო „ახოლა“, დღეში ჩიფორის სამჯერ რომ ადუღებდა. ჩიფორი იყო მისი სიცოცხლე. კბილები მაგარი მოხარული ჩაის სმისგან დაცვენიდა.

„ახოლა“ თურმე აბანოში არ წასულა. მივიდა ზედამხედველთან, გაუბა ჩვეულებრივი საუბარი და მერე გადავიდა ვართანას ლანძლვაზე, გაზეთს არ გვაძლევსო. მე თურმე მაქო, გაზეთი გამოვიწერა ჩიფორის მოსადულებლად, მაგრამ რატომ შეწყდა, არ ვიციო.

„ახოლა“ კარგად იცოდა, სომეხები და აზერბაიჯანელები როგორ იყვნენ ერთმანეთთან და ეს მდგომარეობა გამოიყენა. გაზეთები შორს კი არ წაუღია, იქვე, დერეფნის ბოლოში, „ბურში“ ერთი წლით მისი მეგობარი იჯდა და მას მიაართა. ზედამხედველმა მხოლოდ კარი გაუღო გაზეთის გადასანდებლად.

ვართანა სხვა საკანში არ გადასულა, მაგრამ „ჩიფორისტებს“ არ ელაპარაკებოდა. ეს მათი გაკეთებულობა, ხმადალა თქვა.

ორი თვეც არ იყო გასული, უეცრად გაათავისუფლეს. ნამდვილი მკვლელობა სხვა აღმოჩნდა. სულ მუშენებოდა, მე არ ჩამიდენია ეს მკვლელობაო. ნასვლის წინ მის მიერ გამოწერილი გაზეთი მე გადმომაბარა.

ლანჩუის „გურია“ ერენის „არარატთან“ თამაშობდა. ჩემს გვერდით იჯდა და ცდილობდა, თავი შეეკავებინა ემოციებისგან.

მე ერთ ჩემს წინა წერილში ვწერდი, ბარემ ამერიკას მიგვაერთონ რომელიღაცა შტატად და დავიხვეწებთ-მეთქი, მაგრამ ამას ამერიკელები არ დაგვთანხმდებიან. მათ მარტო ამერიკული ფასების პრეისკურანტი გამოგვიგზავნეს.

რანაირად უნდა მოახყო სახელმწიფო, რომ მოსახლეობის ნახევარს პოლიციის ფორმა ჩააცვას და მეორე ნახევარი ციხეში ამყოფოს.

ჩვენ ჯერ ფიქრიც არ დაგვიწყია თავისუფლებაზე. თავისუფლება მამაცთა ხვედრია.

ადამიანი არც მხეცია და არც ანგელოზი. გააჩნია, რომლის მხარეს დაიჭერს.

ნაცების მთავრობა ხალხის კეთილდღეობისთვის იბრძვის, მაგრამ ნავსინა დღეებში.

ვინც საკუთარი მონუმენტის შექმნაზე ფიქრობს და იბრძვის, ის დაამბობს სამშობლოს მონუმენტს.

ჩვენი დემოკრატიის თვალსაზრისით ბრმად ყოფნა დასაშვებია.

დიდი პროვინებში საკუთარ მონუმენტს ხალხის გულში იდგამენ. ძველად ინდოელები თავიანთ დრამატულ წარმოდგენებს ამთავრებდნენ სიტყვებით: „იყვენ ყველა ერთი ტანჯვისგან თავისუფალი“.

ხელს ნუ გაიმწვრა, შეიძლება იარაღი შეგაჩერონ ხელში... პოლიტიკური სახელმწიფო მარტო პოლიტიკანებით არ უნდა იყოს დასახლებული.

ბორკილებით ხელიდან სულსკენ გზა არ ასწავლო...

# ზაქარიაძის წყალობა, სარქისოვის მუჟარა და შავგულიძის ჩივი

## გიზო ზარნაძე



ალსანიშნავია, რომ ფრანსუა დე გიზო ფრანგი იყო, ფრანსუა დეს გამო. მე მხოლოდ და მხოლოდ ქართველი გახლავართ, ზარნაძის გამო.

ისიც ყურადსაღებია, რომ გვარი „ზარნაძე“ არც ქართულსა და არც სხვათა ენებზე, გვარის გარდა, არაფერს ნიშნავს. (შეადრ. ბოლქვი - ბოლქვაძე, კასრი - კასრადე, ნიშანი - ნიშანიანიძე, მახვილი - მახვილაძე, მეტრი - მეტრეველი, ადე - ადეიშვილი და ა.შ.).

ავტობიოგრაფია, როგორც წესი, პირდაპირპროპორციულია ბიოგრაფიისა, ეს უკანასკნელი კი - ასაკისა ამიტომ მოკლე ავტობიოგრაფიას გთავაზობთ.

კიდევ ერთი რამ: შენმა ავტობიოგრაფიის ნაკითხვამ რომ ვინმეს ღიმილი მაინც მოჰგვაროს, ორი ფაქტორიდან ერთი მაინც ყოვლად აუცილებელია - ან მოყოლა უნდა შეგეძლოს სასაცილოდ, ან სასაცილო ბიოგრაფია გქონდეს!

სასაცილოდ რომ ვერ ვყვები, კი ხედავთ, მარა, ბიოგრაფიაც რომ არ მაქვს სახარხარო!

თავად განსაჯეთ: ათას ცხრაას ორმოცდაათ წელს, ჩხარის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-საინჟინრო ფაკულტეტზე მისაღები გამოცდების ჩაბარებისას მათემატიკაში ორიანი არ ეპერტყა ჩემთვის პროფესორ რუხაძეს და მოეწყობილიყავ, მაშინ სამთო-სამშენებლო ტექნიკუმში აღარ ამოვიყვდი თვალს, ხოლო მომდევნო წელს რომ, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ტექნიკუმში სასწრაფოდ არ მიმეტოვებინა, მაშინ ვეღარც მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მოვხვდებოდი სტატისტიად, ვეღარც მაყურებლისკენ ზურგშექცევი მჯდომ მეცნიერ მუშაკს „განვასახიერებდი“ მოსაშვილის „მის ვარსკვლავში“ და ვეღარც ამ ერთადერთ ფრანსუას წარმოვთქვამდი სცენაზე „ომენ შენს მადლსა!“ „მოძღვარში“.

ხოლო ათას ცხრაას ორმოცდაათორმეტი წლის ზაფხულში რომ სამხედრო კომისარიატიდან ზედინზე ცაბუტი უწყება არ მომსვლოდა, მაშინ არც კიევის ფრუნზეს სახელობის თვითმავალი არტილერიის ნითელდროშოვან სამხედრო-საოფიცრო სასწავლებელში ამოვიყვდი თავს და ათას ცხრაას ორმოცდათხუთმეტი წლის ოქტომბერში ვინ ქაბაძელი განმანესებდა ოცმეთაურად ქართულ ნაციონალურ დივიზიაში, ძირითადად საღორიანზე რომ იყო განთავსებული! ხოლო, ათას ცხრაას ორმოცდათხუთმეტი წლის აპრილში რომ ნიკიტა ხრუშჩოვს ეროვნული დივიზიები არ გაუქმებინა, მაშინ მოძმე, მაგრამ შორეული უზბეკეთის ქალაქ თერმეშიც ვერ აღმოვჩნდებოდი და ის ორმოცდადერთი უზბეკური სიტყვა: „ხალხ“, „შაქარ“, „ქაყაზ“, „საპუნ“, „ოხუნჯ“, „მაიმუნ“, „მატრაბაზ“ და მისთანანი საიდან მეცოდინებოდა!

დაბოლოს, თბილისიდან საგანგებოდ გამოწერილი ჟურნალ-გაზეთები, განსაკუთრებით კი „ნიანგი“ რომ სისტემატურად მომსვლოდა ხოლმე, შესაძლოა, აღარ გაგვრახებულიყავი, თბილისს არ დავბრუნებულეყავი და 1962-1963 წწ. სეზონში უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზეც არ მოვწყობილიყავი და, კიდევ უფრო დაბოლოს, 1965 წლიდან „ნიანგში“ რომ ხანგამოშვებით რალა-ცრალაცები არ მექვეყნებინა, მაშინ არც ეს წიგნი აღმოგაჩნდებოდათ ხელთ, თქვენდა სამწუხაროდ, და ვერც ჩემს ავტობიოგრაფიას გაცნობოდით ჩემდა საბედნიეროდ!...

თეატრში კი შემდეგნაირად მოვხვდი. სამთო-ტექნიკუმის მიტოვების შემდეგ ისევ თბილისში დავრჩი. დის ოჯახმა შემეკვლია, ვითომცდა, რიგიან-პირიანად უნდა მოემზადებულიყავი და ისევ „გეპეიში“ მეცადა მომავალ წელს ბედი.

მამიდაჩემს, ანუშკას, - დაადგეს ნათელი! (იქვე, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა) ერთხელ გადაუწყვეტია რუსთაველის თეატრში წავიყვანო. წამიყვანა და აღსაბაძის

დადგმული, კიდით-კიდემდე გახმაურებული „ოტელი“ მანახა.

მანახა და მორჩა!.. გამოვეთიშე რელობას! რომ გითხრათ, აკაკი ხორავამ მომხიბლა და აღმართოვანა-მეთქი, ძალიან ცოტა იქნება!

მომეწონა და აღმართოვანა კი არა, მომავადოვა, მშთანთქა, წამლეკა, სული ამინიალა, გული ამომიდო საგულედან!

ის დღე იყო და ოტელის მონოლოგი „ჯერ შეიცადეთ, ვიდრემდე ნახვალთ“... ყოველდღე ჩვიდმეტჯერ მაინც გაისმოდა ჩემი დის წვრილშვილიან ოჯახში და ბალღები შემინებულნი მიყურებდნენ შორიხლოდან, მეზობლები კი, თქმა რად გინდათ, ქილიკობდნენ - დალუპა მამიდამისმა ყაბაძიო!..

სწორედ მამიდაჩემმა ჩაკეცილდინათ კაი ხნით ხმა!

შევცოდებოვარ მამიდას და სწორედ იმ გაზაფხულს, ზემოთ რომ მოგახსენეთ, ერთ მშვენიერ, მზიან დღეს ჩამკიდა ხელი და მარჯანიშვილის თეატრში წამიყვანა.

იქნებოდა ასე, 11 საათი. შესაძლოა, არც კი ვფიქრობ გუნებაში, ალბათ, დილის წარმოდგენაზე მიყვავარ-მეთქი.

თურმე, სადა ხარ! რის წარმოდგენა და რა სპექტაკლი! მიყვავარ თვით სერგო ზაქარიასთან შესახვედრად!

სერგო ზაქარიასი, მანამდეც გამეგონა, რასაკვირველია! სიმონა კინოფილმ „დარიკო“-ში, სულძალი შაბიში - „გიორგი სააკაძე“-ში, ყარაჩოლელთა უსტაბაში - „ქეთო და კოტე“-ში.

ეს უკანასკნელი სულ ახალი გამოსული იყო ეკრანზე და რატომ თხუთმეტჯერ მაინც არ მენახა, ისე ვიყავი მონუსხული ზაქარიასის „გინდ მეძინოს, მაინც (საჩვენებელი თითის ჯადოსნური მოძრაობით)“ სულში მიზიხარ!

მე რა ვიცოდი და, თურმე, მამიდაჩემს (ბუნებრივია, მამაჩემსაც!) ახლო ნაცნობობა ჰქონია სახელოვან მსახიობთან.

როდესაც სერგოსა და ბუხუტის მამა ნაადრევად გარდაცვლიათ, ქვეყნად დარჩენილი წვრილშვილიანი ქალბატონი ასევე ზესტაფონელ ნიკოლოზ (კოლია) ზარნაძეს შეურთავს, რომლისგანაც კიდევ ორი ვაჟი შესქენია.

ერთი სიტყვით, ყველაფერი გასაგები გახდა. მამიდას წინასწარ დაურეკავს ბ-ნი სერგოსთვის და კიდევაც შეთანხმებულიან - ხვალ დილით, სანამ რეპეტიცია დაგვეწყობოდეს, მოიყვანე თეატრში ეგ შენი ძმისშვილი და ვნახავო!

ვდგავართ თეატრის წინ, ველოდებით. თურმე, რახანია, მოსულია და აქეთ გველოდება...

შემოსულიყავით ამ კარებში, უთხრა მამიდას, ვამბორა, მე თავზე გადამისვა ხელი და თეატრში შეგვიძღვა.

გუმინდელივით მასსოვს, სცენიდან მარცხენა ფოიეში შეგვიყვანა, ვილაცას ანიშნა და სკამები შემოიტანეს. დავსხედით, მაგრამ გულს ბაგაბუგი გაუდის - არ ვიცი, რას მკითხავს, რას გამაკეთებინებს.

- მღერისა? - მეკითხება.

„აუ, დევილუპე!“ - გამკრა გულში. წამიერი პაუზა იმად ჩათვალა, ალბათ, ვერ მიხვდა შეკითხვას.

- სიმღერა თუ იცი? კინალამ წამომცდა, ნწუ-მეთქი, მაგრამ უმაღლე ვიზრე და თავი გავიქნიე.

- თუ ცეკვაობარ მაინც? - როგორც მოგვიანებით მივხვდი, განგებ მეკითხებოდა იმერული „აქცენტი“, თორემ, როგორ არ იცოდა სალიტერატურო ქართული!

- არც ვცეკვავ, - შევეშვი თავის ქიცინს.

- აბა, რანიერი არტისტი დადგება, კაცო, შენგან! ლექსი მაინც თუ იცი რაიმე ზეპირად?

- დაიხ! - მიყუე რიხიანად.

- ჰოდა, აბა ჰე! მიდი აბა! გისმენ! - გაუხარდა, რალაც ხელჩასაჭიდს რომ მიაგნო. თან მარჯვენა ხელის მუშტი ნიკაპზე მიიბჯინა.

წამოდექი, ღრმად ჩავისუნთქე, მივაშტერდი ჭერს და, რაც შემეძლო, ხმამაღლა დავიწყე: „ცხრა ლახვარიც რომ ჩამარტყან ცხრაჯერ გულში, მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ“... უმაღლე შემაჩერა.

- ჯერ ერთი, კი არ ჩამარტყან, არამედ „დამარტყან“ უნდა და, მეორეც, რალა ეგ, ნასაკითხად უძნელესი ლექსი შეარჩიე, შე

ამას წინათ გამომცემლობა „უნივერსალმა“ დასტამბა გიზო ზარნაძის წიგნი „ჩემი შემოდგომა“ (ლოკუმენტური პროზა. ესეი. ჩანაწერები. პაროდები). გთავაზობთ რამდენიმე თავს ამ წიგნიდან.

კაცო! მაგას, შენ კი არა, პროფესიონალზეც ვერ კითხულობენ ხეირიანად. „მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ“-ო. არ დაგიჯერებს მსმენელი, ეჭვი შეეპარება.

ვხედავ, ზაფრა ეცა მამიდას, ფერფური მისდის. მე ხომ, საერთოდ, გავთავდი და, მოულოდნელად:

- მარა, ათასში ერთხელ ხდება ასეც - მერე იხსნებიან, ბეჯითი და თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად. ჩვენც რა გვენაღვლება, ვცადოთ, იქნებ გაამართლოს.

ახლა სასიხარულოდ ამიფართხალდა გული, მამიდაჩემმაც შვებით ამოისუნთქა.

- ხვალ არა, ვისვენებთ. ზეგ მოხვალ და, წელან რომ შემოვედით, იქ შემოვხვალ და ირაკლი გრატიაშვილს იკითხავ. დასის მმართველია. ეტყვი, ვინც ხარ, ჩემი სახელიც უხსენე და ჩაგრიცხავს სტატისტიად.

რა ვიცი, ან დასი რა არის, ან სტატისტი, მარა, ხომ ვერ ვკითხავ!

- იყავი, დაესწარი ხოლმე რეპეტიციებს, წარმოდგენებსაც... ხანდახან უსიტყვო როლებსაც მოგცემენ „მასოვკაში“ - ამას ჰქვია სტატისტი. ჰოდა, ვნახოთ, ერთი სიტყვით!

მეც და მამიდაც გახარებული წამოვედით, მაგრამ ახლა კიდევ ერთი თავსატეხი გამიჩნდა - რას უნდა ნიშნავდეს, ნეტავ, „მასოვკა“?

ახლა რომ დავფიქრდი - რა უფრო დამახსოვრდა თეატრში გატარებული ცხრა თვის მანძილზე-მეთქი, აი ეს ეპიზოდი: ახალი გამოსულია ეკრანებზე მიხეილ ჭიაურელის „ბერლინის დაცემა“, რომლისთვისაც დამდგმელ რეჟისორსაც და ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელსაც სტალინური პრემია მიენიჭათ.

ზამთრის თვე იდგა, იანვარი ან თებერვალი. გადის ილო მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“ (დამდგმელი რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი. სიტყვამ მოიტანა და ის სპექტაკლიც ლაურეატი გახდა).

ჩვენ, სტატისტიები, სადაც თავისუფალ სკამს ვნახავთ, ჩამოვსხდებით, ვუყურებთ.

შუა სპექტაკლია. სერგო ზაქარიასი გიორგის მონოლოგს კითხულობს. განაბულია დარბაზი.

უეცრად რალაც ჩოჩქოლი ატყდა, გაცოცხლებული ვიყურებთ იქით-აქეთ. უმაღლე ბატონ სერგოს შევხვდეთ. „გამოვიდა“ როლიდან, გაღიმებული მიაჩერდა ბოლო იარუსს და ტაშს უკრავს.

ბოლოს არჩილ ჩხარტიშვილი ადის სცენაზე და მოგმართავს: ბატონებო და ქალბატონებო, მივესალმოთ სტალინური პრემიის ახალ ლაურეატებს, ჩვენს სახელოვან თანამემამულეს, მიხეილ ჭიაურელსა და ალიომას როლის ბრწყინვალე შემსრულებელს, ძვირფას ბორის ანდრეევს!

მთელი თეატრი ფეხზე დგას და ოვაციებს უმართავს სტუმრებს.

გასაოცარი მთელ ამ ეპიზოდში ის გახლდათ, რომ ჭიაურელმა და ანდრეევმა არ იკადრეს თეატრის ხელმძღვანელობის შენუხება, არ მოსთხოვეს, პარტერში სკამების გათავისუფლება და „გალიოკა“ ამჯობინეს, ჩუმად „აიპარნენ“ იარუსზე, რათა სპექტაკლის მსვლელობაში დისონანსი არ შეეტანათ!

კიდევ ის ჩამრჩა სამუდამოდ მეხსიერებაში, რომ, როცა, როგორც ავტობიოგრაფიაშიც მინერია, ჯარში ნასვლა აუცილებელი შეიქნა, ერთ დღეს მოწყენილი ვდგავარ მსახიობთა ოთახში, ჩაფიქრებული.


ეს თვალში მოხვედრია ბატონ ვახტანგ ნინუას, გამოეყო თანამოსაუბრეთა წრეს, მოვიდა და მეკითხება, რალაცა გუნებაზე ვერ ხარ, ხომ არაფერი განუხებებს! (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!)

ვუთხარი, ჯარში მიყვავარ-მეთქი.

შენუხდა. ნუთუ არავინ გყავს, რომ დაგეხმაროს!

არა-მეთქი.

ეეჰო! - თქვა და თანამოსაუბრეთ დაუბრუნდა. ცოტა ხნის მერე თვალის გაკაპარე იქით და მივხვდი, ჩემზე უთქვამს რალაც, ისე მომჩერებოდნენ ყველანი.



\*\*\*

1952 წელს დასადგმელად ჩაუშვეს გ. ბუნიაშვილის პიესა „დღლა“, რომელიც ასახავდა ახალგაზრდა იოსებ სტალინის მოღვაწეობის ეპიზოდებს საქართველოში. მაგრამ მოხდა ისე, რომ სანახევროდ გამზადებული სპექტაკლი მოხსნეს რეპერტუარიდან, როგორც მახსოვს, მოსკოვიდან წამოსული ცირკულარით: მნიშვნელოვნად შეიკვეციოს ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე სპექტაკლების რიცხვი!

სემინარიელ სოსო ჯულაშვილს განასახიერებდა ახალგაზრდა მსახიობი, გოგავა (ჩემდა სამარცხვინოდ, სახელი არ მაგონდება, მგონი, გურამი ერქვა), ხოლო უკვე პროფესიონალ რეჟისორი მონიშნული - ცნობილი მსახიობი ანდრო კობალაძე.

სპექტაკლში მე მქონდა რიგითი ჟანდარმის როლი და ტექსტი - ერთადერთი წინადადება.

შენიღბულ რეჟისორს განასახიერებდა ყველასთვის საყვარელი მსახიობი და პიროვნება გიორგი შავგულიძე. იგი ქუჩაში დადიოდა კინტოს ტანსაცმელში გამოსვლილი, თავზე ედგა ვეებერთელა ხის თაბახი, - სასვე ცოცხალი: მურწა, კალმახი, ჭანარი - რომელიც ორივე ხელით ეკავა.

აი, გამოჩნდა ჟორა, მოაქვს თაბახი და გაიძახის - აბა, მოვიდა თაბახი, მურწა, ჭანარი, კალმახი!

ამ დროს მანიშნა შესტით მეორე ჟანდარმმა, იმოქმედებო.

მიუვახლოვდი „კინტოს“ გაუბედავი, მელის ნაბიჯით, წვეტანე ორი თითით ხალათის სახელოში და ვეუბნები ყრუ ხმით: „გამომყევით, თქვენ დაპატიმრებული ხართ!“

პიესის მიხედვით, კინტოს უკვირს და მეუბნება: რათა, უფროსო, ცოცხალის გაყიდვა იკრძალება?!

ამის ნაცვლად ჟორამ ჩამოიღო თაბახი, დადგა ძირს და მეუბნება გააგებელი:

- შეილო, შენ მსახიობობა გინდა?! ჟანდარმი ხარ ხომ? განიშნეს, მიდი, ჩაავლე ხელი და დააპატიმრე! შენც ადექი და მომვარდი რა! მეზღვნი რიგიან-პირიანად დამამამათე - მორჩა შენი „კომერცია“, დაპატიმრებული ხარო!

შევეცოდე რეჟისორის ასისტენტს, ცხონებულ ნოდარ მახათელს, ეუბნება შავგულიძეს:

- ბატონო ჟორა, ახალია ჯერ! გამოინრობა.

- ჰოდა, კაი აბა, დაველოდები, სანამ დაძველდებოდეს!

მივხვდი, რომ ჩემგან მსახიობი არ დადგებოდა!

ამას კი მივხვდი დროულად, მაგრამ, მაინც საოცრად შემეცვალა იმ დაუვინყარმა

►► დასასრული მე-16 გვ.

ცხრა თვემ, სულ ოცდათექვსმეტმა კვირამ!

უკვე აღარ იყო იმის საშიშროება, რომ ისევ ასე მეკითხა: „ძამია, კინო არ იცი, სადანაა აქანა?“ აბსოლუტურად შემომძაბრებდა იმერული კილოკავი! არა, მთლად ნიუანსებში, რასაკვირველია, არა! მიმხვედრი ისედაც მიხვედებოდა, იმერეთიდან რომ ვარ! მე კი არადა, თვით ბატონ აკაკი შანიძეს, შალვა ნუცუბიძეს, გიორგი ახვლედიანს შეამჩნევდა კაცი იმერლობას და მე ვინა ვარ!

კი, თითქმის ლიტერატურული ქართული ავტოგრაფიული და ამას გულწრფელად ვუმაღლი ჩემი ცხოვრების იმ ლამაზ მცირე პერიოდს, როდესაც ერთ ჭერქვეშ ვსუნთქავდი „ტფილისურ ჰავას“ ისეთ ხელოვანთა გვერდით, როგორებიც იყვნენ და იქა-აქა ახლაც არიან: ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, ცეცილია ნუნუწავა, ელენე დონაური (კოტე მარჯანიშვილის მეუღლე), მედეა ჯაფარიძე, დოდო ჭიჭინაძე, მერი დავითაშვილი, მარინე თბილელი, ნათელა აფაქიძე, ელენე ყიფშიძე, თამარ თეთრაძე, ნინო ჩხვიძე, მზია მახვილაძე, ია ხობუა, ლეილა შოთაძე, თამარ სხირტლაძე (დიდსულოვნად მეპატრონო თუ ვინმე გამომჩინება!), სერგო ზაქარიაძე, ვასო გოძიაშვილი, პიერ კობახიძე, კოტე დაუშვილი, სანდრო ჟორჯოლიანი, ალექსანდრე (შაშო) გომელაური, კაკო კვანტალიანი, კოტე დაუშვილი, მიხეილ სარაული, ედიშერ მაღალაშვილი (მხოლოდ იმ ერთადერთ ნელინადს იმუშავა მარჯანიშვილის თეატრში), გიორგი შავგულიძე, გოგი გელოვანი, ვახტანგ ნინუა, ავთანდილ ვერულეიშვილი, შოთა ქორჩორაძე, იაკობ ტრიპოლსკი, ტარიელ საყვარელიძე, გოგი გოცირელი, ფარსმან სონღულაშვილი, ალექსანდრე ომიაცხე, შალვა ღამბაშიძე, ანდრო კობალაძე, დავით ოქროსცვარიძე, ალექსანდრე სიხარულიძე, მიხეილ ჯაფარიძე, გიორგი ტატიშვილი, დავით ქუთათელიძე, კოტე თოლორაია.

დაიხ, ნამდვილად ასე მოხდა: ჯერ მინიკადემია დავამთავრე, მერე სამხედრო-საოფიცრო სასწავლებელი და სულ ბოლოს – სახელმწიფო უნივერსიტეტი.

[17 ივნისი, 1952 წ.]

\*\*\*

და აი, მოახლოვდა 1952 წლის აგვისტოც.

ზედიზედ რამდენიმე (მგონი, სულაც ცამეტი!) უწყება მომდის თბილისის სტალინის რაიონის სამხედრო კომისარიატიდან.

ბოლო უწყებას მილიციელიც მოჰყვა.

გავყევი, რა მექნა! შემოიღვა ერთ ვრცელ ოთახში. ვხედავ, მაიორის ჩინიანი შუახნის მამაკაცი ზის სკამზე და რაღაც ქაღალდებს ჩასჩერებია.

მოახსენა, ზარნაძე მოგიყვანეთო. სათვალე მოიძრო მაიორმა, დაავდო მაგიდაზე და დამაყარა, მარა რა დამაყარა!

– ახ ტი, ნეგადია ტაკოი! შენ, ბიჭო, რა დღეში ხარ, თუ იცი! რატომ არ ცხადდებოდი, პოვესტკებს რომ იღებდი?!

მაგინებს რუსულად, ქართულად, შიგადაშიგ სომხურადაც.

თეატრში ამდენ ხანს ნამუშევარს, მაიორის გინება ძალიან მემწუთხა.

– ამოიღე ხმა! ტი ჩტო, გლუხანემოი?!

– პატივცემულო უფროსო...

– ამხანაგო უთხარი! – მიჩურჩულებს მილიციელი.

– მთელი ეს თვეები ვორჭოფობდი.

– რას შვებოდი?!

– ვორჭოფობდი.

– ტო ესტ, რას ვშვებოდიო? – მიუბრუნდა მილიციელს.

მილიციელი კი, ეტყობა, ოსი იყო. სახეზე აღებეჭდა, იოლად ვერ განუმარტავდა მაიორ სარქისოვს, რა ჯანდაბაცაა „ვორჭოფობდი“, მაგრამ მაინც სცადა, ოღონდ, რატომღაც, რუსულად.

– ს აღნოი სტარანი, ონ რემილ – დავაი, პაიღუ, ა დრუგოი – ნეტ, ნე პაიღუ – გოვორიტ.

ნამომართა მაიორი, დაანარცხა მუშტი მაგიდაზე, გადმოვარდა სათვალე და იატაკზე დაეცა, ჩაიმუხლა მილიციელმა, აიღო, წინ დაუდო.

– იცი თუ არა შენ, რო... ზა ნეპადჩინენი, შემოიღია, რო ორი წლით „აგარაკზე“ გაგიშვა?! ა, რას იტყვი: პერლოვია კაშა თუ ბალანდა! რომელი გირჩევენია?

– ამხანაგო მაიორო! საბოლოოდ მე გადავწყვიტე სამხედრო სასწავლებელში წასვლა.

პაუზა. მაიორი სარქისოვი, თითქოს ყურებს არ დაუჯერაო, მშვიდად მეკითხება.

– რაო?!

– ბარემ სამხედრო სასწავლებელში წავალ-მეთქი.

ნარმოუდგენელი რამ მოხდა. სარქისოვმა ცხვირსახოცი სახეზე მოისვა და დაჯდა.

– შე კაი კაცო, მერე ეგრე გეთქვა თავიდან! დაჯე, რა!

დავჯექი.

მოიძია რაღაც ქაღალდი და გამოიწონდა.

– ა, ცვატანემ, შეარჩიე, რომელიც მოგეწონოს.

სამხედრო-საოფიცრო სასწავლებლების ჩამონათვალი აღმოჩნდა.

– ეგრე გეთქვა, შე კაი კაცო! ნო ნიჩევი! დრუჟება ნაჩინაეტსია ს სორი!

საქმე კი ასე ყოფილა: თურმე, კომისარიატი ვერ ასრულებს სამხედრო სასწავლებლებში სწავლის მსურველთა გეგმას!

ბოლო-ბოლო, რუსეთს მაინც უკრაინა ვამჯობინე და ვუთხარი, კიევის ფრუნზეს სახელობის სამხედრო სასწავლებელში წავალ-მეთქი.

ნამოვდექით ორივე. ხელი ახლო მეგობაროვით ჩამომართვა, დააზუსტა ჩემი კოორდინატები და მითხრა:

– დავაი, შუა ოქტომბრამდე იგრიალე და მერე ჰაიდა!

ასეც მოვიქეცი.

[3 აგვისტო, 1952 წ.]

**ქარის ნისკვილები**

**მერვ სიყვარული**

ვერ დამაჯერებო რომ სიზმრებში, თქვენ არ დაფრინავთ, რომ თქვენმა ფრთებმა არ იციან – ღრუბლების გემო.



**ღრუბლები**

შემოდგომაა. ძუძუნედიკული ღრუბლები ფეხმძიმე ქალებივით ფრთხილად დააბიჯებენ ზეცის ფსკერზე. მხოლოდ სიღრმეში ორი პატარა ფთილა მშობლებს ჩამორჩენია, გაჩერებულან და გაშტერებულნი დაგყურებენ... ეტყობა, მათაც მოეწონათ ჩემი ფხვენი.

**მთვარის სურნელი, ანუ საყვარელი ღამეები.**

მთვარის სურნელი ეფინება საყდრის კრამიტებს, დაბლა, საფლავებს ცოტა იქით, რკინის გალავანს, შენზე ლოცვები შარს და ხიფათს გამომარიდებს და სიყვარულში დამიტოვებს ერთგულ ფალავნად. ღიახვი აღარ დაიღალა შენი ყურებით, ნიავი გკოცნის ყელ-კისერზე ანცი, სულელი, გიცმცემებენ ვარსკვლავების – საყურეები, ამ ლექსსაც შენგან გადმოედო მთვარის სურნელი.

**ქრისტეს კაცი**

*გოგა გილაურს*

გოგა გილაურს ლექსები უყვარს, უყვარს სუფრაზე ჭიქის აწვევაც, სხვა რა იღონოს? როდესაც მწუხარს გულზე დარდები შემოაწვება. გოგა გილაურს მამული უყვარს, ახანთლულია მასზე ვედრებით, სიკეთის მომფენს მზესავით უხვად დაბზარული აქვს სულის კედლები. ...იღვეა წლებით ბედის გორგალი, გამოხვეული ლოცვით, ალერსით, ქრისტეს კაცია ჩვენი გოგაი და ქრისტეს სევდა უდგას თვალებში.

**ჰერ**

ჩემს სამშობლოში ვფრინავდი ნუხელ – რაღა თქმა უნდა, სიზმრის მნახველი –

ვხედავდი, ყველგან ღალატზე ნუხდნენ, ისევ ფეთქავდა ძველი ნახმლევი. უსასოობა უგულოდ გვჩეხდა და გვიკარგავდა ოცნების სურვილს, კავკასიონზე გადმომდგარ ჩექმას მოჰქონდა ოფლის და სისხლის სუნი. იმედი მაინც მაცდურად კრთოდა, სხვა რა შეეძლო საწყალს და ბეჩავს: ვერ წაართმევენ ღვთისმშობელს ოდას, ვერ დაუგლეჯენ ღვთისმშობელს ლეჩაქს!

**პირველი პეპელა**

თუნუქის სახურავზე, პირველი პეპელა დავინახე. დიდხანს იჯდა, მზეზე თბებოდა. მერე ჩამოფრინდა და ქვაზე დაფარფატდა — ქვა უფრო ახლოა მიწასთან. მიწამ ყვავილები იცის!

**სამღურაპი**

*ყველა ახლობელს, მეგობარს, ნათესავს*

მიდიან ძმები... მაღლი ჰფენიათ, სულელებს ნათელი აბრწყინებს სვეტის, სიკვდილიც დიდი არაფერია, მონატრებაა სიკვდილზე მეტი! სხვის კოშკში მზეობს შენი ფერია, ნაწნავთ ჩამოშლას ამაოდ ელი, სიკვდილიც დიდი არაფერია, უმწეობაა სიკვდილზე ძნელი! არც ყუამდეა და არც ბევრია შენი დღეებით გაცრილი ვარცლი, სიკვდილიც დიდი არაფერია, მარტოობაა სიკვდილზე მკაცრი! კიდევ რამდენი მოსაფერია – ერთ-ორ პარასკევს ღმერთი თუ მაცლის – სიკვდილიც დიდი არაფერია, მამულზე ლოცვით თუ კვდები კაცი!

**მკითხველთა საყურადღებოდ!**

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქართველო (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესე-

ქსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

**მკირფასო ავტორებო!** რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღმატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში: ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“ კოდი: MIBGGE22 ანგ. № GE61PC0183600100029708

დაბეჭდილია შპს „ასავალ დასავალის სტამბაში“ მისამართი: თბილისი, აგლაძის ქ. 39 ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი **თამაზ ნივინიაძე**

თავისუფლების მოედანი №4; E-mail: litsaqrtvelo@yahoo.com ტელ.: 292 34 89

**გამოდის პარასკეობით**